საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№05 (570)
17 - 23 თებერვალი, 2021
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



ევროპარლამენტმა «ევროპელი ერის» საჩვენებელი გაროზგვა მოაწყო 10

## ლუკმაპურის საშოვნელად გადაგდებული ერი 2



ხელისუფლება, რომელიც მადლიანი ქართული მიწის განმკარგავია, ევროპაში უნდა დაეძებდეს სოფლის მეურნეობის სეზონურ სამუშაოებს?! 6-7

3 სინდისისგან თავისუფალი მედია




სახელმწიფო გვაქვს თუ ბანანის რესპუბლიკა?! 8



ფიქრები საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე 4



## ჩიტირეკიები



18



სოსო ცინცაძე: ეს არის სრული დემაგოგია, რომელსაც საერთო არაფერი აქვს პოლიტიკასა და დიპლომატიასთან 5



მამა ბასილი (მკალავიშვილი): ამ ქვეყნიდან ვერარას წავიღებთ, გარდა ჩვენი კეთილი და ბოროტი საქმეებისა 9

თურქეთში საჯაროდ ალაპარაკდნენ საქართველოს მიერთებაზე 24



## თანამედროვე მონათმფლობელობა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში დღეს 4 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს. ასევე ოფიციალურად, საქართველოს მილიონამდე მოქალაქე ბედის საძებნელად მხოლოდ რუსეთის ფედერაციაშია წასული, კიდევ ერთი მილიონი ევროპასა და ამერიკაშია მიმოფანტული და გვერწმუნეთ, მათგან ძალიან ცოტა იღებს შრომის შესაბამის ჯამაგირს, მაგრამ მაინც მიდიან. და მიდიან იმიტომ, რომ აქ იმის მეოთხედსაც არ აძლევენ.**

# ლუკმაპურის საშოვნელად გადაგებული ერი

## გერმანიის მთავრობამ მკაფიოდ გვითხრა: ჩვენი მოქალაქეები მონურ მუშაობას ამ ფასად არ თანხმდებიან, მაგრამ მონები გვჭირდებაო და აგერ, ქართველები რიგში ჩადგნენ




**საზღვარგარეთიდან შემოტანილ მოწამლულ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) პროდუქციაზე უმკაცრესი კონტროლი და საბაჟო გადასახადის გაზრდა უნდა დაწესდეს, რაც საქართველოში მოყვანილ პროდუქციას მეტ ფასს დაადებს და საკვებადაც უკეთესი იქნება. სხვანაირად, დღეს გერმანია დაგვიძახებს, ხვალ — საფრანგეთი, იტალია ან ესპანეთი და ვივლით ასე კარდაკარ ხელგაშვერილი, ჩამოვიტანთ აქ იქ სისხლის ფასად ნაშოვნ თანხას და მერე, იქ ჩვენ მიერვე აღებულ მოსავალს აქ ვიყიდით, საქართველოში, და გადახდილ ჯამაგირს ასე დავუბრუნებთ ევროპას**

**თუ გახსოვთ, პოლიტიკიდან წასვლამდე არცთუ დიდი ხნით ადრე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, — მალე საქართველოს მოქალაქეები ოფიციალურად შეძლებენ ევროპაში დასაქმებას და საამისოდ ყველა წინაპირობა გვაქვსო. ხალხისა და ოპოზიციის რეაქცია არაერთგვაროვანი იყო. ოპოზიცია გაიძახოდა: ხომ ხედავთ, ემიგრანტების დაბრუნების ნაცვლად, საქართველოს დაცლას ფიქრობსო. მოსახლეობის ნაწილს ეს იდეა მოეწონა, ნაწილმა არ დაიჯერა, თუმცა, აჰა, აღსრულდა — გერმანიის მთავრობამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ მზად არის, საქართველოს მოქალაქეები სამთვიან სამუშაოზე აიყვანოს სოფლის მეურნეობის სექტორში.**

მოდი, ჯერ ოფიციალური მხარე ვნახოთ. სეზონურ სამუშაოებზე დასაქმების მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

* უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;
* ასაკი — 18 წლიდან 60 წლამდე;
* გერმანიაში გამგზავრებამდე 3 თვით ადრე პერიოდში არ უმოგზაურია შენგენის სივრცეში;
* უნდა იყოს ფიზიკურად ჯანმრთელი;
* უნდა ჰქონდეს მოსავლის აღების სამუშაო გამოცდილება და მოტივაცია;
* არ უნდა არსებობდეს ნებისმიერი მიზეზი (დარღვევა), რომელიც იწვევს ქვეყანაში ხელახლა შესვლის შეზღუდვას;
* გერმანული ან ინგლისური ენის ელემენტარულ საკომუნიკაციო დონეზე ცოდნა (ჯგუფურად დასაქმების შემთხვევაში, აუცილებელია, ერთ წევრს მაინც უნდა შეეძლოს გერმანულ ან ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია). ენის ცოდნის მოთხოვნას განსაზღვრავს დამსაქმებელი", — განმარტავენ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

სეზონურ სამუშაოებზე დასაქმება სხვადასხვა სეზონური მოსავლის აღებას გულისხმობს. დასაქმების ხანგრძლივობა ერთიდან სამ თვემდეა;

**სამუშაო დრო:** ხუთი-ექვსი დღე კვირაში; რვა-ათი საათი დღეში.

**მინიმალური ხელფასი:** 9.50 ევრო საათში (დარიცხული), რომელსაც გამოაკლდება გადასახადები, კვებისა და საცხოვრებლის ხარჯები.

კონკრეტულ ვაკანსიაზე დასაქმების მსურველთა შესახებ მონაცემები მიეწოდება გერმანელ დამსაქმებელს. დასაქმებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გერმანელი დამსაქმებელი. გადაწყვეტილება ეცნობება თითოეულ მსურველს. გერმანელი დამსაქმებლის მხრიდან დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დამსაქმებელი მუშაობის დაწყების მსურველს უგზავნის შრომით ხელშეკრულებას, რომელიც მხარეებს შორის გაფორმდება გერმანიაში გამგზავრებამდე.

კვებისა და საცხოვრებლის ხარჯების გამოკლებით, სამუშაოდ წასულ თითოეულ მოქალაქეს თვეში ათას ევროზე ოდნავ მეტი, დაახლოებით 4 ათასი ლარი დარჩება, რაც ქართული სინამდვილისთვის, კარგი კი არა, ძალიან კარგი ჯამაგირია. თუმცა, მოდი, საკითხს მეორე მხრიდან შევხედოთ — **რატომ მიჰყავთ ქართველები სამუშაოდ გერმანიაში და რატომ არ ასაქმებენ ადგილობრივებს?** მით უმეტეს, პანდემიისა და ეკონომიკური კრიზისის გამო სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის პრობლემა ყველას უდგას. საქმე ის არის, რომ მძიმე კრიზისის პერიოდშიც კი გერმანელები ამ ჯამაგირზე არ იმუშავებენ, იმიტომ, რომ ეს მათი გადმოსახედიდან მათხოვრული ანაზღაურებაა. **სოფლის მეურნეობის სფეროში ვისაც უმუშავია, კარგად ეცოდინება, რომ ეს მარტივი არ არის და ფიზიკურ გამძლეობასთან ერთად მყარ ფსიქიკასაც მოითხოვს.** სამუშაო მძიმეა და, ამ სიმძიმის მიუხედავად, საქართველოში რომ შესთავაზოთ იგივე სამსახური და ანაზღაურება — 4 ათასი კი არა, თვეში 1000-1500 ლარი უთხრათ, ამ წინადადებას ძალიან ბევრი დათანხმდება. დათანხმდება იმიტომ, რომ მოსახლეობა შიმშილის ზღვარზეა და გვერწმუნეთ, გერმანიაშიც, ოფიციალურ მონურ სამუშაოზე (გერმანელების გადმოსახედიდან) რიგი დადგება და, ვინც წასვლას ვერ მოახერხებს, გული ძალიან დასწყდება.

სანამ **ივანიშვილი** ევროპაში ლეგალურ დასაქმებაზე განაცხადებდა, მანამდე ისიც თქვა, საქართველოს სოფლის მეურნეობაში ორ მილიარდ ლარზე მეტს ჩავდებ, ეს სფერო უნდა განვავითაროთ, ადგილზე იმდენი უნდა ვაწარმოოთ, მოსახლეობამ ძირითადად ქართული ნაწარმი მიირთვას, ნატურალურიც იქნება და იაფიცო. ციფრებს თუ ვენდობით, სოფლის მეურნეობაში ორ მილიარდზე ბევრად მეტი ჩაიდო, შედეგი კი არ გვაქვს. ჰო, არ გვაქვს. ივანიშვილი ფიქრობდა, რომ 2 მილიარდი საკმარისი იქნებოდა და, ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ბატონმა ბიძინამ, სხვა თუ არაფერი, ანგარიში ნამდვილად იცის. **რატომ მოხდა ისე, რომ ორ მილიარდზე მეტი არ ეყო სფეროს, რომელიც, წესით, უფრო იაფად უნდა აღორძინებულიყო?**

პირველ რიგში, იმიტომ, რომ არასწორად განისაზღვრა პრიორიტეტები. **ფული ჩაყარეს იქ, სადაც პერსპექტივა არ იყო. ასეულ მილიონობით ლარი წავიდა უფასო საწვავსა და მინდვრების უფასოდ მოხვნაზე, მაგრამ სახელმწიფომ არ გააკეთა მთავარი — არ უთხრა იმ ადამიანებს, რომლებმაც ამ პროგრამით ისარგებლეს, რომ მომდევნო წელს, სახელმწიფო სუბსიდიის გარეშე, იმის ნახევარი მაინც უნდა დაემუშავებინათ და მოსავალი მოეყვანათ, რაც სახელმწიფო სუბსიდიით გაკეთდა.** შედეგად, სახელმწიფოს ხარჯზე დამუშავებული მიწიდან ადამიანების უმრავლესობამ მიიღო მოსავალი, ჩაიდო მოგება ჯიბეში და გაჩერდა, მაგრამ გაჩერება მხოლოდ მათი ბრალი არ იყო. საქართველოში მოწეულ პროდუქციას ფასი არ აქვს და ეს იმის მიუხედავად, რომ იდეალურთან ლამის ბოლომდე მიახლოებულია. **საქართველოში მოწეული კარტოფილი 70 თეთრი ღირს, ირანიდან და თურქეთიდან შემოტანილი კი 50 თეთრად იყიდება, რადგან იქ მოყვანა მარტივია — შხამქიმიკატებით გაჯერებული პროდუქტი სწრაფად იზრდება. სწორედ ასეთ პროდუქტზე უნდა დაწესდეს უმკაცრესი კონტროლი, უნდა გაძვირდეს გადასახადი შემოტანაზე და ადგილობრივი პროდუქცია დაფასდება.**

კიდევ ერთ მაგალითს გეტყვით და ამით მოვრჩეთ. **ჩემი ოჯახის წევრმა ქათმების მცირე ფერმა გააკეთა, იყიდა ჯიშიანი წიწილები და დაიწყო გაზრდა. იქვე, ახლოს, ინდოეთის მოქალაქეებს ჰქონდათ ანლოგიური ფერმა. მათი წიწილები 45 დღეში 2.5 კილომდე ადიოდნენ, ანუ გამოჩეკვიდან 45-ე დღეს მათ უკვე ზრდასრული ქათმები ჰყავდათ, მაშინ, როცა სიმინდსა და ხორბალზე გაზრდილი ქათმები იმავე წონას 8 თვეში აღწევენ. ნატურალურ პროდუქტზე გაზრდილ ქათამს თვითღირებულება ეზრდებოდა და... გაჩერდა ეს ფერმა, ინდოელებისა კი გაფართოვდა და დღემდე მუშაობს. სხვა საკითხია, სასარგებლოა თუ არა ის, რასაც ინდოელები აწარმოებენ, მაგრამ ფაქტია: პროდუქცია ეყიდებათ იმიტომ, რომ იაფი ღირს და, სამწუხაროდ, დიდი ხანია, მოსახლეობის უმრავლესობა ხარისხზე მეტად იაფფასიანს ეძებს.**

სად და როგორ გაქრა ქართულ სოფლის მეურნეობაში ჩადებული მილიარდები, არავინ გამოიძიებს და არც არავინ მოიკითხავს. ეს მილიარდები, ალბათ, რამდენიმე ადამიანის საბანკო ანგარიშებზე აისახა, მაგრამ ჩვენ ამას ვერ გავიგებთ. მთავარი კი ის არის, რომ **გერმანიის მთავრობამ ხმამაღლა და მკაფიოდ გვითხრა: ჩვენი მოქალაქეები მონურ მუშაობას ამ ფასად არ თანმხდებიან, მონები გვჭირდებაო და აგერ ქართველების რიგიც დადგა.** თანაც, ეს ამბავი გვიხარია, ძალიან გვიხარია, სოციალურ ქსელში ჟრიამულია ატეხილი, ერთმანეთს ასწრებენ ადამიანები მონობის უღლის საკუთარი ნებით დადგმას და ეს მაშინ, როცა მართლა მარტივად შეიძლება, საქართველოშიც იგივე გაკეთდეს და გერმანიაში დაპირებული ხელფასის მეოთხედზე აქ ადამიანები იშრომებენ და ეს ქვეყანასაც წაადგება.

**ოფიციალური სტატისტიკით, საქართველში დღეს 4 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს. ასევე ოფიციალურად, საქართველოს მილიონამდე მოქალაქე ბედის საძიებლად მხოლოდ რუსეთის ფედერაციაშია წასული, კიდევ ერთი მილიონი ევროპასა და ამერიკაშია მიმოფანტული და გვერწმუნეთ, მათგან ძალიან ცოტა იღებს შრომის შესაბამის ჯამაგირს, მაგრამ მაინც მიდიან. და მიდიან იმიტომ, რომ აქ იმის მეოთხედსაც არ აძლევენ.** აქაც და იქაც ერი პრაქტიკულად მონობას ეჩვევა და, თუ **მიხეილ სააკაშვილმა** მთელი ერი კრიმინალად გამოგვაცხადა, ახლა უკვე ლუკმაპურის საშოვნელად გადაგებულ ერად ვიქეცით, რომელსაც პირში ეუბნებიან, მონა მჭირდებაო, და რიგი დგას. რაც ახლა ხდება, ეს არ არის ჩვენი ბრალი; ეს იმ ხელისუფლების ბრალია, რომელიც გვყავდა, გვყავს და მომავალში გვეყოლება, რადგან რეალურად, არავინ ფიქრობს რიგით ადამიანებზე, ჩვენზე, თქვენზე და არც იმაზე, რით და როგორ არსებობენ ისინი, ვისაც, წესით, საშუალო ფენა უნდა ერქვას, მაგრამ ცნება საშუალო ფენა გაქრა და საქართველოში დღეს მხოლოდ მდიდრები და ღარიბები არიან.

გაზაფხული მოდის და არაერთი ათეული თუ ასეული ჰექტარი მიწა საქართველოში დაუმუშავებელი დარჩება. ყველაზე ცუდი ის არის, რომ, სხვა თუ დაიწყებს მიწის დამუშავებას, მაშინვე პატრონი გამოჩნდება, — ჩემს სავარგულს ხელს როგორ ჰკიდებ, ფული გადამიხადეო. ამიტომ ვამბობთ, რომ კანონია გასამკაცრებელი, ორი წელი თუ იქნება ხელუხლებელი სასოფლო-სამეურნეო მიწა, მესაკუთრემ ან ჯარიმა გადაიხადოს, ან გაფრთხილდეს, რომ მესამე წელს მიწას დაკარგავს. პარალელურად, **საზღვარგარეთიდან შემოტანილ მოწამლულ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) პროდუქციაზე უმკაცრესი კონტროლი და საბაჟო გადასახადის გაზრდა უნდა დაწესდეს, რაც საქართველოში მოყვანილ პროდუქციას მეტ ფასს დაადებს და საკვებადაც უკეთესი იქნება. სხვანაირად, დღეს გერმანია დაგვიძახებს, ხვალ — საფრანგეთი, იტალია ან ესპანეთი და ვივლით ასე კარდაკარ ხელგაშვერილი, ჩამოვიტანთ აქ იქ სისხლის ფასად ნაშოვნ თანხას და მერე იქ ჩვენ მიერვე აღებულ მოსავალს აქ ვიყიდით, საქართველოში, და გადახდილ ჯამაგირს ასე დავუბრუნებთ ევროპას.**

**ბესო ბარბაქაძე**

**„არსებობს რიგი საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დაკვეთა, რომ მოხდეს დომინანტი რელიგიური ორგანიზაციების გავლენის საზოგადოებისგან დაშორება, მოწყვეტა, რადგან საერთაშორისო ორგანიზაციებს ყელში აქვთ გაჩხერილი ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიის ძალიან მაღალი რეიტინგი და ნდობა. მათ იციან, რომ ეკლესიას აქვს დიდი გავლენა და ამიტომ ეს პროპაგანდა, რომელსაც დღეს ჩვენ ვხედავთ, აშკარად მიმდინარეობს ეკლესიის დაკნინებისა და ეროვნული სულისკვეთების გაბითურებისთვის“.**

მედიაკრიტიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სინდისისგან თავისუფალი მედია

**უკვე რამდენიმე კვირაა, ქართველი საზოგადოება ეროვნული ცნობიერების ძირგამომთხრელ პასაჟებს ისმენს, რომლებიც თითქმის ყველა ტელეეთერიდან იფრქვევა. ეს არის ბერთუბნისა და ჩიჩხიტურის თემა, რომელიც თურმე საქართველოს ტერიტორია არ არის, და პატრიარქის უკიდურესი შეურაცხყოფა. ამ ყოვლად უმსგავსო გადაცემების გამო საზოგადოების აღშფოთებას საზღვარი არ აქვს, ოღონდ, სოციალურ ქსელში...**
**რას დაემსგავსა ჩვენი მედიასივრცე, ვის და რა დაკვეთას ასრულებენ ე.წ. ჟურნალისტები, რა აქვს გასაკეთებელი ხელისუფლებას იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა ტელეეთერიდან გადმონთხეული სიბინძურე არ მოისმინონ — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ხათუნა საგინაშვილი:**



## ხათუნა საგინაშვილი:
## ყველაფერს, რაც ჩვენი ქვეყნის ტელევიზიებში ხდება, კონკრეტული დამკვეთი ჰყავს. უპირველესი დამკვეთია ოდიოზური სოროსის ფონდი

— საქართველოში არსებული თითქმის ყველა ტელევიზია, ასე ვთქვათ, ლიბერალურ პლატფორმაზე ზის. ეს არა შემთხვევითი, არამედ კარგად დაფინანსებული პროპაგანდისტული მანქანებია, რომლებიც ცდილობენ, ტვინები გამოურეცხონ საზოგადოებას კონკრეტული მიმართულებით და, როგორც ვხედავთ, აქვთ უამრავი საცეცი.

**რატომ ხდება, რომ ყველა ტელევიზია ჰარმონიულად მოქმედებს ანტიგმირების გმირებად წარმოჩენაში, ასევე შემართულნი არიან ეკლესიასთან ბრძოლაში. პირადად ჩემთვის, როგორც მედიამკვლევარისთვის, ეს „ფენომენი“ ინტერესის სფეროა.**

ყველაფერს, რაც ჩვენი ქვეყნის ტელევიზიებში ხდება, კონკრეტული დამკვეთი ჰყავს. უპირველესი დამკვეთია ოდიოზური სოროსის ფონდი. **ჩვენი ტელევიზიები და მათი ჟურნალისტები მსუყე ულუფებს იღებენ დამკვეთებისგან და არა მხოლოდ სოროსისგან, თუმცა ის უპირველესია.**

**არსებობს რიგი საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დაკვეთა, რომ მოხდეს დომინანტი რელიგიური ორგანიზაციების გავლენისგან საზოგადოების დაშორება, მოწყვეტა. საერთაშორისო ორგანიზაციებს ყელში აქვთ გაჩხერილი ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიის ძალიან მაღალი რეიტინგი და ნდობა. მათ იციან, რომ ეკლესიას აქვს დიდი გავლენა და ამიტომ ეს პროპაგანდა, რომელსაც დღეს ჩვენ ვხედავთ, აშკარად მიმდინარეობს ეკლესიის დაკნინებისა და ეროვნული სულისკვეთების გაბითურებისთვის.**

თუ გადავხედავთ საქართველოს ისტორიას, **ბოლშევიკების მმართველობის პერიოდშიც კი უცხო იყო მსგავსი ანტირელიგიური კამპანია. ათეისტებსაც კი გადააჭარბეს დღევანდელმა ტელევიზიებმა და პროპაგანდამ ეკლესიის წინააღმდეგ. მსგავსი რამ, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ისტორიას არ ახსოვს.**

ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ლიბერასტულ პროგრამას, რომელიც მსოფლიოშია გამოცხადებული, ხორცი შეესხას ჩვენს ქვეყანაშიც; ქვეყანაში, სადაც თეთრს თეთრი ჰქვია და შავს შავი, სადაც იციან, რომ ცოდვის შემწყნარებელი მართლმადიდებელი ვერ გახდება.

ერთ-ერთი ტელევიზიის სტუმარს, ანტიგმირს, მოღალატეს — **ივერი მელაშვილს** ფეხზე წამოუდგნენ, გმირი უწოდეს და ლამის დაფნის გვირგვინი დაადგეს თავზე; იმავე ტელევიზიაში, ასევე, პატრიარქის მოწინააღმდეგეებიც მიჰყავთ, ზუსტად იციან, რას იტყვინ პატრიარქზე და შემდეგ ვითომ ცდილობენ, გამოასწორონ რესპონდენტის ნათქვამი, მაგრამ მათ არ და ვერ უშველის პილატესავით ხელის დაბანა...

**ინგა გრიგოლია და მისი ტელევიზია არ არის ერთი რიგითი ტელევიზია და ჟურნალისტი — ეს არის მიზანმიმართული პროპაგანდა, რომელიც ემსახურება ქართველი საზოგადოების ტვინის გამორეცხვას და ფასეულობების აღრევას. ინგა გრიგოლიას გადაცემაში ჰყავდა მიწვეული მეუფე ვახტანგი (ახვლედიანი),** რომელმაც ისაუბრა, რომ არსებობს დამღუპველი ცოდვები, მან ასევე თქვა, რომ ბუნების საწინააღმდეგო ცოდვები განსაკუთრებულად განარისხებს უფალს. მოკლედ, ეპისკოპოსმა ისაუბრა მამათმავლობის ცოდვაზე, რომლის გამოც მიწისაგან პირისგან აღიგავა სოდომი და გომორა და ამ დროს, გრიგოლია აცხადებს, რომ ეს ჰომოფობიური განცხადებაა...

**— სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება არაფერს აკეთებს იმ უმსგავსობის აღსაკვეთად, რომელსაც ტელევიზიები სჩადიან, არადა, თითქოს ერთი ხელისმოსმითაა შესაძლებელი ამ პრობლემის მოგვარება...**

— ყველა ტელევიზიას სოროსის ფონდი აფინანსებს. ხელისუფლების როლი შეზღუდულია. მას არ აქვს უფლება, ჩაერიოს კერძო ტელევიზიების საქმიანობაში. საიდანაც შეძლეს, გაეშვათ ინგა გრიგოლია, გაუშვეს. ვგულისხმობ „იმედს“, მაგრამ აქვე ვიტყვი, რომ „იმედი“ სულ სხვა ფენომენია, ის, ხელისუფლების რუპორად იქცა და განსხვავებული აზრის მოსმენა შეუძლებელი შეიქნა. ობიექტური ჟურნალისტიკისაგან „იმედიც“ ისევე შორსაა, როგორც სხვა დანარჩენი ტელევიზიები.

**ხელისუფლება, შესაძლოა, ვერ ჩაერიოს ტელევიზიების საქმიანობაში, რადგან საერთაშორისო ორგანიზაციები და „დემოკრატიის საფუძვლები“ უკრძალავს, მაგრამ მას შეუძლია, თუკი ეროვნული ხედვა აქვს, საზოგადოებაში მაინც შექმნას საღი აზრი, შექმნას ფონდი, ბაზა საიმისოდ, რომ მოხდეს მეორე მიმართულების რეალიზება; მიმართულების, რომელიც მოახდენს იმ წამლეკავი ინფორმაციების იგნორირებას ან დაბალანსებას, რომლებიც ტელევიზიებიდან მოედინება, და წინ წამოწევს პატრიოტული ინფორმაციის მიწოდებას, ეროვნული სულისკვეთების გაღვივებას, მაგრამ ამას არ აკეთებენ, რაც ან გულგრილობაა, ან სულისკვეთება არ ჰყოფნით, ან პროფესიონალიზმი, ან პატრიოტიზმი არ აქვთ ან კიდევ უარესი — ხელისუფლების წარმომადგენლებიც ისევე არიან ანტიეროვნული ტენდენციების ტყვეობაში, როგორც ჩვენი ტელევიზიები და მათი ჟურნალისტები.** ამ მიმართულებით სრული ვაკუუმია. ისინი ვერ ერევიან კერძო მაუწყებლების პოლიტიკაში, ვერც პირდაპირ, ვერც ირიბად, რაც უკვე ნიშნავს, რომ ისინი ინდეფერენტულები არიან ამ პროცესების მიმართ, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ არც პროფესიონალიზმი ჰყოფნით და არც ხედვა...

**— ქვეყანაში არსებობს საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც ხალხის ფულით ფინანსდება...**

— კი, არსებობს საზოგადოებრივი არხი, რომელიც ბიუჯეტის ფულით ფინანსდება. 2012 წელს შევეცადე, გავმხდარიყავი საზოგადოებრივი არხის ბორდის წევრი და მათთან მივიტანე არა ამორფული კონცეფცია, არამედ სწორედ ის, რაც სახელმწიფოებრივი ტელევიზიის ნიშა და კონცეფცია იქნებოდა; კონცეფცია, რომელიც აუცილებლად წინ უნდა წამოწეულიყო, რათა ჩვენს საზოგადოებას გამოეღვიძა, პატრიოტიზმი ექადაგა. მოკლედ, **სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ტელევიზიის კონცეფციის შექმნას ვცდილობდი, ხაზს ვუსვამ, რომ ვცდილობდი, მაგრამ კონკურსში პირველი ეტაპიც არ გადამალახვინეს, რაც უკვე ნიშნავდა იმას და დღეს უკვე ფაქტია, თუ საით მიდიოდა 2012 წელს სახელმწიფო და საით მიდის დღესაც.** ჩვენ ყველანი ვხედავთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ არის ის არხი, რომლის ყურებაც სურს ჩვენს საზოგადოებას. ის გახლავთ უგვანი წარმონაქმნი და აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რასთან გვაქვს საქმე და როგორ მმართველებთან.

**არ არსებობს პლატფორმა დღევანდელ ქართულ მედიასივრცეში, რომელიც ქართველ საზოგადოებას გლობალიზაციის ეპოქაში დაეხმარებოდა სწორად ორიენტაციაში და ყავლგაუსვლელ მარადიულ ფასეულობებს შეუნარჩუნებდა.**

მომავალ თაობებზე ძნელია ოჯახების გავლენის გატარება, რადგან ტელევიზიებიდან და ყველა სხვა საინფორმაციო საშუალებებიდან ისე ძლიერია პროპაგანდა და ახალგაზრდებიც ისე მიჯაჭვულნი არიან საინფორმაციო ველს, რომ ვერც მოსწყვეტ. ისინი ახლა ცდილობენ, გაერკვნენ ცხოვრების არსში და სწორედ ეს არის იმ ტელევიზიებისა და პროპაგანდის მთავარი სამიზნე, სწორედ ეს აგრესიული პროპაგანდაა ახალგაზრდების ცნობიერების დეგრადაციისკენ მიმართული და მესმის, რაზეც წუხს ეს საზოგადოება და რის გამოც დამიკავშირდით, რის თქმასაც აპირებს „საქართველო და მსოფლიო“. მე ვიზიარებ თქვენს გულისტკივილს.

**— სად არის გამოსავალი და რა ვქნათ?**

— გამოსავალია ის, რომ თითოეულ ჩვენგანს ჰქონდეს ძალიან მყარი, საღი საზოგადოებრივი პოზიცია, რადგან ჩვენი თავისუფალი ნებაა უზენაესი. ვიქნებით ღირსეულნი? აღმოჩნდება ჩვენს საზოგადოებაში თუნდაც ხუთი ღირსეული ადამიანი, რომელიც შეძლებს ერის პრობლემების მთელი სიმძიმე იტვირთოს? — **თუ არ იქნება ასეთი ხუთი ადამიანი, თუკი ვერ ვიქნებით ღირსეულნი, ვერ გადავრჩებით. ღმერთი დაუშვებს გარდაუვალ, შეუქცევად პროცესებს, რადგან აპოკალიფსის ეპოქაში ვართ... ჩვენი ქვეყნის გამოსავალი ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობაშია. ყველამ ჩვენს სარბიელზე უნდა ვიბრძოლოთ, ყველამ ჩვენი დიდგორი უნდა მოვიგოთ, სხვა გამოსავალი არ გვაქვს.**

ჟურნალისტიკა ჩვენი საზოგადოების პრობლემად იქცა — აუცილებელია, ჟურნალისტების ლიცენზირების პრაქტიკის შემოღება, თუკი ექიმების ლიცენზირების პრაქტიკა არსებობს, ადამიანების, რომლებიც ზრუნავენ ხორციელ ჯანმრთელობაზე, ასევე, აუცილებელი უნდა იყოს, ჟურნალისტის ლიცენზირების პრაქტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება ადამიანის სულიერ ჯანმრთელობაზე. სამწუხაროდ, **დღეს ჟურნალისტები სულიერი ავადობისკენ არიან მიმართულნი და ამისთვის მათ ფულსაც უხდიან. თუკი სავალდებულო გახდება ჟურნალისტების ლიცენზირება, ეს რესპექტაბელობის გარანტი იქნება და იქნება სტიმულატორი იმისა, რომ როგორმე ეს სფერო გაჯანსაღდეს, სატელევიზიო სივრცე გამოსწორდეს. ეს ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს.**

წლების განმავლობაში ვხედავდით ჟურნალიტებს, რომლებმაც ქვეყნის პოლიტიკის განსაზღვრა და საზოგადოების აზრის არასწორი ჩამოყალიბება მოახერხეს, ამიტომ **აუცილებელია, ხელისუფლება ჩაერიოს ჟურნალისტების ლიცენზირების საკითხში და ეს პრეროგატივად აქციოს.**

სამწუხაროდ, პრაქტიკულად, არ არსებობს თავისუფალი მედია, არის მხოლოდ სინდისისგან თავისუფალი მედია.

**«ხელისუფლების წარმომადგენლებიც ისევე არიან ანტიეროვნული ტენდენციების ტყვეობაში, როგორც ჩვენი ქვეყნის ტელევიზიები და მათი ჟურნალისტები»**

**«არ არსებობს პლატფორმა დღევანდელ ქართულ მედიასივრცეში, რომელიც ქართველ საზოგადოებას გლობალიზაციის ეპოქაში დაეხმარებოდა სწორად ორიენტაციაში და ყავლგაუსვლელ მარადიულ ფასეულობებს შეუნარჩუნებდა»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ფიქრების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმპერიალიზმის პირმშოს — ფაშიზმისა და ლიბერალიზმის — უპირველესი სამიზნე იყო მართლმადიდებლური სარწმუნოება და ისტორიის მოცემულ ეტაპზე მისი ძირითადი ბურჯი — რუსი ერი და რუსეთის სახელმწიფო. ფაშისტურ შემოტევას ერთად დავხვდით და ერთად გავიმარჯვეთ. ახალი ლიბერალური შემოტევის დროს საბედისწერო მნიშვნელობის იქნება, თუ ბარიკადების რომელ მხარეს იდგება ქართველი ერი და ქართული სახელმწიფო, არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ სრულიად მართლმადიდებლური სამყაროსთვის.**

# ფიქრები საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე

**კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საზოგადოების მიერ განვლილი გზის გაანალიზება, შეფასება, ობიექტური დასკვნების გამოტანა ნებისმიერი სახელმწიფოს მდგრადი განვითარების მყარი საფუძველია. დამოუკიდებელი საქართველოს განვითარების 30 წლის განმავლობაში ქართველმა საზოგადოებამ არაერთხელ შეაფასა საბჭოთა ეპოქის 70-წლიანი პერიოდი. შეფასების რიტორიკა, თავის მხრივ, პერიოდებად შეიძლება დავყოთ, რაც პირდაპირ დაგვანახვებს პოლიტიკური ისტებლიშმენტის გავლენას საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.**



**აუცილებელია, შეიქმნას საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა არა რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის ბაზაზე, არამედ სრულიად ახალი, რომელშიც გაერთიანდებიან ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების მქონე საქართველოს ყველა თაობის მოქალაქეები. ობიექტური შესაძლებლობების გათვალისწინებით (ინტელექტი, პროფესიონალიზმი, განათლება, პრაქტიკური გამოცდილება და სხვა) აირჩევენ გაერთიანების ხელმძღვანელ ორგანოებს, შეიმუშავებენ სათანადო პროგრამას და წარდგებიან საზოგადოების წინაშე**

საბჭოთა ეპოქის 70-წლიანი მონაკვეთის ანალიზი, ჩემი აზრით, მოითხოვს მის ორ პერიოდად დაყოფას: პირველია 35-წლიანი აღმავლობის პერიოდი, მეორე — იმდენივეწლიანი დაღმასვლის, თანაც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული არამხოლოდ რიტორიკით, არამედ შინაარსობრივადაც, რაც კრახით დასრულდა. ქართველი საზოგადოების მიერ (და არა მხოლოდ) ყოველგვარი განსჯა-გაანალიზების გარეშე მთელი ეპოქა (70 წელი), დასავლეთის მიერ ქვეყნის სამართავად დასმული მენეჯერების მითითებითა და წახალისებით, შევაფასეთ უარყოფითად. ერთეულთა მცდელობები, შეგვენარჩუნებინა დადებითი, პროგრესული ელემენტები საბჭოთა ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან, სახელმწიფო დონეზე მკაცრად აღიკვეთა.

**30 წელია, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ვატარებთ ტოტალურ რეფორმებს: განათლებაში, მედიცინაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და სხვ. შემდეგ რეფორმები საბჭოთა ეპოქის ადამიანებსაც შეეხო და, რადგან უამრავლესობა მათთვის სასურველ „აღზრდას“ არ ექვემდებარებოდა, მთელი თაობა ჩარეცხეს, როგორც საბჭოთა გადმონაშთი. ასპარეზზე დარჩნენ მხოლოდ ევროპა-ამერიკაში „განსწავლული“ ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, მათი მთავარი ამოცანა დასავლელი კურატორების მითითებების შესრულებაა. თვითონ კი ფიქრი და გადაწყვეტილებების მიღება არც სჭირდებათ და, ალბათ, არც შეუძლიათ.** ზემოხსენებულში ზოგიერთი შეიძლება არ დამეთანხმოს, მაგრამ მათ ვურჩევ, ირგვლივ ყურადღებით მიმოიხედონ, ხალხს მოუსმინონ, დანახული და გაგონილი გაანალიზონ და დასკვნები ისე გააკეთონ.

მიმაჩნია, რომ **განათლების დონე საზოგადოებაში ნებისმიერი ცვლილების უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორია. სწორედ ამიტომ ე.წ. რეფორმატორების პირველ სამიზნედ იქცა განათლების სფერო, რომელიც მათი წყალობით მიექანება უფსკრულისაკენ და დღეისათვის მხოლოდ მდგრადი ბიზნესის კეთების საშუალებად იქცა. მომრავლდა დასავლეთის მიერ თავსმოხვეული კრიტერიუმებით აკრედიტებული ე.წ. უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა ხელმძღვანელობა და პედაგოგები ხშირ შემთხვევაში ძალიან შორს არიან მეცნიერებისაგან (არ ფლობენ სამეცნიერო ხარისხს და არ აქვთ შესაბამისი მომზადება). საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის, რას წარმოადგენენ და ვინ უდგას სათავეში ამ „წარმატებულ“ უმაღლეს სასწავლებლებს (წარმატებულ ბიზნესს).**

ერთ მაგალითს მოვიყვან: გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს ხელმძღვანელობას სურდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე ქალაქ ნოვოსიბირსკიდან მოეწვია აკადემიკოსი **ილია ვეკუა.** პროტესტის ნიშნად ფეხზე დადგნენ არა მხოლოდ პროფესორ-მასწავლებლები და რესპუბლიკის ინტელიგენცია (მართლაც ინტელიგენცია იყო), არამედ რიგითი მოქალაქეებიც. ხელისუფლების განმარტებაზე, რომ აკადემიკოსი ილია ვეკუა იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის ფილიალის პრეზიდენტი, ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორი, პასუხი იყო ერთმნიშვნელოვანი: „მერე რა! განა რესპუბლიკაში ცოტა გვყავს ბუმბერაზი პიროვნებები მეცნიერების სხვადასხვა დარგში?“ იმჟამინდელი „დიქტატურის“ პირობებში ხელისუფლებამ თავისი გაიტანა და უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა აკადემიკოსი ილია ვეკუა. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ იგი მრავლისმეტყველია და **ნათლად გვიჩვენებს, რა მნიშვნელობას ანიჭებდა საზოგადოება კადრების შერჩევას საზოგადოდ, და განსაკუთრებით განათლების სფეროში. დღეს კი მოსახლეობის რამდენმა პროცენტმა იცის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ვინაობა და მისი რეგალიები? ეს არის 30-წლიანი სახელმწიფო ზრუნვისა და საგანმანათლებლო სფეროს განუწყვეტელი რეფორმის შედეგი.**

ჩემს საგაზეთო წერილებში ყოველთვის ხაზგასმით აღვნიშნავდი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან თანდათან იზრდებოდა პროდასავლური ლიბერალური ძალის გავლენა. **ამ საუკუნის დასაწყისიდან კი პოლიტიკურ ველზე მყოფი ყველა პარტია ლიბერალური ძალის წარმომადგენელია. ყოველგვარი იდეურ-მსოფლმხედველური ან მიზნობრივი განსხვავების არქონის პირობებში ერთმანეთთან უაზრო და არსებითად უსაგნო კამათით ქმნიან დემოკრატიის ილუზიას, პარალელურად ერთობლივი ძალისხმევით ჩანასახშივე ახშობენ ეროვნულ-პატრიოტული კონსერვატიული ძალის ასპარეზზე გამოსვლის ნებისმიერ მცდელობას.**

პრესაში გამოქვეყნებულ ბოლოდროინდელ პუბლიკაციებში უკვე ჩანს პირდაპირი მინიშნებები, რომ პოლიტიკური სპექტრი მონოპოლიზებულია პროდასავლური ლიბერალური ძალის მიერ. ხელისუფლების ყველა შტო დაკომპლექტებულია ამ ძალის სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებით და აუცილებელია მისი საპირწონე ეროვნული ძალის ჩამოყალიბება. აღნიშნულის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის შემობრუნება და აღმშენებლობის რეჟიმში გადაყვანა. იმედის მომცემი პუბლიკაციები გამოჩნდა „საქართველო და მსოფლიო“-ს ბოლო ნომრებშიც.

სამწუხაროდ, **თითქმის ყველა ავტორი თუ რესპონდენტი თავს არიდებს კონკრეტიკას და, საზოგადოდ, მესამე პირში საუბრობს ეროვნული ძალის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე. ის თავისით არ ჩამოყალიბდება. არც ჩრდილოეთი და არც დასავლეთი არ დაგვეხმარება მის ჩამოყალიბებაში. ის ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ და მისი წამყვანი მამოძრავებელი ბირთვი უნდა იყოს საზოგადოების სათანადო ინტელექტუალური, მორალური, ზნეობრივი რესურსის მქონე ახალგაზრდა და საშუალო ასაკის წარმომადგენლები.**

ბევრი დამეთანხმება, რომ გაერთიანება აუცილებელია, მაგრამ უმრავლესობა მატერიალური რესურსების უქონლობას მთავარ დაბრკოლებად მიიჩნევს. მიაჩნიათ, რომ აუცილებელია ბიზნესმენის მხარდაჭერის მოპოვება. ცნობისათვის: ოლიგარქებს სამშობლო არ აქვთ, ამდენად მათ მხარდაჭერას ნუ ველოდებით. ერისა და სამშობლოს მსახურება რთული, სახიფათო და ხშირად უმადური საქმეა. ეს ყველას არ ძალუძს. ამასთანავე, ეს ყველა პატიოსანი ადამიანის ვალია ერისა და ქვეყნის წინაშე.

ეროვნული ძალის ჩამოყალიბების გზაზე ყველაზე დიდ დაბრკოლებად მიმაჩნია **საზოგადოებრივი აზრის დაქსაქსულობა.** ქვეყანაში შექმნილ ვითარებაში ზოგი ვის დებს ბრალს და ზოგი — ვის. დამნაშავენი ყველანი ვართ და, სანამ სიმართლეს თვალს არ გავუსწორებთ, სანამ ობიექტურად არ გავაცნობიერებთ ჩვენს ყოფას, ყველაფერს თავის სახელს არ დავარქმევთ, არაფერი არ გვეშველება.

დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე მყოფი ლიბერალური ძალის საპირწონე ყველა დეკლარირებულად ეროვნულ-პატრიოტული კონსერვატიული პოლიტიკური მოძრაობა თუ პარტია არის უფუნქციო. მათ 30 წლის განმავლობაში ისიც ვერ გააცნობიერეს, რომ გაერთიანებაა საჭირო, რათა ეროვნულ ძალად იქცნენ და ქვეყნის განვითარების ვექტორი შეცვალონ. არსებული რეალობა მაიძულებს ვიფიქრო, რომ ისინი თავიანთი ამბიციების ტყვეობაში იმყოფებიან. მათი თვითმიზანია არსებულ სიტუაციაში სტატუსის შენარჩუნება. მათზე დაყრდნობა არ შეიძლება, **აუცილებელია შეიქმნას საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა არა რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის ბაზაზე, არამედ სრულიად ახალი, რომელშიც გაერთიანდებიან ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების მქონე საქართველოს ყველა თაობის მოქალაქეები. ობიექტური შესაძლებლობების გათვალისწინებით (ინტელექტი, პროფესიონალიზმი, განათლება, პრაქტიკური გამოცდილება და სხვა) აირჩევენ გაერთიანების ხელმძღვანელ ორგანოებს, შეიმუშავებენ სათანადო პროგრამას და წარდგებიან საზოგადოების წინაშე.**

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ორიენტირი არა გეოგრაფიული მიკუთვნების მისწრაფებით უნდა განისაზღვრებოდეს, არამედ საფუძვლად უნდა ედოს ქვეყნის მატერიალური უზრუნველყოფის, საიმედო თავდაცვის, რეალური სუვერენიტეტის პერსპექტივები. ასევე მნიშვნელოვანია მოკავშირის დამოკიდებულება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მიმართ. **ქვეყნის განვითარების შესახებ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების დაჩქარების მიზნით, მინდა, ვთხოვო გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას, გამოყოს ერთ გვერდი რუბრიკისათვის: „გავერთიანდეთ ქვეყნის გადასარჩენად“. აღნიშნულ გვერდზე ამა თუ იმ დარგის პროფესიონალები ობიექტური მსჯელობის გზით გაგვაცნობენ თავიანთ ხედვას ქვეყნის ამ მდგომარეობაში ჩავარდნის მიზეზებზე და შემოგვთავაზებენ კომპეტენტურ აზრს ვითარების შესაცვლელად. საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანენ მოვლენებსა და ფაქტებს, რომლებმაც პირდაპირი ან ირიბი გავლენა იქონია ჩვენი ქვეყნისა და ერის ბედზე; შეპირისპირების მეთოდით განიხილავენ სხვადასხვა მოვლენებსა და ფაქტებს, მაგალითად: საბჭოთა კავშირი — ევროკავშირი, ნატო-ვარშავის ხელშეკრულება, თერგდალეულები — ევროპა-ამერიკაში განსწავლულები და ასე შემდეგ.**

შეპირისპირებითი ანალიზის კვალდაკვალ მრავალ ისეთ ფაქტს აღმოვაჩენთ, რომ მოვლენებს ახლებურად შევხედავთ, ბევრ საკითხზე აზრი რადიკალურად შეგვეცვლება. იგი დიდად შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდაციას, რომელიც ქვეყნის პროგრესის აუცილებელი წინაპრობაა.

**P.S. ბოლო დღეებში ფორსირებურად ამოქმედდა პროდასავლური პოლიტელიტა, აშკარად ჩანს მათი შეუნიღბავი აგრესია. ქართველებისათვის მეტად საყურადღებო და ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ იმპერიალიზმის პირმშოს — ფაშიზმისა და ლიბერალიზმის — უპირველესი სამიზნე იყო მართლმადიდებლური სარწმუნოება და ისტორიის მოცემულ ეტაპზე მისი ძირითადი ბურჯი — რუსი ერი და რუსეთის სახელმწიფო. ფაშისტურ შემოტევას ერთად დავხვდით და ერთად გავიმარჯვეთ. ახალი ლიბერალური შემოტევის დროს საბედისწერო მნიშვნელობის იქნება, თუ ბარიკადების რომელ მხარეს იდგება ქართველი ერი და ქართული სახელმწიფო, არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ სრულიად მართლმადიდებლური სამყაროსთვის.**

**დავით სუხიაშვილი**
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი

„**კინზინგერი და კონოლი პირველად არ ახდენენ მსგავსი დოკუმენტის ინიცირებას წარმომადგენელთა პალატაში... შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჩვენს პოლიტიკურ რეალობაში რაღაც დიდი გარღვევა მოხდა და ხვალ-ზეგ სერიოზულ ნაბიჯებს გადავდგამთ... მაგრამ მთავარია თვითონ ხელისუფლების აღქმა და ინტერპრეტაცია ამ ყველაფრის გარშემო, როცა გვეუბნება, რომ, თურმე, რა მაგრად ვითარდება ქართული დემოკრატია, აგერ ხომ ხედავთ, ამერიკა რამხელა მხარდაჭერას გვიცხადებს. მე, ალბათ, არ გადავაჭარბებ შეფასებაში, თუ ვიტყვი, რომ ეს არის სრული ინფანტილიზმი; სრული ილუზია და დემაგოგია, რომელსაც საერთო არაფერი აქვს არც პოლტიკასთან და მით უფრო არც დიპლომატიასთან**“.

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**11 თებერვალს პრემიერმინისტრმა გიორგი გახარიამ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატაში საქართველოს მხარდამჭერი აქტის წარმდგენ ორ კონგრესმენს, გერი კონოლსა და ადამ კინზინგერს, თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა. სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ გამოქვეყნებულ პოსტში მთავრობის მეთაურმა ორივე მათგანს საქართველოს დიდი მეგობრები და ქომაგები უწოდა, რაც, მისი შეფასებით, არა მხოლოდ ამ ერთი კონკრეტული დოკუმენტით, არამედ ადრე გაკეთებული განცხადებებითა თუ ანგარიშებითაც დასტურდება.**

# საქართველოს ქომაგებად კინზინგერისნაირი მოღალატეები შემორჩნენ



## სოსო ცინცაძე:

## ეს არის სრული ინფანტილიზმი; სრული ილუზია და დემაგოგია, რომელსაც საერთო არაფერი არა აქვს არც პოლტიკასთან და არც დიპლომატიასთან

გახარიას შეფასებით, მსგავსი დოკუმენტები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საქართველოს, როგორც მნიშვნელოვან პარტნიორს, ამერიკის შეერთებული შტატებისგან ორპარტიული მხარდაჭერა აქვს. ეს მხარდაჭერა კი ადასტურებს, რომ ქვეყანა, როგორც არასდროს, ახლოსაა ნამდვილ დემოკრატიულ ფასეულობებთან, ხოლო ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირების თვალსაზრისით უპრეცედენტოდ ეფექტიანი ნაბიჯები იდგმება. მოგვიანებით კონოლი-კინზინგერის კანონპროექტს ქართულ პოლიტიკურ სპექტრშიც ოვაციები მოჰყვა. ცალკე ხელისუფლების და ცალკე ე.წ. პროდასავლური ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ დოკუმენტი საქართველოსთვის საერთაშორისო დონეზე მოპოვებული მორიგი გამარჯვებაა, თუმცა არც ერთი და არც მეორე ფლანგის წარმომადგენლებს არ განუმარტავთ, რა თვალსაზრისითაა მიღწევა ქვეყნისთვის აღნიშნული აქტი, რას ცვლის ის რეალურად და რა შედეგები მოჰყვება მას.

შეგახსენებთ, რომ პრემიერის მიერ საქართველოს „დიდ მეგობრად და ქომაგად“ გამოცხადებული ადამ კინზინგერი დაახლოებით ერთი წლის წინათ გიგი უგულავას დაკავებას და შემდეგ მისთვის თავისუფლების აღკვეთას პოლიტიკურ დევნად აფასებდა: „გიგი უგულავა, „ევროპული საქართველოს“ ლიდერი, დღეს დააკავეს და მიუსაჯეს 38 თვე ძველი დანაშაულისთვის, რომელიც წარსულში უკვე მოხდილი ჰქონდა. რბილად ნათქვამი იქნება, რომ ეს მხოლოდ შემაწუხებელია. სასამართლოს გამოყენება იარაღად დემოკრატია არ არის...“

**რას ნიშნავს საქართველოსთვის ამერიკელი კონგრესმენების მიერ ინიცირებული მხარდამჭერი აქტი, რა პოლიტიკური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს მას მომავალში და რას უნდა ველოდოთ ამ პროცესის კვალდაკვალ, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.**

**— ბატონო სოსო, ამ დღეებში ორი ამერიკელი კონგრესმენის —კინზინგერისა და კონოლის — მიერ წარმომადგენელთა პალატაში ინიცირებულმა საქართველოს მხარდამჭერმა აქტმა ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში ოვაციები გამოიწვია. გაკეთდა შეფასებები, რომ ეს არის უპრეცედენტო მხარდაჭერის გამოვლინება, რომ ეს ცხადყოფს, რა ახლოს ვართ ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან და ა.შ. ამ ორ კონგრესმენს გიორგი გახარიამ საქართველოს დიდი ქომაგები უწოდა... თქვენი აზრით, რეალურია ეს შეფასებები? და, რაც მთავარია, რას ცვლის ჩვენთვის მსგავსი დოკუმენტები?**

— დავიწყოთ იმით, რომ **კინზინგერი** და **კონოლი** პირველად არ ახდენენ მსგავსი დოკუმენტის ინიცირებას წარმომადგენელთა პალატაში. მათ ეს ადრეც გააკეთეს და მაშინაც არანაკლებ თამამი შეფასებები მოვისმინეთ. პოლიტიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით, ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, გარკვეული დატვირთვა აქვს, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი მსგავსი შინაარსის დოკუმენტი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები იღებს ან გნებავთ — ევროპარლამენტი, სწორად იქნას აღქმული და გააზრებული ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში. ამ თვალსაზრისით, მაინცდამაინც ადეკვატურ მიდგომებს ვერ ვხედავ... რაც შეეხება კონკრეტულად შეკითხვას, რას შეცვლის ჩვენთვის მხარდამჭერი აქტი, ცხადია, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მისი ინიცირების შემდეგ ჩვენს პოლიტიკურ რეალობაში რაღაც დიდი გარღვევა მოხდა და ხვალ-ზეგ სერიოზულ ნაბიჯებს გადავდგამთ, მაგალითად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ, მაგრამ მთავარი ეს არ არის, **მთავარია თვითონ ხელისუფლების აღქმა და ინტერპრეტაცია** ამ ყველაფრის გარშემო, როცა გვეუბნება, რომ, თურმე, რა მაგრად ვითარდება ქართული დემოკრატია, აგერ ხომ ხედავთ, ამერიკა რამხელა მხარდაჭერას გვიცხადებს. **მე, ალბათ, არ გადავაჭარბებ შეფასებაში, თუ ვიტყვი, რომ ეს არის სრული ინფანტილიზმი; სრული ილუზია და დემაგოგია, რომელსაც საერთო არაფერი აქვს არც პოლტიკასთან და მით უფრო არც დიპლომატიასთან.** საერთოდ, დიპლომატია არ არის რაღაც რიგითი პროფესია, რომელიც დილეტანტობასა და ზერელე დამოკიდებულებას იტანს. ვერ იტანს და ჩვენ ამაში ყოველდღე ვრწმუნდებით... ახლა რა გზავნილი იყო რეალურად კონოლი-კინზინგერის მიერ ინიცირებული აქტი: პირველი — ვფიქრობ, შემთხვევითი არ არის, რომ ეს ყველაფერი დროში დაემთხვა **ნიკა მელიას** წინააღმდეგ დაწყებულ სამართლებრივ დევნას; და მეორე — **ძალიან მალე დავინახავთ, რომ დასავლეთიდან წამოსული საქებარი სიტყვები, რომლებსაც აქ ხელისუფლება საკმაოდ კარგად იყენებს საკუთარი პოლიტიკური პიარისთვის, შეიძლება მწვავე კრიტიკამ შეცვალოს.** ყოველ შემთხვევაში მე ასე ვფიქრობ და ეს, ალბათ, გასაკვირი არ იქნება, იმიტომ რომ, დასავლეთისთვის მელიას თემა იწყება და მთავრდება იმით, რომ მელია არის ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის ლიდერი. მორჩა! აი, ეს არის მათთვის მთავარი, ხოლო დანარჩენი უკვე თანმხლებია...

**— დაახლოებით ერთი წლის წინათ, როცა გიგი უგულავა დააკავეს და პატიმრობა მიუსაჯეს, კინზინგერი იყო სწორედ ის პიროვნება, რომელმაც ხელისუფლება მწვავედ გააკრიტიკა. მან განაცხადა, რომ ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დევნა დემოკრატია არ არის... ფიქრობთ, მელიას გამო ატეხილი ამბავიც მსგავსი ზეწოლის მიზეზი შეიძლება იყოს?**

— რა თქმა უნდა. მეტსაც გეტყვით, ზეწოლაც იქნება, მწვავე კრიტიკაც და გარკვეული პოლიტიკური სანქციების თემაც შეიძლება ახსენონ. რაც შეეხება ისევ კონოლი-კინზინგერის მიერ ინიცირებულ აქტს, ამ დოკუმენტით, ფაქტობრივად, გვითხრეს, რომ გვიყურებენ, გვაკვირდებიან და ყველაფერს ხედავენ. დანარჩენს უკვე ძალიან მალე დავინახავთ კონკრეტული ქმედებებით. ერთი რამ უკვე ცხადზე ცხადია და ამას ყველა ვხედავთ — **უნდობლობა ქართული მართლმსაჯულებისადმი ძალიან დიდია, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ ქართული მართლმსაჯულება ზოგჯერ მართლაც ძალიან არადამაჯერებელია. საერთოდ, დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველოს ერთგვარ ქრონიკულ დაავადებად ექცა ინსტიტუციების კრიზისი.** ამაში, ალბათ, ყველა ვთანხმდებით. ეს არის სისტემური პრობლემა, რომელიც ვერა და ვერ გვარდება, ამიტომ შეკითხვები, რა თქმა უნდა, გაჩნდება. სხვათა შორის, მახსოვს, **ჯერ კიდევ გამსახურდიას პერიოდიდან მოყოლებული, როდესაც დიპლომატია ერთობ ეგზოტიკური პიროვნებების ხელში იყო, დასავლეთს ორი ძირითადი შეკითხვა ჰქონდა მმართველ გუნდთან: პირველი — რატომ ხართ ნაციონალისტები? (რაც უარყოფით კონტექსტში მიკერებული ყალბი იარლიყი იყო მაშინდელი ხელისუფლებისთვის) და მეორე — რას უპირებთ სასამართლოს? აი, იმ დროიდან მოყოლებული პრეტენზიები არ იცვლება.** მელიას რაც შეეხება, კი, ეს ერთი კონკრეტული შემთხვევაა, მაგრამ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: მელია მათთვის არის მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერი, ისევე, როგორც **ნიკა გვარამია** არის ნომერი პირველი ოპოზიციური ტელევიზიის ხელმძღვანელი. მორჩა, ეს არის მთავარი, ამიტომ მის წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი სამართლებრივი დევნა ყოველთვის შეფასებული იქნება პოლიტიკურ რეპრესიად.

**— დავუბრუნდეთ კინზინგერისა და კონოლის მიერ ინიცირებულ დოკუმენტს. ხელისუფლების წარმომადგენლების შეფასებით, ეს ყველაფერი საბოლოოდ საქართველოს მიიყვანს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციამდე, ტერიტორიულ მთლიანობამდე და ა.შ. რეალურია ეს შეფასებები?**

— როგორც გითხარით, ეს არის სრული ინფანტილიზმი. **ყველაზე მეტი, რისი გაკეთებაც დღეს დასავლეთს შეუძლია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, არის არაღიარების პოლიტიკა. მორჩა! მოგვწონს თუ არა, ამის იქით ვერ მიდიან, ამიტომ ამას უნდა დავჯერდეთ. თუმცა, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს არაღიარება ან რუსეთისთვის არის დიდი პოლიტიკური თუ დიპლომატიური დისკომფორტის შემქმნელი, ან აფხაზებისა და ოსებისთვის, ძალიან ცდება.** რაც შეეხება სხვა რეალურ პერსპექტივას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით, რა თქმა უნდა, **ჩვენ აქტიურად უნდა გამოვიყენოთ საერთაშორისო პოლიტიკური არენა, რომელზეც რუსეთიცაა წარმოდგენილი, ამერიკის შეერთებული შტატებიც, ევროპაც და ყველა, მაგრამ ყველაზე ცუდი რა არის, იცით? ის, რომ საქართველოს აფხაზებთან, ოსებთან, საერთოდ არ აქვს პოლიტიკა — არც სწორი, არც მცდარი.** დღეს რა მდგომარეობაც გვაქვს, ეს არის სრული უძრაობა, რომელსაც ყველაფერი ჯობია, იმიტომ, რომ მცდარი პოლიტიკა შეცდომებს მაინც გამოკვეთს და დაგანახვებს. აი, აქედან იწყება ყველა სხვა დანარჩენი პრობლემა, რომლებსაც, აგერ უკვე სამი ათეული წელია, ვერ ვაგვარებთ, ამიტომ მერე, როცა რაღაც პრობლემა იქმნება, ვთქვათ, ვიღაცას დაიჭერენ ე.წ. საზღვართან და ევროკავშირის წარმომადგენლებთან ტირი, არიქა, გვიშველეთო, ეს არ არის პოლიტიკა; ეს არის, კიდევ ვიმეორებ, პოლიტიკური ბაგა, რომლიდანაც ქვეყანა სასიკეთოს არაფერს არ უნდა ელოდოს...

**— როგორ ფიქრობთ, ამ ხელისუფლების პირობებში შეიძლება, შეიცვალოს ეს მიდგომები?**

— ქართულ-ოსურ, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს თუ გულისხმობთ, არ მგონია. ეს ჩემი სუბიექტური აზრია და ამაზე თქვენთან ადრეც მისაუბრია. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, მოგეხსენებათ, არის **აბაშიძე-კარასინის** ფორმატი, რომელიც თავიდან თითქოს არ იყო ცუდი წამოწყება, მაგრამ შემდეგ დიდი ვერაფერი... დღეს რა ხდება — მე **ზურაბ აბაშიძეს** ძალიან კარგად ვიცნობ და როგორც დიპლომატს, როგორც პროფესიონალს, უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ რად გინდა, მას არანაირი უფლებები არ აქვს. სამ თვეში ერთხელ წახვალ, შეხვდები კარასინს, 20 წუთით დაელაპარაკები, ყავას დალევ და წამოხვალ, მორჩა. აი, ამ დონეზეა მისი, როგორც დიპლომატის, უფლებები და ფუნქცია დაყვანილი. სხვა რა გითხრათ, ის, თავის ბუნებიდან გამომდინარე, არ არის ბარიკადებზე ამსვლელი, ის არის ცივილიზებული დიპლომატი, რომელსაც ფრთები დააჭრეს და უთხრეს: იფრინე... რა თქმა უნდა, ჩვენ არანაირი პოლიტიკა არ გვაქვს. ეს სრულიად ნათელია, ამიტომ ცხადია, მოლოდინიც არ უნდა გვქონდეს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ყველაზე ცუდი რა არის, იცით? ის, რომ საქართველოს აფხაზებთან, ოსებთან, საერთოდ არ აქვს პოლიტიკა — არც სწორი, არც მცდარი. დღეს რა მდგომარეობაც გვაქვს, ეს არის სრული უძრაობა, რომელსაც ყველაფერი ჯობია, იმიტომ, რომ მცდარი პოლიტიკა შეცდომებს მაინც გამოკვეთს და დაგანახვებს. აი, აქედან იწყება ყველა სხვა დანარჩენი პრობლემა, რომლებსაც, აგერ უკვე სამი ათეული წელია, ვერ ვაგვარებთ, ამიტომ მერე, როცა რაღაც პრობლემა იქმნება, ვთქვათ, ვიღაცას დაიჭერენ ე.წ. საზღვართან და ევროკავშირის წარმომადგენლებთან ტირი, არიქა, გვიშველეთო, ეს არ არის პოლიტიკა**

**P.S. საქართველოს პრემიერის მიერ ქომაგად შერაცხილ კინზინგერს ოჯახის თერთმეტმა წევრმა წერილი მისწერა, რომ ის ეშმაკის ჯარში გაწევრდა, უარყო ქრისტიანული პრინციპები და პრეზიდენტი ტრამპი, ამიტომ უნდა დატოვოს პოლიტიკა.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენ შევქმენით სახელმწიფო, სისტემა, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ მისი სისტემურობითა და ორგანიზებულობით ადამიანებს, ხალხს ცხოვრებას უიოლებდეს, საზოგადოების ცალკეული წევრები ზოგჯერ თვითმკვლელობამდე მიჰყავს, ზოგ შემთხვევაში კი აიძულებს, რომ, საზღვარგარეთ გადახვეწილმა, თავი ღირსების შემლახავი საქმიანობით ირჩინოს.**



# სამარცხვინო მონური თავდადრეკა და მერცხალი, რომელიც გაზაფხულის მაცნეა

## ხელისუფლება, რომელიც მადლიანი ქართული მიწის განმკარგავია, ევროპაში უნდა დაეძებდეს სოფლის მეურნეობის სეზონურ სამუშაოებს?!

**ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი**

## მეოთხე გამოშვება

„თქვენ გვეტყვით, ეს მონები ჩვენ გვეკუთვნისო“.
*უილიამ შექსპირი*

### ძალიან დემოკრატები

რამდენიმე დღის წინათ ქართულმა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს შემდეგი ინფორმაცია: **„15 თებერვლიდან იწყება იმ მოქალაქეების რეგისტრაცია, ვისაც სოფლის მეურნეობის მიმართულებით გერმანიაში დასაქმება სურს. გერმანიის მთავრობა მზადაა, საქართველოს მოქალაქეების განუსაზღვრელი ოდენობა მიიღოს, თუმცა ეს არ იქნება მუდმივი სამუშაო. დროებითი სამუშაო მიგრაცია სამთვიანია“.**

საქართველოდან სოციალურ ემიგრანტთა რაოდენობა აქამდეც მაღალი იყო, მაგრამ ამიერიდან უფრო მოიმატებს. საქმე ის არის, რომ დაუსაქმებელ და საარსებო საშუალებას მოკლებულ ჩვენს თანამემამულეებს ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასაღწევად მრავალი ბარიერის გადალახვა უწევდათ. მართალია, ევროპასთან უვიზო მიმოსვლა გვაქვს, მაგრამ **ემიგრანტებით უჩვენოდაც დამძიმებული ევროპული სახელმწიფოები სამუშაოს საძებნელად ჩასულ ქართველებს ხელგაშლილნი არ ხვდებოდნენ. თავის დაზღვევისთვის ისინი ითხოვდნენ, წამსვლელებს წარედგინათ უკან გასამგზავრებელი ბილეთი და საბანკო ანგარიში, რომელზეც (ლუკმაპურის მაძიებელთა საზომებით) სოლიდური თანხა იქნებოდა დარიცხული.** ბევრი მათგანი სამგზავრო ბილეთის თანხასთან ერთად ამ თანხასაც მევახშისგან სესხულობდა ხოლმე. არცთუ იშვიათი იყო შემთხვევა, როდესაც ევროპის ამა თუ იმ სახელმწიფოში ასე შიშითა და ძრწოლვით ჩაფრენილი გასაცოდავებული ადამიანები მიზეზების აუხსნელად უკან გამოუბრუნებიათ. **წარმოიდგინეთ, სამშობლოში უარყოფილი და კუთხეში მიმწყვდეული იმ ადამიანის სულიერი, ფიზიკური და მორალური მდგომარეობა, რომელმაც გადარჩენის გზების საძებნელად მევახშისგან პროცენტიანი ვალი აიღო და დემოკრატიულ ევროპაში რის ვაი-ვაგლახით ჩააღწია, მაგრამ იქაც ზედმეტი და უარყოფილი აღმოჩნდა. სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს მუხლი — თვითმკვლელობამდე მიყვანა.** სოციალური სიდუხჭირით იძულებულ საზღვარგარეთ გადახვეწილ ადამიანს, იქ, სადაც ჩავიდა, და სადაც იმედი ჰქონდა, რომ ფეხს მოიკიდებდა, სამუშაოს იშოვიდა და იმდენის გამომუშავებას შეძლებდა, რომ საქართველოში უმწეოდ და უნუგეშოდ დატოვებული ოჯახის წევრები (მოხუცებული მშობლები, მცირეწლოვანი შვილები და ა.შ.) ერჩინა, ეუბნებიან, აქ შენი ადგილი არ არის და უკან უნდა დაგაბრუნოთო, პირველ რიგში, რა აზრი მოუვიდოდა თავში? რა თქმა უნდა, სუიციდი. ჰო, ესაა ადამიანის თვითმკვლელობამდე მიყვანა — დანაშაულთა შორის ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაული. იგი უმძიმესია იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას ერთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ახორციელებს, მაგრამ **ეს დანაშაული ასჯერ და ათასჯერ მძიმდება, თუ ის სახელმწიფოსა და სისტემისგან მოდის. ჩვენ შევქმენით სახელმწიფო, სისტემა, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ მისი სისტემურობითა და ორგანიზებულობით ადამიანებს, ხალხს ცხოვრებას უიოლებდეს, საზოგადოების ცალკეული წევრები ზოგჯერ თვითმკვლელობამდე მიჰყავს, ზოგ შემთხვევაში კი აიძულებს, რომ, საზღვარგარეთ გადახვეწილმა, თავი ღირსების შემლახავი საქმიანობით ირჩინოს.** ჩემს სატელევიზიო საავტორო გადაცემებში ხშირად ვაშუქებ საზღვარგარეთ გადახვეწილ ემიგრანტთა ცხოვრებას. ორი წლის წინათ ერთ-ერთ სატელევიზიო ჩართვაში ახალგაზრდა ქართველმა ქალბატონმა, დედამ, ისეთი შემზარავი სიტყვები მითხრა, რომელმაც არა მხოლოდ მაშინ შემძრა, როცა პირველად მოვისმინე, არამედ, ყოველი გახსენებისას თავზარდამცემად მოქმედებს:

**„ჩვენ აქ მონები ვართ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ადრე ქართველებს უცხოელი დამპყრობლები გვყიდდნენ მონებად, მაგრამ მაშინ სხვა დრო და სხვა წყობილება იყო. ახლა კი, ამ დემოკრატიის ეპოქაში, ისეთი სიტუაცია შეგვიქმნეს, რომ ჩვენ თავს ნებაყოფლობით ვყიდით მონებად“.** მემატიანემ კარგად უნდა აღნუსხოს ეს საშინელი სიტყვები, საქართველოში ამერიკული დემოკრატიისთვის გამოტანილი ეს უმძიმესი განაჩენი, რათა მომავალ თაობას მისხალი ეჭვიც არ შეეპაროს იმაში, რომ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის ნგრევის შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბებული რეჟიმი, რომელიც ხალხს დემოკრატიული ფასადით მოევლინა, სისასტიკის თვალსაზრისით არათუ ჩამორჩება მონათმფლობელურ სისტემას, ზოგიერთ რამეში აღემატება კიდეც...



სოციალურ ემიგრანტთა ხვედრი ძირითადად ასეთია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთ წამსვლელთა ნაკადი არ წყდება. წეღან ვთქვი, ახლა ეს ნაკადი გაიზრდება-მეთქი. მხედველობაში მქონდა ის, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით „დემოკრატიული სამოთხის“ მშენებელმა **ჩვენმა ხელისუფლებამ, მოქალაქეებისთვის სამუშაო ადგილების შექმნის ნაცვლად, მათი საზღვარგარეთ ოფიციალურად დასაქმების მავნებლური პრაქტიკა შემოიღო. ეს, რა თქმა უნდა, გააადვილებს ჩვენი თანამემამულეების სამშობლოდან მასობრივად აყრის საქმეს, რადგან მათ უკვე აღარ გაუჭირდებათ სასაზღვრო ბარიერების გავლა.** მხოლოდ სამი თვითო, შეთანხმებულან ქართველი მინისტრი და გერმანიის ელჩი საქართველოში. ან ქართველი მინისტრი და ან გერმანელი ელჩი მართლა თუ ფიქრობენ, რომ ამ გზით გერმანიაში ჩასული ქართველები ხელშეკრულების ოფიციალური ვადის გასვლის შემდეგ უკან დაბრუნდებიან, ძალიან შემცდარან. **მათთვის მთავარია, შეაღწიონ ამათუ იმ ქვეყანაში და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ საქართველოსკენ პირი აღარ ქნან, რადგან ამერიკელების მიერ აქ მოყვანილ ხელისუფალთა თაობებმა ხალხს სამშობლო ავ დედინაცვლად უქციეს. ხელისუფლება, რომელიც მადლიანი ქართული მიწის განმკარგავია, განა ევროპაში უნდა დაეძებდეს სოფლის მეურნეობის სეზონურ სამუშაოებს, ეს ხომ აბსურდია?!**

რა ვერ შეგიქმნიათ საქართველოში, რომელმა კულტურამ ვერ იხარა ქართულ მიწაზე, რომ ხალხიც დასაქმდეს, მოსახლეობაც გამოიკვებოს და აქ მოწეულმა პროდუქციამ სხვათა ბაზრებიც დაამშვენოს და გაამდიდროს? ოცდაათი წელიწადია დამოუკიდებლები ვართო, რომ გაჰყვირით, რა შეჰქმენით ამ ოცდაათი წლის განმავლობაში? რომელი დარგი და რომელი სფერო წამოსწიეთ? **საუკუნის წინათ სოციალისტურმა სისტემამ, რომელსაც თქვენ ჩამორჩენილსა და არაეფექტურს უწოდებთ, რამდენიმე წელიწადში კოლხეთის დაბლობზე ჭაობი დააშრო და უნიკალური ჩაის კულტურა გააშენა გადამამუშავებელი მთელი ინფრასტრუქტურით, რომელიც თვალუწვდენელ საბჭოთა კავშირს ჩაის პროდუქციით ამარაგებდა და საღვარგარეთაც გაჰქონდა. თქვენ კი ოცდაათი წელიწადი აშენებულისა და შექმნილის ნგრევა-განიავებას მოანდომეთ. ჩაის კულტურა მთლიანად მოსპეთ, გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურა დაანგრიეთ, ჯართად გაყიდეთ და, ახლა, ხალხს ეუბნებით, გერმანიაში სოფლის მეურნეობის სეზონურ სამუშაოზე გაგიშვებთო.** იმ სამი თვის შემდეგ გერმანიიდან დაბრუნებულმა ხალხმა რა ქნას, რა აკეთოს? იქ გამომუშავებული ფულით, რომელმაც შეიძლება გზის ხარჯებიც ვერ დაუფაროს, აქ როგორ და რამდენ ხანს იცხოვროს? ამაზე თუ გიფიქრიათ? რატომ იფიქრებდით, რა თქვენი საქმეა, ხალხი როგორ იცხოვრებს და რით გაიტანს თავს? გერმანიაში ამ საცოდავი ხალხის გაშვება, დარწმუნებული ვარ, მათ ბედზე თქვენი ზრუნვის შედეგი კი არ არის, გერმანელებს სეზონური მუშები რომ დასჭირდათ, როგორც იაფი მუშახელის ბაზა სახელმწიფოს, ალბათ, შეკითხვით მოგმართეს, ამგვარ კონტინგენტს ხომ არ გამოგვიგზავნითო და, თქვენც დათანხმდით. სულ ეს იყო საკუთარი ხალხის მიმართ გამოჩენილი თქვენი „მზრუნველობა“.

რა უნდა იყოს იმაზე დიდი უბედურება და ეროვნული ტრაგედია, როდესაც ხალხი სამშობლოდან გარბის, ქვეყანა როდესაც ცარიელდება და უპატრონოდ რჩება? ნათქვამია, უპატრონო ეკლესიას ეშმაკი დაეპატრონაო. რუსებსაც აქვთ მონათესავე ანდაზა — წმინდა ადგილი ცარიელი არ დარჩებაო. აკი, არც დარჩა ცარიელი. ათასი ჯურის ხალხით გაივსო და კიდევ უფრო გაივსება საქართველო. ძალიან დემოკრატები ამბობენ, ადამიანს თუ ინვესტიცია მოაქვს, საქართველოში ფულს აბანდებს და სასარგებლო საქმესაც აკეთებს, თანაც კანონმორჩილია და არაფერს აფუჭებს, მოქალაქეობაც მიიღოს, იყოს, იცხოვროს, საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდესო. ძალიან დემოკრატიულად თუ მივუდგებით საკითხს, იქნებ ასეც იყოს, მაგრამ ამ ძალიან დემოკრატიას ცოტა ხნით გვერდზე თუ გადავდებთ და საქმეს ლოგიკურად განვიხილავთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველების საქმე ვერ მიდის კარგად. **ასეთი სურათი ისახება: ქართველები საქართველოდან გარბიან, უცხოელები საქართველოში მორბიან. ჰოდა, ეს სურათი ახლო მომავლისთვის ასე** ▶

**«ჩვენ აქ მონები ვართ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ადრე ქართველებს უცხოელი დამპყრობლები გვყიდდნენ მონებად, მაგრამ მაშინ სხვა დრო და სხვა წყობილება იყო. ახლა კი, ამ დემოკრატიის ეპოქაში, ისეთი სიტუაცია შეგვიქმნეს, რომ ჩვენ თავს ნებაყოფლობით ვყიდით მონებად.” მემატიანემ კარგად უნდა აღნუსხოს ეს საშინელი სიტყვები, საქართველოში ამერიკული დემოკრატიისთვის გამოტანილი ეს უმძიმესი განაჩენი, რათა მომავალ თაობას ეჭვი არ შეეპაროს, რომ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის ნგრევის შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბებული რეჟიმი, რომელიც ხალხს დემოკრატიული ფასადით მოევლინა, სისასტიკის თვალსაზრისით არათუ ჩამორჩება მონათმფლობელურ სისტემას, ზოგიერთ რამეში აღემატება კიდეც»**

**საუკუნის წინათ სოციალისტურმა სისტემამ, რომელსაც თქვენ ჩამორჩენილსა და არაეფექტურს უწოდებთ, რამდენიმე წელიწადში კოლხეთის დაბლობზე ჭაობი დააშრო და უნიკალური ჩაის კულტურა გააშენა გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურით, რომელიც თვალუწვდენელ საბჭოთა კავშირს ჩაის პროდუქციით ამარაგებდა და საზღვარგარეთაც გაჰქონდა. თქვენ კი ოცდაათი წელიწადი აშენებულისა და შექმნილის ნგრევა-განიავებას მოანდომეთ. ჩაის კულტურა მთლიანად მოსპეთ, გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურა დაანგრიეთ, ჯართად გაყიდეთ და ახლა ხალხს ეუბნებით, გერმანიაში სოფლის მეურნეობის სეზონურ სამუშაოზე გაგიშვებთო.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## როდესაც ასე უზარმაზარი სახელმწიფოებიც კი საკუთარი იდენტობის დაცვისკენ არიან ორიენტირებულნი, ჩვენ, გადაშენების გზაზე მდგარი ქართველები, რომლებიც ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში თითქმის გავნახევრდით, რატომ ვართ ისე ძალიან დემოკრატები, რომ ჩვენს ერს, ჩვენს ჯიშს გადაშენებისკენ მივაქანებთ?! არის ამაში გლობალური პრობლემებისადმი არამარტო პროვინციული მიდგომის ნიშნები, არამედ ეპოქალური ტრენდის წინაშე მონური თავდადრეკის სამარცხვინო გამოვლინებაც...




◀ **ჩამოყალიბდება: საქართველოში არ იქნებიან ქართველები და იქნებიან უცხოელები. ძალიან დემოკრატიულად თუ შევხედავთ, არც ესაა პრობლემა. მთავარია, რომ საქართველომ აზიასა და ევროპას შორის დერეფნის როლი შეასრულოს; კასპიის ზღვიდან თურქეთისა და ევროპის მიმართულებით ენერგომატარებლების გამტარ ტერიტორიად დარჩეს; ოდესმე იქნებ ნატოსა და ევროკავშირის წევრობაც ეღირსოს; ერქვას დემოკრატიული სახელმწიფო; იცავდეს ადამიანის უფლებებს და ა.შ.** ჰოდა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ეთნიკური წარმომავლობის ხალხი იცხოვრებს ამ ტერიტორიაზე, მით უმეტეს, რომ ეროვნება საბუთებში მაინც არ იწერება. ასეთია ძალიან დემოკრატიული მიდგომები, მაგრამ, არის ერთი მაგრამ: **თუკი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები, ჩვენგან განსხვავებით, არც არიან და არც ისწრაფვიან ძალიან დემოკრატიულობისკენ, რაც იმას ნიშნავს, რომ უომრად და უსისხლოდ ტერიტორიის ერთ გოჯსაც კი არავის დაუთმობენ და არც არავის აპარპაშებენ თავიანთ სახელმწიფოებში, ჩვენ რატომ ჩამოვყალიბდით ძალიან დემოკრატებად?!**

მეზობელ სახელმწიფოებს თავი დავანებოთ, სადმე, რომელიმე სახელმწიფო არსებობს, რომელიც ამ თვალსაზრისით თადარიგს არ იჭერდეს და საზღვრები მოღიავებული ჰქონდეს? ევროპელებმა გაუღეს კარები ემიგრანტებს, **მაგრამ იმავე დღიდან საქმე საწანებლად გაუხდათ და ახლა ყველაფერს აკეთებენ, რომ დემოგრაფიული ბალასი შეინარჩუნონ. პრეზიდენტი ტრამპი მექსიკასთან მაღალი კედლის მშენებლობის იდეით იყო შეპყრობილი, რათა აშშ-ის მიმართულებით უკონტროლო მიგრაციული ნაკადი შეეჩერებინა.**

პრეზიდენტმა ბაიდენმა კი სახელმწიფო დეპარტამენტში მისი პირველი შეხვედრა ამ სიტყვებით დაიწყო, „ამერიკა დაბრუნდა!“ თანაც ეს სიტყვები ორჯერ გაიმეორა. როდესაც ასე უზარმაზარი სახელმწიფოებიც კი საკუთარი იდენტობის დაცვაზე არიან ორიენტირებულნი, ჩვენ, გადაშენების გზაზე მდგარი ქართველები, რომლებიც ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში თითქმის გავნახევრდით, რატომ ვართ ისე ძალიან დემოკრატები, რომ ჩვენს ერს, ჩვენს ჯიშს გადაშენებისკენ მივაქანებთ?! არის ამაში გლობალური პრობლემებისადმი არამარტო პროვინციული მიდგომის ნიშნები, არამედ ეპოქალური ტრენდის წინაშე მონური თავდადრეკის სამარცხვინო გამოვლინებაც...

### ევროპის მერცხალი

რა არის ის ეპოქალური ტრენდი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ? ესაა რუსოფობია, რომელსაც, მართალია, ფესვები წარსულში აქვს გადგმული, მაგრამ დღეს განსაკუთრებულ აქტუალობასა და სიმწვავეს იძენს. ევროპული რუსოფობია, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, **ნაპოლეონის** წარუმატებელი ლაშქრობიდან იღებს სათავეს. ამერიკული რუსოფობია შედარებით ახალგაზრდაა და მას ორი ძირითადი წყარო კვებავს.

**1.** იდეოლოგიური, რომელიც 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებულ იმ ალტერნატიულ წყობილებაზე რეაქციაა, იმთავითვე კაპიტალიზმის მესაფლავედ რომ იყო აღქმული და აღიარებული;

**2.** კონკურენცია მსოფლიო ლიდერობაში, რომელიც, ასევე, საბჭოთა პერიოდს უკავშირდება.

დღევანდელ დასავლურ რუსოფობიას განსხვავებული საფუძვლები გააჩნია:

**1.** რუსოფობია მექანიზმია დასავლეთის სისტემური კრიზისის სხვისთვის გადაბრალებისა;

**2.** რუსოფობია მექანიზმია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა და ვარშავის პაქტის სახელმწიფოებზე გავლენის მოპოვებისა და დაქვემდებარებისა.

თვით **საბჭოთა რესპუბლიკებსა და ვარშავის პაქტის სახელმწიფოებში რუსოფობია ხელოვნურად თავსმოხვეული და პროპაგანდის გამოყენებით გაღვივებული მოვლენაა, რომელიც რუსეთის ფაქტორით ამ სახელმწიფოთა მოქალაქეებში შიშის დანერგვის მიზანს ემსახურება, რათა საზოგადოებრივ ცნობიერებაში მუდმივად იყოს აშშ-ისა და ნატოს ქოლგის ქვეშ ყოფნის გამძაფრებული სურვილი და მოთხოვნილება.**

დღეს რუსოფობია ისტორიულ ანტისემიტიზმს ემსგავსება, რაც უაღრესად საშიში მოვლენაა, ვინაიდან რუსი ერი არ ჰგავს საკუთარ სახელმწიფოებრიობას მოკლებულ და მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ ებრაელობას, რომელსაც ანტისემიტიზმის ყოვლად სამარცხვინო გამოვლინებაზე საკადრისი პასუხის გაცემა არ შეეძლო. რუსი ერი სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი ერია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით და, რომელსაც გააჩნია მსოფლიოში უძლიერესი ბირთვული ტრიადა.რუსოფობიის ანტისემიტიზმთან მსგავსების შესახებ ანალოგიური აზრი სხვებსაც გამოუთქვამთ. მაგალითად შვეიცარიელი პოლიტოლოგი გი მეტანი წერს: **„რუსოფობია გვევლინება კოლექტიური ფსიქოლოგიის ფენომენად, რომელიც იკვებება ფაქტებისა და სიტუაციების იმგვარი ტენდენციური ინტერპრეტაციით, როდესაც, საბოლოო ჯამში, ყველაფერზე პასუხისმგებლობა რუსეთს და მის ლიდერს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვლადიმერ პუტინს ეკისრება. როგორც ანტისემიტიზმი, ასევე რუსოფობია არ არის დროებითი და გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელი მოვლენა. რუსოფობია, ისევე როგორც ანტისემიტიზმი, ტრანსფორმაციის შედეგად იღებს განსხვავებულ ფორმას იმის მიხედვით თუ რა კონტექსტშია მოქცეული ან რომელ სახელმწიფოში ვითარდება იგი. რუსოფობია არ არის შეთქმულება, ვინაიდან ღიად ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით“.** პატივცემულ ავტორი ყველაფერში მართალია, მაგრამ ბოლო დასკვნაში ვერ დავეთანხმები, ვინაიდან ადრე შეთქმულებისათვის დამახასიათებელი მთავარი ნიშანი ფარულობა თუ იყო, დღეს აშკარაა შეთქმულების სრულიად ახალი და უჩვეულო ფორმა — **ღია შეთქმულება.** შეიძლება გაგიკვირდეთ, ღია შეთქმულება რა შეთქმულებააო, მაგრამ, თუ დაუკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ ამერიკელებმა ეს უცნაური მოვლენა მყარად დაამკვიდრეს პრაქტიკაში. მაგალითად, ე.წ. ფერადი რევოლუციები, რომლებიც იწყება თუ არა, ყველამ იცის, რომ ეს არის შეთქმულება ამა თუ იმ სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ, რომელიც ღიად მიმდინარეობს და, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ყოველთვის მიზანს აღწევს. **ამერიკელთა დაუოკებელი სწრაფვა მსოფლიოზე ერთპიროვნული ბატონობისკენ, როგორც უნდა შეფუთონ იგი დემოკრატიზაციისა და გლობალიზაციის პროცესებით, ყველამ იცის, რომ მსოფლიოს წინააღმდეგ შეთქმულებაა, მაგრამ არც ეს სათაკილო განზრახვა წარმოადგენს საიდუმლოს ფართო საზოგადოებისთვის. ასე რომ, დასავლური რუსოფობია, რასაც ისინი ყოველგვარი გასაიდუმლოების გარეშე აღვივებენ, სწორედ რუსეთის წინააღმდეგ დაუფარავი შეთქმულებაა, რომელიც მსოფლიო დესტაბილიზაციის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.** დასავლეთის მიერ გაღვივებული რუსოფობიის უმთავრესი ნიშანი მისი მოდად ქცევაა. სხვათა შორის, ეს ძალიან სწორად გათვლილი და კარგად დამუშავებული ფსიქოლოგიური მომენტია. **მასას ცოდნა არ იტაცებს, რომელიც მძიმე შრომით მოიპოვება. მასას მოდა იტაცებს, რომელსაც შრომა არ სჭირდება. მოდურ აზროვნებას აყოლილ ნებისმიერ სულელს მარტივად შეუძლია ფეხქვეშ გათელოს საღი აზრი, დღესავით ნათელი პოზიცია, ჭეშმარიტება. მოდას აყოლილ სულელთა არმიას არ სჭირდება ლოგიკური აზროვნება, ფაქტების ცოდნა, არგუმენტაცია, მათთვის საკმარისია ტელეეკრანებსა და ინტერნეტსივრცეში ქირქილი, ე.წ. ფეიკინფორმაციის გავრცელება და თავისმოწონება იმით, რომ პროგრესულად და თავისუფლად აზროვნებენ.** მათ არ იციან, რომ, თუ რამეს არიან ძალიან დაშორებული, ეს სწორედ თავისუფლებაა. ისინი არა, უბრალოდ, მონები, არამედ საშინლად თავდაჯერებული მონები არიან იმისა, რაც, ლაბორატორიულად და მეცნიერულად დამუშავებული მეთოდებით, შეგნებულად და მიზანმიმართულად გაუფეტიშეს და მოდად უქციეს. **ისინი ნებაყოფლობით ხდებიან რა მონები მათთვის სპეციალურად შექმნილი თეორიისა, სინამდვილეში მონები ხდებიან იმ მოდის შემქმნელებისა და კანონმდებლებისა.** რუსეთში აშშ-ისა და ევროპის „მეხუთე კოლონის“ ერთ-ერთი წარმომადგენლის **ალექსეი ნავალნის** დაპატიმრების გამო დასავლეთში ატეხილი ვაი-უშველებელი ერთი ნათელი მაგალითია დასავლური პოლიტიკური სტრუქტურების რუსოფობიის გაღვივების სამსახურში ღიად დგომისა. ევროკავშირის საზღვარგარეთთან ურთიერთობებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი **ჟოზეპ ბორელი** რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ევროდეპუტატების მძაფრი კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოექცა. მას დაუწუნეს ლავროვთან საუბრის ტონი და რუსეთის წინაშე პოზიციების დათმობის პოლიტიკა. ბორელმა, თავის მხრივ, უაღრესად საყურადღებო განცხადება გააკეთა: **„მე ბრიუსელში დავბრუნდი რუსეთის საზოგადოების განვითარების პერსპექტივითა და რუსეთის გეოსტრატეგიული არჩევანით ღრმად შეშფოთებული. ჩემმა შეხვედრამ მინისტრ ლავროვთან და ამ ვიზიტის დროს რუსეთის ხელისუფლებიდან წამოსულმა მესიჯებმა დაადასტურეს, რომ ევროპა და რუსეთი შორდებიან ერთმანეთს. სჩანს, რომ რუსეთი თანდათანობით წყვეტს კავშირს ევროპასთან და დემოკრატიულ ფასეულობებს განიხილავს, როგორც ეგზისტენციალურ საფრთხეს“.**

როგორც ხედავთ, განცხადება მართლაც სერიოზული და დამაფიქრებელია, მაგრამ დეპუტატებს ფიქრისთვის არ ეცალათ. იმ დღეს ევროპის პარლამენტის დარბაზში ეპოქალური ტრენდი ბობოქრობდა, მოდად ქცეული რუსოფობია ზეიმობდა. ერთად-ერთი დეპუტატი, რომელიც ტრენდის კონტექსტიდან ამოვარდა და მოდურ აზროვნებას გაემიჯნა ირლანდიელი **კლერ დეილი** იყო:

**„გაუთავებელი რუსოფობიური რიტორიკის ფონზე, რომელიც ამ დარბაზში გაისმის, მსურს შეგეკითხოთ: რატომ გიკვირთ ის ფაქტი, რომ ევროკავშირთან ურთიერთობას რუსეთი უაზრობად მიიჩნევს? მე სხვებზე ნაკლებად არა ვარ მზად ნებისმიერი ადამიანის, მათ შორის, ალექსეი ნავალნის უფლებების დასაცავად, მაგრამ ვიყოთ პატიოსნები. რუსეთში მას ოთხპროცენტიანი მხარდაჭერაც არა აქვს. ასეთ შემთხვევაში მისი მხარდამჭერი აქციების რომელ მასობრიობაზეა საუბარი?! იგი რუსეთის ნაცვლად სხვა რომელიმე სახელმწიფოში რომ იყოს დაპატიმრებული, აქ მისი საკითხის განხილვა საერთოდ არ იქნებოდა. ჯულიან ასანჟი, ამერიკელების მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულთა მხილების გამო, ათი წელიწადია, იტანჯება, მაგრამ ჩვენ ამ დარბაზში მისი სახელის ხსენებასაც ვერ ვბედავთ. ხვალ კი, მისი სიმღერის ტექსტის გამო, გისოსებს მიღმა აღმოჩნდება კატალონიელი რეპერი პაბლო ასელი, მაგრამ თქვენგან არ ისმის მოწოდებები, რომ ესპანეთს ამის გამო სანქციები დაუწესონ. დასავლეთ ვირჯინიაში, არაძალადობრივ აქციაში მონაწილეობის გამო, ციხეში უშვებენ 62 წლის კლერ გრეიდის, მაგრამ არ ისმის თქვენი მოთხოვნა აშშ-თან ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. რას ვაკეთებთ? რა არის ეს? აქ საქმე ადამიანის უფლებების დაცვაში კი არა, რუსეთთან გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაშია, რაც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიერ არის წაქეზებული, ვინაიდან მას მრავალმილიონიანი ხარჯების გასამართლებლად მტრის ხატი სჭირდება. ჩვენ რუსეთთან დიალოგის გზით უნდა ვიაროთ და არა საომარი რიტორიკის გზით“.**

ნათქვამია ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო. მე რომ მკითხონ, გაზაფხულს ვერც ერთი მერცხლის ჭიკჭიკი მოიყვანს და ვერც ათასი მერცხლის. ის მერცხლები (ერთი იქნება თუ ათასი) თვითონ მოჰყავს გაზაფხულს. ამიტომ ერთი მერცხალი, თუ სადმე აჭიკჭიკდა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ გაზაფხული კარსაა მომდგარი. სწორედ, გაზაფხულის მაცნე მერცხლის ჭიკჭიკს ჰგავდა მონობისგან განთავისუფლებული დეპუტატის, ქალბატონ **კლერ დეილის** გამოსვლა ევროპარლამენტის სხდომათა დარბაზში...

**ვალერი კვარაცხელია**

**P.S. დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა ისიც, ვინც მსოფლიოში მონობის ფსიქოლოგიას ნერგავს. სიცრუეა მათი უპირველესი იარაღი და სიცრუის აბლაბუდაში ეხვევიან თვითონაც. ყველაზე დიდი სიცრუე მათ მიერვე შექმნილი მითია ამერიკელთა გამორჩეულობის შესახებ, რაც იდეოლოგიის რანგში ჰყავთ აყვანილი. აშშ-ის პრეზიდენტი, სანამ ძალმოსილებაში შევა, ქვეყნისა და ხალხის წინაშე ფიცს წარმოსთქვამს და ამ დროს ხელი ბიბლიაზე უდევს. ამაზე ზუსტად შენიშნა პრეზიდენტმა პუტინმა: „Они клятву произносят своему народу на чем? На Библии. А в Библии что сказано? Что перед Господом все равны. В Библии брак — это союз между мужчиной и женщиной. Он клянется на Библии, и нарушает ее. Значит, он нарушает данную им клятву американскому народу. В этих вещах очень много противоречий“.**

**არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები და რა მოხდება მომავალში, მაგრამ ერთი რამ ცხადზე უცხადესია: მსოფლიო გასათავისუფლებელია სიცრუისა და ძალმომრეობის, მოსყიდვისა და დამონების იმ საშინელი წნეხისგან, რომლის დანერგვასაც ამერიკელები ასე დაჟინებით ცდილობენ.**

**ვ.კ.**

**დაუსჯელობის სინდრომი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში ყოფნის მესამე ვადის ათვლა დაიწყო და, წინა ორ ვადას რომ გადავხედოთ, დავინახავთ, რომ ეს პერიოდი მათ ნაციონალებთან ბრძოლასა და ხელისუფლებაში დარჩენას მოანდომეს. სხვა არაფერი ყოფილა, რეალურად არც ერთი დაპირება არ შესრულებულა ასი პროცენტით, მოსახლეობა უფრო გაღარიბდა, ემიგრაციაში წასულთა რაოდენობა უფრო გაიზარდა და მხოლოდ ერთეულთა ქონებას დაეტყო ის, რომ ქვეყანაში 2012 წელს რაღაც შეიცვალა.**

# სახელმწიფო გვაქვს თუ ბანანის რესპუბლიკა?!

**ევროპელ ელჩებს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმურობაში ეჭვი არ შეაქვთ. ფასილიტატორი ელჩები მოლაპარაკებების მაგიდიდან ადგნენ და ოპოზიციას პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდეს. ამის მიუხედავად, ოპოზიციის უდიდესი ნაწილი გარეთ დარჩა და აქციებისთვის ემზადება, თუმცა ნათლად ჩანს, რომ აქციებს მხარს არც დასავლეთი დაუჭერს და, საზოგადად, ოპოზიციას არც ადამიანური რესურსი აქვს იმისა, რომ ქუჩაში ხალხი მასობრივად გამოიყვანოს. შედეგად, ოპოზიციის პროტესტი და სიჯიუტე განწირული იყო, მაგრამ ხელისუფლებამ მოიფიქრა და... პროცესი გააცოცხლა. ყველაფერი კი ნიკა მელიას უკავშირდება.**



მელია, ხელზე სამაჯური როცა გაუკეთეს, დეპუტატი და „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრი იყო. მერე მან სამაჯური დემონსტრაციულად მოიხსნა და ხალხში ისროლა. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია, რადგან, ჯერ ერთი, სამაჯურის მოხსნა სპეციალური მოწყობილობის გარეშე შეუძლებელია, ის ზიანდება და, შესაბამისად, მელიას რამდენიმე ასეული ლარი უნდა გადაეხადა. პარალელურად, თვითნებურად სამაჯურის მოხსნაც დანაშაულია, მაგრამ მელიას აპატიეს ერთიცა და მეორეც და გირაო შეუფარდეს; ის გირაო, რომელსაც ვარაუდობდნენ, რომ არ გადაიხდიდა, მაგრამ, სანამ მისი გადახდის ვადა მოვიდა, მელია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარედაც აირჩიეს და პარლამენტარადაც. შესაბამისად, მივიღეთ ის მოცემულობა, რომ ახლა **პროკურატურა მთავარი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარესა და პარლამენტის წევრს ემუქრება დაჭერით, რაც პროცესს აშკარად პოლიტიკურ ელფერს სძენს. რამდენიც უნდა ამტკიცოს ცალკე პროკურატურამ და ცალკე ხელისუფლებამ, კანონის ფარგლებში ვმოქმედებთო, დასავლეთს ამის დაჯერება გაუჭირდება და მელია პოლიტიკური წამებულის მანტიას მოირგებს.** არადა, თავის დროზე, აქციაზე სამაჯურის მოსროლის შემდეგ რომ დაეკავებინათ, ხმას ვერავინ ამოიღებდა, მაგრამ ვერ გარისკეს, მაშინ ქუჩაში რამდენიმე ათასი ადამიანი იდგა და არეულობის შეეშინდათ. **უკანონობა შობს ახალ უკანონობას და მელიასაც ფრთები შეესხა. მან ზუსტად იცის, რომ ახლა, სწორედ ახლა უნდა გაწყვიტოს იქ, სადაც ვიწროა და ხელისუფლების, სამწუხაროდ, ვიწრო სწორედ მათ მხარესაა.**

პროკურატურამ პარლამენტს მელიასთვის იმუნიტეტის შეჩერების საკითხზე მეორედ მიმართა. როგორც მმართველი გუნდის ლიდერმა **მამუკა მდინარაძემ** განაცხადა, „ქართული ოცნება“ იმუნიტეტის შეჩერებას მხარს დაუჭერს და შემდეგ უკვე პროკურატურამ უნდა იმოქმედოს და მელიას ბორკილები დაადოს, მაგრამ ეს მარტივი არ იქნება. **როგორც გვეუბნებიან, რეგიონებში უკვე აქტივი შეკრებილია, მელია „ნაციონლური მოძრაობის“ ოფისში გამაგრდება, მის გარშემო კი — 2-3 ათასი აქტივისტი, რომელიც პოლიციისთვის წინააღმდეგობის გასაწევად საკმარისი იქნება. სამართალდამცავებს სპეცდანიშნულების რაზმის ჩართვაც კი მოუწევს იმისთვის, რომ მელია შენობიდან გამოიყვანოს...** შეტაკების შედეგად რამდენიმე ადამიანის დასისხლიანებულ სახეს ოპოზიცია სათავისოდ გამოიყენებს და ამ კადრებს მსოფლიოს ანახვებს.

მხოლოდ ნიკა მელიას მიმართ არ იქცევა ასე ხელისუფლება. არც ისე დიდი ხნის წინათ მიღებული კანონის მიხედვით, კომენდანტის საათის დარღვევა პირველ ჯერზე 2 ათასლარიან ჯარიმას იწვევს, მეორედ კი იგივე ქმედება უკვე 3-წლიანი თავისუფლების აღკვეთით ისჯება. **ბოლო ერთ კვირაში კომენდანტის საათი ზურაბ გირჩი ჯაფარიძემ ორჯერ დაარღვია, მაგრამ აზრადაც არავის მოსვლია, მისთვის ბრალი წარედგინათ. კონკრეტულად ჯაფარიძის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს, მაგრამ ანალოგიური ქმედების გამო რიგით მოქალაქეს ხომ დაიჭერდნენ? და ჯაფარიძეს რატომ არ ეხებიან?** ჯაფარიძე ოპოზიციაშია და ჩვენ, რიგითი ადამიანები, დაბალი ღობე გვნახეს? რაც მთავარია, ამ ყველაფერს ოპოზიციის ლიდერები არ აკეთებენ მალულად, ისინი კანონს არღვევენ საჯაროდ, კამერების წინ, რათა მთელმა საქართველომ დაინახოს ხელისუფლების უსუსურობა.

ისე, როცა „ოცნება“ ქვეყნის სათავეში მოვიდა და მთავარი პირობა, რეჟიმს გავასამართლებო, ვერ შეასრულა, ითქვა, ესენი უნიათოები არიანო. ამას, მხოლოდ „ოცნების“ ამომრჩევლები კი არა, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებიც ამბობდნენ, ღიად დასცინოდნენ შემცვლელებს და რეალურადაც გამოჩნდა, რომ უნიათობამ საქმე დღევანდელ ვითარებამდე მიიყვანა. **სისხლიანი ცხრა წლის ძახილით ხელისუფლებაში მოსულმა გუნდმა იმდენი მოახერხა, რომ იმ სისხლიანი რეჟიმის შემქმნელებს ფიანდაზი დაუგო კვლავ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად და ახლა დიდი შანსია იმისა, რომ ამ დაგებულ ფიანდაზზე ნაციონალებმა ამაყად გაიარონ. აი, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ისინი უნიათოები არ იქნებიან და ცეცხლითა და მახვილით ჩაახშობენ ყველას და ყველაფერს, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემათ.**

**ხელისუფლებაში სისხლიანი ცხრა წლის ძახილით მოსულმა გუნდმა იმდენი მოახერხა, რომ იმ სისხლიანი რეჟიმის შემქმნელებს ფიანდაზი დაუგო კვლავ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად და ახლა დიდი შანსია იმისა, რომ ამ დაგებულ ფიანდაზზე ნაციონალებმა ამაყად გაიარონ. აი, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ისინი უნიათოები არ იქნებიან და ცეცხლითა და მახვილით ჩაახშობენ ყველას და ყველაფერს, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემათ**

„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში ყოფნის მესამე ვადის ათვლა დაიწყო და წინა ორ ვადას რომ გადავხედოთ, დავინახავთ, რომ ეს პერიოდი მათ ნაციონალებთან ბრძოლასა და ხელისუფლებაში დარჩენას მოანდომეს. სხვა არაფერი ყოფილა, რეალურად არც ერთი დაპირება არ შესრულებულა ასი პროცენტით, მოსახლეობა უფრო გაღარიბდა, ემიგრაციაში წასულთა რაოდენობა უფრო გაიზარდა და მხოლოდ ერთეულთა ქონებას დაეტყო ის, რომ ქვეყანაში 2012 წელს რაღაც შეიცვალა. არადა, ეს რაღაც ხელისუფლება იყო და მაშინ ყველას სჯეროდა, რომ, როგორც იქნა, არჩევანი ცუდსა და უარესს შორის კი არა, კარგსა და ცუდს შორის გააკეთა. ეს მაშინ, თორემ მერე ჩვეულებრივად გაგრძელდა — **ცუდსა და უარესს შორის აკეთებდა ხალხი არჩევანს და ასე იყო ბოლო არჩევნებზეც.** თუ „ოცნებაში“ ვინმეს ჰგონია, რომ მოსახლეობამ მხარი მათ მომავლის იმედისა და გაკეთებული საქმეების გამო დაუჭირა, ძალიან ცდება. ისინი ხელისუფლებაში მხოლოდ იმიტომ დარჩნენ, რომ „ნაციონალური მორაობა“ არ დაბრუნებულიყო და ახლა იგივე ამომრჩეველი ძალიან გაბრაზებულია, როცა ოპოზიციის კანონდარღვევაზე ხელისუფლება თვალს ხუჭავს. ეს სიბრაზე შურისძიების წყურვილში როცა გადავა, მაშინ წავა „ოცნების“ საქმე საბოლოოდ უკუღმა. შურისძიებაში კი იმას ვგულისხმობთ, რომ ხელისუფლებაში ნაციონალების დაბრუნების შემთხვევაში, პირველად სწორედ მათ არ დაადგებათ კარგი დღე, ვინც საქართველოდან ვერ გაასწრებს. **ისე, ბევრი გაიქცევა და ევროპაში ფეშენებლურ სახლებშიც იცხოვრებს, იმ სახლებში, ქონებრივ დეკლარაციებში რომ აქვთ დიდი ასოებითა და სასოებით მითითებული და რომელიც ნაძარცვი ფულით არის შეძენილი...**

ისევ ნიკა მელიას დავუბრუნდეთ. **სადმე გინახავთ ან გსმენიათ, რომ ადამიანი ამბობდეს, კანონს ვარღვევ, შეგნებულად მივდივარ დანაშაულზე, მაგრამ ვერ დამიჭერენო? ევროპისკენ რომ ვიმზირებით, რომელიმე ევროპული ქვეყნის ოპოზიციონერს გაუკეთებია ეს?** არა, რადგან იქ კანონი უზენაესია და ყველამ იცის, კანონდარღვევაზე თვალს არავინ დახუჭავს. ჩვენთან კი პირიქით — თუ კანონს არღვევ, ე.ი., მაგარი ტიპი ხარ და მხარდამჭერებიც შენს სახელს სკანდირებენ. ახლაც, **აქტივს რომ აგროვებს „ნაცმოძრაობა“, ხომ იმისთვის აგროვებს, რომ კანონის აღსრულებას ხელი შეუშალონ?** და ეს თითოეულმა მათგანმა იცის, მაგრამ **დაუსჯელობის სინდრომი აქვს ოპოზიციას ძვალსა და რბილში გამჯდარი და ეს სწორედ ხელისუფლების დამსახურებაა.** ისინი მივიდნენ აქამდე, მათ მისცეს უფლება ადამიანებს, ერწმუნათ, რომ ოპოზიციის სახელს უკან ამოფარება მათ ყველაფრის კეთების შესაძლებლობას მისცემდა, თორემ ჩემი მეზობელი ღამის ათის ორ წუთზე რომ შემოვიდა თავისი კორპუსის ეზოში და ორიათასლარიანი ჯარიმა გულის ჯიბეში ჩაუდო პატრულმა, ეგ „გამწვანებულია“. უკეთესს გეტყვით: მეგობარს სიძე მოუკვდა და წასვლა გადაწყვიტა, 144-ზე დარეკა და იქ უარი უთხრეს, საშვს ვერ მოგცემთ, ადრე გასულიყავით და ჩაასწრებდითო. ადრე როგორ უნდა გასულიყო, როგორ უნდა ეფიქრა, რომ 46 წლის კაცს თრომბი მოუღებდა ბოლოს?! თუ **მაინცდამაინც 5-ნომრიანი პლაკატი უნდა გაეკრა მანქანაზე და არავინ არაფერს ეტყოდა?**

ნამდვილად ვერ გეტყვით, რა იქნება ამ კვირაში. სწორედ ახლა უნდა გაირკვეს, **საქართველო სახელმწიფოა თუ ბანანის რესპუბლიკა.** ჰო, ის ბანანის რესპუბლიკა, ბოლოს ხშირად რომ ახსენებენ, და რადგანაც ეს მაღალი თანამდებობის პირების ბაგეთაგან ისმის, პასუხს არავინ სთხოვს, თორემ ჩვენ რომ ვთქვათ, ჰომოფობებს დაგვიძახებენ და შეიძლება დაგვაჯარიმონ კიდეც. **ჩვენ არ ვითხოვთ კონკრეტული პირების დასჯას, ჩვენ ვითხოვთ, კანონი ყველასთვის კანონი იყოს და მისი შესრულება — სავალდებულო! სხვაგვარად არაფერი გამოვა და მოსახლეობა ნდობას კი არ დაკარგავს, შურისძიება მოუნდება; შურისძიება მათზე, ვინც აირჩია და უკვე მერამდენედ არ გაამართლა.**

**თუ «ოცნებაში» ვინმეს ჰგონია, რომ მოსახლეობამ მხარი მათ მომავლის იმედისა და გაკეთებული საქმეების გამო დაუჭირა, ძალიან ცდება. ისინი ხელისუფლებაში მხოლოდ იმიტომ დარჩნენ, რომ «ნაციონალური მორაობა» არ დაბრუნებულიყო და ახლა იგივე ამომრჩეველი ძალიან გაბრაზებულია, როცა ოპოზიციის კანონდარღვევაზე ხელისუფლება თვალს ხუჭავს.**
**ეს სიბრაზე შურისძიების წყურვილში როცა გადავა, მაშინ წავა «ოცნების» საქმე საბოლოოდ უკუღმა. შურისძიებაში კი იმას ვგულისხმობთ, რომ ხელისუფლებაში ნაციონალების დაბრუნების შემთხვევაში, პირველად სწორედ მათ არ დაადგებათ კარგი დღე, ვინც საქართველოდან ვერ გაასწრებს**

**ბესო ბარბაქაძე**

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მე გარკვეულწილად რწმენით შევყურებ მმართველი გუნდის წარმომადგენელთ და ვურჩევ მათ, როგორც შვილებს: შინაური, ჩასაფრებული მტრების წისქვილზე ნუ დაასხამთ წყალს... ასევე ვურჩევ და ვთხოვ მათ: ნუ დავდგებით ოკეანისგაღმელთა იმედით, ჩვენი ერის ზნეობას, ღვთიურ მადლს, არსობას, ღვთისმშობლის წილხდომილობას დროებითი სავარძლებისა და ფუფუნების საპირწონედ ნუ დავდებთ. ამ ქვეყნიდან ვერარას წავიღებთ, გარდა ჩვენი კეთილი და ბოროტი საქმეებისა“.**



## მამა ბასილი (მკალავიშვილი):

# ამ ქვეყნიდან ვერარას წავიღებთ, გარდა ჩვენი კეთილი და ბოროტი საქმეებისა

**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ უმოკლეს ვადაში დამტკიცებული კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ახალი ვაქცინა „ფაიზერი“, რომელსაც საქართველო, როგორც ამ დღეებში პრემიერმა განაცხადა, უახლოეს პერიოდში მიიღებს, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში კვლავ აქტიური განხილვის საგანია. ეჭვებსა და აზრთა სხვადასხვაობას, რომლებიც საბოლოოდ დიდ უნდობლობას განაპირობებს, ძირითადად, ორი საკითხი იწვევს: პირველი — არის თუ არა ახალი ანტივირუსული საშუალება უსაფრთხო (ეს ჯერ არავინ არ იცის) და მეორე — იქნება თუ არა ვაქცინაცია რეალურად ნებაყოფლობითი (ესეც საკითხავია), თუმცა ერთი რამ, რაც უკვე გარკვეულია და დანამდვილებით ვიცით (თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლებისგანაც და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისგანაც), არის ის, რომ ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყნებში ვაქცინაციას კოლოსალური თანხით დააფინანსებს, მათ შორის საქართველოშიც.**
**რატომ არიან დაინტერესებულნი გავლენიანი დასავლური ინსტიტუციები საქართველოში ვაქცინის შემოტანით და იქნება თუ არა ვაქცინაცია ნებაყოფლობითი — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილი (მკალავიშვილი).**

**— მამაო, ამ დღეებში პრემიერმა მედიით გვაუწყა, რომ საქართველო უახლოეს პერიოდში მიიღებს კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ახალ ვაქცინას, რომლის შემოტანის აქტიური მხარდამჭერი ევროკავშირიცაა. პრემიერს თუ დავუჯერებთ, მათი მიზანია, წლის ბოლომდე მოსახლეობის 60 პროცენტი აიცრას. თქვენ, როგორც სასულიერო პირი, რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ! ჩვენთან არს ღმერთი! სანამ კითხვაზე გიპასუხებთ, მინდა, ვამცნო საზოგადოებას, რამ გამოიწვია ეს საშინელი ვირუსი. ბიბლიაში შავით თეთრზე წერია: **საშინელი სენი მაშინ მოეწეოდათ, როცა კაცობრიობას ურწმუნოება იპყრობდა და სიბილწის მორევისკენ მიექანებოდა (წარღვნა, სოდომ-გომორი...)** ამის შესახებ ინტერვიუებში ვაფრთხილებდი ყველას, ვამხელდი ყოველგვარ უკეთურობას და ვამცნობდი იმ უბედურებების შესახებ, რომლებიც დღეს ვიწვნიეთ. ღმერთის სასჯელმა არ დააყოვნა. **ეს ჩვენ დავიმსახურეთ იმ ქვეყნებისგან, რომელთაც თვალებში შევციცინებთ, შველას მათში ვხედავთ და ღმერთი გვავიწყდება, სწორედ ამერიკა და ევროპა მოგვიწოდებს, დავიცვათ მამათმავალთა და მათ მიმდევართა ინტერესები.**

ახლა დავუბრუნდეთ კითხვას. როგორც ვიცით, ხელისუფლება, მედიასაშუალებები აცხადებენ, რომ შემოდის კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, ვაქცინაცია ნებაყოფლობითია (თუ მიღმა არაფერი არ იმალება). ცნობილია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მედიკამენტების შექმნას, გამოცდას და ა.შ. წლები სჭირდება. ნებისმიერ წამალს, რომელსაც აფთიაქებში ვიძენთ, ანოტაცია მოჰყვება, რომელშიც აღნიშნულია წამლის თანამდევი მოვლენები. შემოთავაზებული ვაქცინის შესახებ კი არავინ არაფერი არ იცის. ასე ექსპრეს-მეთოდით როგორ შექმნეს, როგორ გამოსცადეს? რა თქმა უნდა, საზოგადოებას გაუჩნდება ეჭვი: რამე ეშმაკისეული ხსნარი არ შეიყვანონ ადამიანების ორგანიზმში. მართალია, აცხადებენ, რომ აცრა ნებაყოფლობითია, მაგრამ დადის ხმები, რომ, ვინც არ აიცრება, სერიოზული პრობლემები შეექმნება, მათ შორის, დაითხოვენ სამსახურიდან, აეკრძალებათ სავაჭრო ოპერაციები, ვერ იმოგზაურებენ... აიძულებენ, აიცრან. თუ ეს ასე მოხდება და თუ ის ხელისუფალი, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა იმედით შეჰყურებს, მსგავს რაიმეს ჩაიდენს, მაშინ ეს საქციელი საკუთარი ხალხის გენოციდის ტოლფასი იქნება; და ჩავთვლით, რომ საქართველოს წინაპართა სისხლით ნაწერი ისტორია უცხოა მათთვის. საერთოდ, ეს მეტად მტკივნეული ფენომენია, რადგან თითოეული ჩვენგანი წარვდგებით საშინელი სამსჯავროს წინაშე, სადაც **„განცხადდება, ვის რაი ექმნას ამ ცოდვილ დედამიწაზე და მიეზღვებათ საქმეთთა მათთაებრ“.**

მე გარკვეულწილად რწმენით შევყურებ მმართველი გუნდის წარმომადგენელთ და ვურჩევ მათ, როგორც შვილებს: შინაური, ჩასაფრებული მტრების წისქვილზე ნუ დაასხამთ წყალს... ასევე ვურჩევ და ვთხოვ მათ: **ნუ დავდგებით ოკეანისგაღმელთა იმედით, ჩვენი ერის ზნეობას, ღვთიურ მადლს, არსობას, ღვთისმშობლის წილხდომილობას დროებითი სავარძლებისა და ფუფუნების საპირწონედ ნუ დავდებთ. ამ ქვეყნიდან ვერარას წავიღებთ, გარდა ჩვენი კეთილი და ბოროტი საქმეებისა.**

**— ვაქცინაციისთვის 40 მილიონ დოლარს გამოყოფს ევროკავშირი და ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. როგორ ფიქრობთ, რა ინტერესი შეიძლება მათ ჰქონდეთ?**

— ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანი ხვდება მიზანს. გჯერათ, რომ ჩვენ, ერთი ციცქნა ქართველი ქრისტიანი ერი, ვებრალებით და დახმარების ხელს გვიწვდიან?! საქართველოს დავალებები აქვს მოცემული, რომლებიც ანტიდისკრიმინაციული კანონის სახით მოგვახვიეს თავს და ვალდებულად გვთვლიან, შევასრულოთ მათი მითითებები. შეგახსენებთ აშშ-ის მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტის, ამჟამად კი პრეზიდენტ **ჯო ბაიდენის** სიტყვებს: **„მე არ მაინტერესებს თქვენი კულტურა. კულტურა აქვს იმ ერს, რომელიც იცავს ლგბტ საზოგადოების ინტერესებს“. ჩემი აზრით, ამ ფრაზაში ყველაფერია ნათქვამი,** ამიტომ დიდი დაფიქრება გვმართებს ვაქცინაზე. როგორც სასულიერო პირი, გამოვხატავ პოზიციას: **შევიკავოთ თავი!** ვფიქრობ, მოკლე ხანში გაირკვევა ყოველივე, ვინ არის დაინტერესებული ამ ვაქცინის გაყიდვა-გასაღებით.

**— მამაო, თუ მაღალი იერარქები მხარს დაუჭერენ ვაქცინაციას, ეს დამაბნეველი და ზიანის მომტანი ხომ არ იქნება საზოგადოებისთვის? მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უკვე დაიწყო აღნიშნული ვაქცინით აცრა...**

— რა თქმა უნდა, დამაბნეველი იქნება და ახლაც ურთიერთგამომრიცხავი აზრი მკვიდრდება მოსახლეობაში. ხალხიც საკმაოდ ინფორმირებულია. თვალყურს ვადევნებ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს. მართალაც დაიწყო სხვადასხვა ქვეყანაში ვაქცინაცია, მაგრამ, მაგალითად, საბერძნეთში ვაქცინაციის შედეგად რამდენიმე პიროვნებას კრუნჩხვები დაემართა, რამდენიმე ორსულს მუცელი მოეშალა. უარყოფითი შედეგები აშკარაა. თითოეული ადამიანი ინდივიდუალურია არჩევანის მიმართ. ჩვენ შეგვიძლია, ვურჩიოთ, მათ კი უფლება აქვთ, არჩევანი გააკეთონ, მაგრამ სასურველია, თითოეულმა ეს ყველაფერი გააანალიზოს...

**— მამაო, რას ურჩევთ საზოგადოებას, თუ ხალხზე ზეწოლა მოხდა, რათა გაიკეთონ ვაქცინა, როგორ უნდა დაუპირისპირდეს ამას საზოგადოება?**

— სიმართლე გითხრათ, ვერ წარმოვიდგენ, პრემიერ **გახარიას** სიტყვების უკან იყოს ისეთი რამ, რაც ავნებს მის ერს. ღმერთი ამას არ დაუშვებს. საზოგადოებას ვურჩევ გააცნობიეროს, რომ ჭირი თუ ლხინი ღმერთისგან მოდის და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ ლოცვა-ვედრება გვიშველის. **მადლობა უფალს, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველომ შინაურ მტრებთან ჭიდილის ფონზე მეტ-ნაკლებად თავი გაართვა საშინელ ეპიდემიას.** სამწუხაროა, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საბერძნეთშიც, ეკლესიები დაიკეტა და ხალხს ლოცვის საშუალებას არ აძლევენ. კვლავ მადლობა უფალს, საქართველოში ეს პრობლემა არ გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ანტიქრისტიანული, ბნელი ძალები ყველაფერს აკეთებენ ჩვენში უფლის მიმართ სიყვარულის ჩასაკლავად.

**— დასასრულ, როგორ შეაფასებთ სინოდის სხდომას, რომელიც გასულ კვირას ჩატარდა?**

— ამ საერთო გასაჭირთან ერთად მეტად სერიოზული და აღმატებული ტკივილი გვაწუხებს. ჩვენი ტკივილია დავითგარეჯა, ჩვენი ტკივილია ქართველთმოძულე **სააკაშვილის** მიერ გასხვისებული საქართველო, ჩვენი ტკივილია ერის დანაწევრება, მტრობა, შუღლი, გაუთავებელი უთანხმოება, ჩვენი ტკივილია ეკლესიის წიაღში შექმნილი ქაოსი. მე **ძალიან უკმაყოფილო ვარ ამჟამად ჩატარებული სინოდის კრებით... იქ იმდენი გადაუჭრელი პრობლემაა, ისეთი უწესრიგობაა, ვერ გაუგიათ, ვინ რას აკეთებს მტრის გულის გასახარად.** ყველა თავის ნებაზეა მიშვებული. **ილია II** ძალიან მოხუცია და ყველას ვერ აკონტროლებს, რის გამოც განსაკითხავი ხდებიან. ხშირად გვესმის სარწმუნოების დაუძინებელი მტრების, **სააკაშვილის** ტელევიზია „მთავარი არხის“ წარმომადგენელთაგან ბილწი, უხამსი მიმართვა როგორც ეპისკოპოსების, ასევე მღვდლების მიმართ, სხვა ტელეარხებიდანაც. სარგებლობენ არეულობით და სახელს უტეხავენ ეკლესიას, ამიტომაც იმდეგაცრუებულნი და უნებისყოფონი გადადიან სხვადასხვა სექტაში. **ეკლესიაში მოკალათებულნი არიან ჯალათი სააკაშვილის მომხრე მაღალი იერარქიის წარმომადგენლები, რომლებიც მის ჩამოსვლას ელოდებიან, რათა მოახდინონ სახელმწიფო გადატრიალება, როგორიც მოხდა 1991-92 წლებში, როცა საპატრიარქოს მთავარეპისკოპოსებმა მხარი დაუჭირეს პუტჩისტებს და პირველი პრეზიდენტი განდევნეს სამშობლოდან, რის შემდეგაც წყვდიადში მივემართებით.** მოვითხოვთ საქართველოს პროკურატურისგან გამოძიების დასრულებას — ვინ მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება, ვინ მოკლა საქართველოს ღვთივკურთხეული პრეზიდენტი, ვინ დახვრიტა აკადემიკოსი გურამ შარაძე, როგორ შეიჭრნენ შტურმით პარლამენტში 2003 წელს; გამოიძიონ, აგრეთვე, 2006 წელს ე.წ. ციხის ბუნტის დროს გიგა ბოკერიას მიერ ჩაცხრილული პატიმრების საქმე.

**დღეს პანდემიასთან გამკლავება უფრო ადვილია, ვიდრე მათთან, ვინც ბოქლომებით დარბოდა და პარლამენტში შეჭრას ლამობდა ძალისმიერი მეთოდებით.** ამ საზიზღრობის ავტორები დღეს ჩასაფრებულნი არიან, კვლავ იგესლებიან და მხოლოდ იმით არიან დაინტერესებულნი, ზიზღი, უნდობლობა ჩანერგონ ხალხში ხელისუფლების მიმართ. ჩნდება კითხვა — რა უნდა ნახოს მომავალმა თაობამ, რომელიც ამ ბოროტების ფონზე ყალიბდება? ამიტომ **ამ მუხანათობას თუ არ მოუღო ბოლო ხელისუფლებამ, ისინი ისე არიან გათავხედებულები, ხვალ უარესს ჩაიდენენ. ამ მოღალატეებს ბევრი რამ ეპატიათ, დროა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას.** სიტყვის თავისუფლება, დემოკრატია, მათთვის თუ არის, სხვამ რა დააშავა, მით უმეტეს ფაქტები წინ უდევთ. ახლა მთავრობას ისეთი ერთობა, სიმტკიცე, გაჭირვებულთა მიმართ თანადგომა, დახმარება და ყურადღება მართებს, როგორც არასდროს. რადგან ქვეყნიერებაზე ყოველივეს უფალი მართავს, მისი შემწეობით ყოველივეს დაძლევთ. მე ერთადერთი მღვდელ ვიყავი, რომელიც მრევლთან ერთად ვებრძოდი მსოფლიო სატანიზმს — სოროსის დაჯგუფებას, მის წიწილებს — შავბნელი საქმეების მკეთებლებს, **გიგა ბოკერიას** მეთაურობით. მაშინ დუმდა ბერი, დუმდა ერი. ეძინათ, ვერ ხვდებოდნენ, რა ხდებოდა ჩვენ თავს, როგორ ვკარგავდით ყოველივეს ღვთითბოძებულს, ბუნებრივ რეურსებს, სტრატეგიულ ობიექტებს, ტერიტორიებს, წარსულს, აწმყოს და საფრთხეს უქმნიდნენ მომავალს. ათეული წლების წინათ ვქადაგებდი, მაგრამ ყველაფერი რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მართალი სიტყვისთვის 5 წლით გამომკეტეს გისოსებს მიღმა. ჩვენს ბედკრულ ქვეყანას ბევრი ქარცეცხლი გამოუვლია. დღესაც არის სამშობლოს მოყვარულთა, ჭეშმარიტ მორწმუნეთა პატარა არმია ერსა თუ ბერში. დედა-ღვთისმშობლის მეოხებით ვერავინ ვერ დაგვამარცხებს. ღმერთი დაიცავს მათ, ვინც დღედაღამ მას შეჰღაღადებს.

**ღმერთმა დაგლოცოთ!**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

> **«მართალია, აცხადებენ, რომ აცრა ნებაყოფლობითია, მაგრამ დადის ხმები, რომ, ვინც არ აიცრება, სერიოზული პრობლემები შეექმნება, მათ შორის, დაითხოვენ სამსახურიდან, აეკრძალებათ სავაჭრო ოპერაციები, ვერ იმოგზაურებენ... აიძულებენ, აიცრან. თუ ეს ასე მოხდება და თუ ის ხელისუფალი, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა იმედით შეჰყურებს, მსგავს რაიმეს ჩაიდენს, მაშინ ეს საქციელი საკუთარი ხალხის გენოციდის ტოლფასი იქნება»**

უკრაინა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ. ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ, ᲛᲧᲘᲡᲕᲔ ᲫᲘᲠᲡ ᲣᲗᲮᲠᲘᲡ ᲨᲘᲓᲐᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲐᲠᲐᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲛᲙᲐᲤᲘᲝ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ, ᲡᲣᲡᲢᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ, ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲜ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲨᲕᲐᲜ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ“.**



ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ (ᲓᲠᲐᲑᲘᲜᲙᲝ)

# ᲒᲔᲘᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ «ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ»

**„უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში“ ატეხილმა გეისკანდალმა მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ქონების გაყოფის გეგმა ჩაშალა.**

ბლოგერმა **ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲨᲐᲠᲘᲘᲛ** მიტროპოლიტ **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲠᲐᲑᲘᲜᲙᲝᲡ** მიმოწერის სკრინშოტი გამოაქვეყნა, რომლიდანაც ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეიძლება — სასულიერო პირი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისა და არა მხოლოდ ის.

უკრაინაში მოსკოვის საპატრიარქოს გავლენის შესუსტება ამერიკის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა სტრატეგიული ხაზია. **ᲞᲔᲢᲠᲔ ᲞᲝᲠᲝᲨᲔᲜᲙᲝᲡ** პრეზიდენტობის პერიოდში მათ შეძლეს, შეექმნათ კვაზიგაერთიანება „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია“ ადგილობრივი ერთიანი ეკლესიის სახით, რომლის ცენტრი კონსტანტინოპოლში იქნებოდა, მაგრამ, როგორც კი პოროშენკო საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა, პროექტმა ჩაფლავება დაიწყო.

თავდაპირველად კიევის საპატრიარქოს მეთაურმა **ᲤᲘᲚᲐᲠᲔᲢᲛᲐ** განაცხადა, რომ პოროშენკომ ყველა მოატყუა ე.წ. ტომოსის საკითხზე და, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო მორიგ განხეთქილებას ეკლესიის წიაღში. შემდეგ სასამართლოში დაბლოკეს კანონი მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სახელის გადარქმევის შესახებ იმ საბაბით, რომ აგრესორ ქვეყანას უკრაინაში კულტურის ცენტრი არ უნდა ჰქონოდა, შემდეგ კი დაიწყო „ცისფერი სკანდალი“.

უფრო მეტიც, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გეისკანდალის უკან დგას „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის“ მიტროპოლიტი **ᲔᲞᲘᲤᲐᲜᲔ.** მას თითქოს ისე ეშინია ალექსანდრეს (დრაბინკოს) გავლენის გაძლიერება, რომ თვითონ გაავრცელა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიტროპოლიტის მიმოწერის სკრინშოტები. თუ ეს მართლა ასეა, წარმოგიდგენიათ, რა ზნეობრივი ატმოსფეროა „უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში“? საერთოდ კი, აღმაშფოთებელია, რომ მრევლს „მართლმადიდებლობის ფასეულობებზე“ ჰომოსექსუალები ელაპარაკებიან.

„უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში“ წარმოქმნილი განხეთქილება აშფოთებს აშშ-ის საელჩოს — ამერიკელი დემოკრატების სტრატეგიულ ხაზს, მიმართულს უკრაინაში მართლმადიდებლობის დასუსტებისკენ, საფრთხე შეექმნა და ამაში დამნაშავენი მაღალი საეკლესიო იერარქიის ჰომოსექსუალები არიან.

**politobzor.net-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ᲜᲘᲙᲐ ᲙᲝᲠᲘᲜᲗᲔᲚᲛᲐ**

**ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲔᲘᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲒᲐᲡ „ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ“ ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘ ᲔᲞᲘᲤᲐᲜᲔ. ᲛᲐᲡ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲘᲡᲔ ᲔᲨᲘᲜᲘᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ (ᲓᲠᲐᲑᲘᲜᲙᲝᲡ) ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲐ ᲐᲠᲐᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲡᲙᲠᲘᲜᲨᲝᲢᲔᲑᲘ. ᲗᲣ ᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲐᲡᲔᲐ, ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲘᲐᲗ, ᲠᲐ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲐ „ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ“? ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲙᲘ, ᲐᲚᲛᲐᲨᲤᲝᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲠᲔᲕᲚᲡ „ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ“ ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲔᲑᲘ ᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲐᲜ**

# ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ «ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ» ᲡᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲠᲝᲖᲒᲕᲐ ᲛᲝᲐᲬᲧᲝ

## ᲡᲢᲠᲐᲡᲑᲣᲠᲒᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ «ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ ᲘᲐᲜᲣᲙᲝᲕᲘᲩᲘᲡ» ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲚᲘᲐ

**ევროპარლამენტში უკრაინა საზეიმოდ „გაროზგეს“ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების არასათანადოდ შესრულების გამო. მიიღეს სპეციალური რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია: კიევი, რა თქმა უნდა, წვალობს ევრომიმართულებით და შეუძლია, იმედიც ჰქონდეს წევრობის მსგავსი სტატუსისა მომავალში... შემდეგ კი ათეულობით გვერდზე (137 პუნქტი) ჩამოთვლილია, კიდევ რა უნდა გააკეთოს „დიადმა ევროპულმა ერმა“, რათა ჰქონდეს იმედი, რომ წინ წაიწევს „წევრის“ წოდების მოსაპოვებელ რიგში.**



უწინარესად, აუცილებელია **ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲘᲡ** დამარცხება, რომელიც „განაგრძობს რეფორმების პროცესის დამუხრუჭებას“.

უკრაინის პრეზიდენტ **ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲡ** გადაწყვეტილებამ, დაეთხოვა საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა მოსამართლე, **ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ** გამოიწვია. ეს კი, ევროპელთა აზრით, „საფრთხეს უქმნის უკრაინის პრეზიდენტისა და პარლამენტის უნარს“, განახორციელონ რეფორმები“. კოშმარი! ამას პლუს **ᲝᲚᲘᲒᲐᲠᲥᲔᲑᲘ.** იცით, რას აკეთებენ უკრაინელი ოლიგარქები? ვერ დაიჯერებთ. ისინი „ცდილობენ, აღადგინონ დაკარგული გავლენა“.

უკრაინის საკითხზე მომხსენებელმა ევროპული გულისტკივილით აღნიშნა: **„ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲔᲝᲚᲘᲒᲐᲠᲥᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲘ ᲖᲝᲛᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲐ, ᲝᲚᲘᲒᲐᲠᲥᲔᲑᲡ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲐᲥᲕᲗ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲖᲔ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲖᲔ“.** შედეგად, „გატარებული რეფორმების პოტენციალი სრულად არ არის რეალიზებული. იმას, რაც კეთდება, მყისვე ძირს უთხრის შიდაინსტიტუციური არასტაბილურობა და დაპირისპირებები, მკაფიო ორიენტირების არარსებობა, სუსტი პოტენციალი, აგრეთვე, არარსებობა პოლიტიკური გაბედულებისა, სასამართლო და ეკონომიკური ინსტიტუტებისთვის უზრუნველყონ სრული დამოუკიდებლობა და არ დაუშვან შერჩევითი სამართალი“.

კიდევ შეიძლება ჩამოთვლა იმ პუნქტებისა, რომლებშიც დაცინვითაა ჩამოთვლილი პრეზიდენტ **ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲡ** არაერთი ჩაფლავება. ასეთი გამანადგურებელი რეზოლუცია ევროპარლამენტს „დიქტატორი იანუკოვიჩის“ შემდეგ არ მიუღია.

ჰაერში, უფრო ზუსტად, **მინისტრთა კაბინეტში, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში ვიცეპრემიერის გადაყენების სუნი დატრიალდა.**

დიახ, უკრაინაში არის ვიცეპრემიერი **ᲝᲚᲒᲐ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲨᲘᲜᲐ**, რომელიც ხელფასს ევროკავშირის წევრობასთან ქვეყნის მიახლოებაში იღებს. როგორც გაირკვა, ის ტყუილად ჭამს „ერის კუთვნილ პურს“.

ევროპარლამენტის გამანადგურებელი რეზოლუციის გამოქვეყნების შემდეგ სტეფანიშინა თავის მართლებას შეეცადა სტილში „გცემს — ესე იგი, უყვარხარ“.

„უკრაინის ევროინტეგრაციის კრიტიკა მიუთითებს იმაზე, რომ ყველა ევროპელი პარტნიორი მხარს უჭერს ევროკავშირში უკრაინის ღრმა ინტეგრაციას“, — განაცხადა სტეფანიშინამ, თუმცა, ალბათ, ვერც გააცნობიერა, რა თქვა.

ევროკავშირში უკრაინის „გაროზგვა“ ძალიან მკაფიო და გამჭვირვალე „მესიჯია“ ზელენსკისა და მისი გუნდისთვის. მათ კიდევ ერთხელ დაიმსახურეს ევროპელი პარტნიორების გულისწყრომა. აი ამერიკელმა პარტნიორებმა კი ზელენსკის ვაქცინების შესანახად მაცივარი აჩუქეს და კიდევ... 80 რეზინის ნავი სამხედრო-საზღვაო ფლოტისთვის.

**rustrat.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ**

**ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას უკრაინამ ხელი მოაწერა 2014 წელს სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, რომელიც დასავლეთის ქვეყნების მიერ იყო პროვოცირებული იმის გამო, რომ უკრაინის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა უკრაინისთვის არახელსაყრელი პირობების გამო.**

**აღსანიშნავია, რომ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲞᲝᲡᲢᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ ᲙᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲣᲙᲠᲐᲘᲜ-ᲘᲡ ᲛᲨᲞ, ᲞᲐᲠᲘᲢᲔᲢᲣᲚᲘ ᲛᲡᲧᲘᲓᲕᲔᲚᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲡᲣᲚᲖᲔ 30%-ᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ.**

**ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ «ᲒᲐᲠᲝᲖᲒᲕᲐ» ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲙᲐᲤᲘᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲔ «ᲛᲔᲡᲘᲯᲘᲐ» ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲧᲠᲝᲛᲐ. ᲐᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲙᲘ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲡ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲐᲮᲐᲓ ᲛᲐᲪᲘᲕᲐᲠᲘ ᲐᲩᲣᲥᲔᲡ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ... 80 ᲠᲔᲖᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲕᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ**






**საყოველთაო შემოსავლების უზრუნველყოფისა და ინდივიდუალური ვალების ჩამოწერის მაცდური დაპირების გამოყენებით გეგმის ავტორებს სურთ, ადამიანებმა ნებაყოფლობით თქვან უარი კერძო საკუთრებაზე და დაიწყონ ჯანმრთელობის პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი ციფრული მოწმობის გამოყენება. ეს მათ საშუალებას მისცემთ, დაადგინონ მსოფლიოს მოსახლეობის კონტაქტები. უკმაყოფილოებს ელით დაკავებულთა ბანაკებში გამწესება ან, უბრალოდ, შინაპატიმრობა და ქონების ჩამორთმევა.**

პროცესი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# «დიდი გადატვირთვა» — კაცობრიობის წინააღმდეგ შეთქმულების ნაწილი

## გლობალურმა ელიტამ «დიდი გადატვირთვა» თავისუფლების შეზღუდვის იძულებითი ზომებით კაცობრიობის დასამორჩილებლად ჩაიფიქრა

**რამდენიმე დღის წინათ დასრულდა მორიგი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, რომლის თემაც იყო „დიდი გადატვირთვა“. პანდემიური შეზღუდვების დაწესების გამო ფორუმი, რომელიც, წესისამებრ, შვეიცარიის კურორტ დავოსში უნდა გამართულიყო, ვირტუალურად ჩატარდა, მაგრამ ორგანიზატორებმა შეძლეს მისთვის მაღალი დონის შენარჩუნება.**

დავოსის ფორუმზე სიტყვით გამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი**, ინდოეთის პრემიერმინისტრი **ნარენდარა მოდი**, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერი **სი ძინპინი**, გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი,** ევროკავშირის კომისიის პრეზიდენტი **ურსულა ფონ დერ ლაიენი,** ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი **კრისტინ ლაგარდი.**

„მიუხედავად იმისა, რომ სპიკერებმა ეზოპეს ენა გამოიყენეს, გასაგები იყო, რომ მათ იცოდნენ დიდი „გადატვირთვის“ გეგმის არსის შესახებ, მაგრამ არ ისურვეს მასზე ყურადღების გამახვილება“, — განაცხადა საერთაშორისო პოლიტიკისა და ეკონომიკის სტრატეგიის ინსტიტუტის ექსპერტმა **ვალენტინ კატასონოვმა.** თემები რომლებზეც იმსჯელეს, გამოძახილი იყო ამ ფორუმის უცვლელი ორგანიზატორის, პროფესორ **კლაუს შვაბის** მიერ 2020 წლის ზაფხულში გამოქვეყნებული წიგნის „Covid-19: დიდი გადატვირთვა“ თემების. თუ ამ 200-გვერდიანი გამოცემიდან დემაგოგიურ „დეკორაციებს“ განზე გადადებთ, ძირითადი აზრის გამოსახატავად 20 გვერდიც საკმარისი იქნება. ძირითადი იდეა კი ძალიან ჰგავს კათოლიკე არქიეპისკოპოსის, **კარლო მარია ვიგანოს,** მიმართვას **დონალდ ტრამპისადმი** (მიმართვის **სრული ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ „საქართველო და მსოფლიოს“ 2020 წლის 18-24 ნოემბრის 42-ე ნომერში. „კათოლიკე ეპისკოპოსი ამხელს. კოვიდის პანდემია „დიდი გადატვირთვის მოსამზადებლად მოიგონეს“).**

კარდინალის სახელი ცნობილი შეიქნა მის მიერ ფინანსურ საკითხებზე ვატიკანის მწვავედ გაკრიტიკების შემდეგ. მოგვიანებით ვიგანომ გამოამზეურა კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსებს შორის გამეფებული საშინელი მორალური ურთიერთობები. **ტრამპისადმი გზავნილს ვიგანომ უწოდა გაფრთხილება, რომ აშშ-ის მასონურ ლოჟებთან დაკავშირებული გლობალური ელიტები ამზადებდნენ გეგმას „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დასამყარებლად. წერილის ავტორი ამტკიცებს, რომ შეთქმულებაში მონაწილეობენ ამერიკელი ეპისკოპოსები და ამით აიხსნება მათი ყველანაირი მხარდაჭერა მოძრაობა BLM-ის (Block Lives Matter) მიმართ. ვიგანო წერს, რომ გლობალურმა ელიტამ ჩაიფიქრა „დიდი გადატვირთვა“, რათა ადამიანებისთვის თავისუფლების შეზღუდვის იძულებითი ზომების გატარებით დაიმორჩილოს კაცობრიობა.** ამით აიხსნება კოვიდ-19-ის პანდემიის გარშემო ხელოვნური პანიკის შექმნა.

**საყოველთაო შემოსავლების უზრუნველყოფისა და ინდივიდუალური ვალების ჩამოწერის მაცდური დაპირების გამოყენებით გეგმის ავტორებს სურთ, ადამიანებმა ნებაყოფლობით თქვან უარი კერძო საკუთრებაზე და დაიწყონ პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი ციფრული მოწმობის გამოყენება. ეს მათ საშუალებას მისცემთ, დაადგინონ მსოფლიოს მოსახლეობის კონტაქტები. უკმაყოფილოებს ელით დაკავებულთა ბანაკებში გამწესება ან, უბრალოდ, შინაპატიმრობა და ქონების ჩამორთმევა.**

ცნობილია, რომ ვიგანოს წერილის დაბლოკვასა და მის ინტერნეტში გამოქვეყნების აკრძალვას აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებამდე აქტიურად ცდილობდა „სილიკონის მაფია“ (კორპორაციები Google, Microsoft-ი, Facebook-ი და სხვ.). აქედან გამომდინარე, ვიგანოს წერილის შინაარსს სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ.

**rustrat.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



**ტრამპისადმი გზავნილს ვიგნომ უწოდა გაფრთხილება, რომ აშშ-ის მასონურ ლოჟებთან დაკავშირებული გლობალური ელიტები ამზადებდნენ გეგმას «ახალი მსოფლიო წესრიგის» დასამყარებლად. წერილის ავტორი ამტკიცებს, რომ შეთქმულებაში მონაწილეობენ ამერიკელი ეპისკოპოსები და ამით აიხსნება მათი ყველანაირი მხარდაჭერა მოძრაობა BLM-ის (Block Lives Matter) მიმართ. ვიგანო წერს, რომ გლობალურმა ელიტამ ჩაიფიქრა «დიდი გადატვირთვა», რათა ადამიანებისთვის თავისუფლების შეზღუდვის იძულებითი ზომების გატარებით დაიმორჩილოს კაცობრიობა**




# ევროპის სამედიცინო სააგენტოს «სპუტნიკ V»-ის რეგისტრაციის განაცხადი «დაეკარგა»




**კორონავირუსის საწინააღმდეგო რუსული ვაქცინა „სპუტნიკ V“-ის შემქმნელებმა სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ გამოაქვეყნეს ევროკავშირში ვაქცინის რეგისტრაციისთვის საჭირო განაცხადის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი. ეს იყო რეაქცია ევროკავშირის სამკურნალო პრეპარატების სააგენტოს (EAM) განცხადებაზე, რომ „სპუტნიკ V“-ის რეგისტრაციაზე განაცხადი არ მიუღია.**

„სამკურნალო პრეპარატების ევროპის სააგენტოს (EAM) განცხადების პასუხად, რომ მათ ვერ შეძლეს „სპუტნიკ V“-ის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის მოძიება, ვაქვეყნებთ ამ განაცხადის დამამტკიცებელ დოკუმენტს, რომელიც დათარიღებულია 2021 წლის 29 იანვრით“, — დაწერეს სოცქსელში ვაქცინის შემქმნელებმა. მას შემდეგ, რაც რუსეთის პირდაპირი ინვესტიციების ფონდში თქვეს, რომ შეიტანეს განაცხადი ევროკავშირში „სპუტნიკ V“-ის რეგისტრაციაზე. ევროპულმა სააგენტომ განაცხადა, რომ ასეთი განაცხადი არ მიუღია. EAM-მა რუსული ვაქცინის შემქმნელებთან კონსულტაციები გამართა, რის შემდეგაც „სპუტნიკ V“ შეიყვანეს იმ პრეპარატების სიაში, რომლებზეც ჩატარდა არაერთი კონსულტაცია.

„სპუტნიკ V“ შექმნეს რუსეთის გამალეიას სახელობის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კვლევით ცენტრში და რუსეთში რეგისტრირებულია 2020 წლის 11 აგვისტოდან. ეს კორონავირუსის პირველი რეგისტრირებული ვაქცინაა მსოფლიოში.

**10 თებერვალს გაზეთმა Washington Postm-მა ავტორიტეტულ სამედიცინო გამოცემა Lancet-ზე დაყრდნობით ივარაუდა, რომ რუსეთს გლობალური წარმატება ელოდება „სპუტნიკ V“-ის გამო. „სპუტნიკ V“ გაცილებით იაფია კონკურენტ ვაქცინებთან შედარებით და არ სჭირდება ულტრადაბალ ტემპერატურაზე შენახვა, სწორედ შენახვის პრობლემის გამო ვერ გავრცელდა Phizer-ის პრეპარატი განვითარებულ ქვეყნებში.**

**tass.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

**10 თებერვალს გაზეთმა WASHINGTON POSTM-მა ავტორიტეტულ სამედიცინო გამოცემა LANCET-ზე დაყრდნობით ივარაუდა, რომ რუსეთს გლობალური წარმატება ელოდება „სპუტნიკ V“-ის გამო. „სპუტნიკ V“ გაცილებით იაფია კონკურენტ ვაქცინებთან შედარებით და არ სჭირდება ულტრადაბალ ტემპერატურაზე შენახვა, სწორედ შენახვის პრობლემის გამო ვერ გავრცელდა PHIZER-ის პრეპარატი განვითარებულ ქვეყნებში**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ხელისუფლებამ საიდუმლო თათბირი ჩაატარა და ერთ-ერთი წამყვანი ტელეარხისთვის დაიწერა სატანური რიტუალის სცენარი, რომლის რეჟისურაც ტელეარხთან ერთად ერთმა ნაძირალა სატანისტმა განახორციელა. ქვეყანა ირყეოდა შემზარავ სატანურ სცენებზე მონათხრობით — უნიჭო თეატრალურობითა და ზარ-ზეიმით ამცნობდა მილიონობით ტელემაყურებელს თავის ბინძურ მონაჩმახს გარეწრული პროექტის გარეწარი წამყვანი.

# სტალინი, კრიტიკა და თვითკრიტიკა

## ქვეყანა დასაცავებად და დამცავებად არის დაყოფილი

**სანამ მთავარ თემაზე გადავალ, ჩემი თვალსაზრისი უნდა გამოვთქვა დღევანდელ ჟურნალისტიკაზე — როგორც ელექტრონულ, ისე ბეჭდვით მედიაზე. ხანგრძლივი დროის განმავლობაში, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე, ვეცნობი მედიასაშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას და ზოგჯერ გამომაქვს დასკვნა,ზოგჯერ კი ამის გაკეთება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.**

იყო პერიოდი (ძველი), როდესაც ჟურნალისტი გადმოსცემდა ფაქტს, შემოწმებულსა და მართალს, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, დასკვნის გამოტანას კი მკითხველს ანდობდა. დადგა პერიოდი (ახალი), როდესაც პრესითა თუ ტელევიზიით ან ინტერნეტით მოდის შეუმოწმებელი, ყალბი და რაღაცისთვის თუ ვიღაცისთვის გათვლილი ინფორმაცია და ამ ინფორმაციას მოჰყვება ზღვა მასალა შეთხზული, ვითომ წყაროს მოწოდებული, რომელიც მაყურებლის თუ მკითხველის ზომბირებას უწყობს ხელს და არ აძლევს საშუალებას, ერთი წუთით მაინც დაფიქრდეს მიღებულ ინფორმაციაზე.

გასული საუკუნის 80-იან წლებში დიდი ლილოს მეურნეობის დირექტორად ვმუშაობდი. მეცხოველეობის ფერმის მშენებლობის საპროექტო დავალებაში შევიდა ათვისება ფერმის მიმდებარე ტერიტორიისა, რომელზეც, როგორც შემდეგ გაირკვა, სოფლის ბავშვები, შემთხვევიდან შემთხვევამდე, თურმე ფეხბურთს თამაშობდნენ, თუმცა ფეხბურთის თამაშის კვალი იმ ტერიტორიაზე არ შეინიშნებოდა. სოფლის „ინტრიგანებს“ (ასე ვეძახდით მეურნეობის დირექტორები მათ, ვინც საჩივარს დაგვიწერდა) გაზეთ „ლელოსთვის“ წერილი მიუწერიათ ამ „საფეხბურთო მოედნის“ შესახებ. გაზეთის რედაქციამაც არ დააყოვნა და ამ ამბის ვრცელი რეპორტაჟი გამოაქვეყნა. გაზეთის გამოსვლიდან მესამე დღეს რაიკომის ბიუროს სხდომაზე გამიყვანეს, სასტიკად გამლანძღეს და კატეგორიულად დამავალეს „მოედნის“ აღდგენა ან ახალი ადგილის შერჩევა და სოფლისთვის გადაცემა. ცოტა ხანში ცეკას სოფლის მეურნეობის განყოფილებამაც განიხილა ეს საკითხი. გაზეთის რედაქციამ მიაღწია იმას, რომ არარსებული „საფეხბურთო მოედანი“ არსებულად გადააქცია და...სოფელს მეტ-ნაკლებად მოხერხებული მოედანი მოვუწყვე. როგორი ცრუ ინფორმაციისა და „ინტრიგანის“ სიგნალის საფუძველზეც უნდა ამტყდარიყო ეს ალიაქოთი, რედაქციამ მიზანს მიაღწია და სოფლის ახალგაზრდობას სპორტული ინტერესი ცოტაოდენ მაინც დაუკმაყოფილა. გაზეთი „ლელო“ სახელმწიფოს ბეჭდვითი ორგანო იყო, მეც მნიშვნელოვანი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელი გახლდით, რადგან ახალი რძით, ბოსტნეულითა და ხილით ვამარაგებდი თბილისს, მაგრამ პრესის ძალა ისეთი დიდი იყო, რომ მან თავისი გაიტანა. იმხანად ხშირად მახსენდებოდა **ნაპოლეონი**, რომელსაც შავი ჭირივით სძულდა გაზეთი — ხალხის აზრს გამოხატავსო.

ამ შემთხვევაში გაზეთ „ლელოს“ რეპორტაჟი **გრიგოლ ონიანის** კრიტიკად კი არ აღიქმებოდა, არამედ სახელმწიფოს თვითონ ჰქონდა შემუშავებული თვითკრიტიკის აუცილებლობა და ეს ფაქტიც თვითკრიტიკის ერთ-ერთი გამოვლენა იყო. მე ხშირად ვყოფილვარ პრესის კრიტიკის ობიექტი, მაგრამ შექებაც ბევრი მიმიღია.

მინდა, გავიხსენო ერთი სატელევიზიო გადაცემა (ახალი დროის), რომელსაც საფუძვლად არც ძველი ინტრიგანის „დანოსი“ ედო და არც ახალი „წყაროს“ მიერ გამოგონილი ინფორმაცია. ეს გადაცემა იყო შეთქმულება პიროვნების წინააღმდეგ, სახელმწიფო წყობის წინააღმდეგ. იმხანად სახელმწიფოს პატრონი რომ ჰყოლოდა (ან ახლა ჰყავს?), **ეს ფაქტი ხალხის სამსჯავროზე უნდა გამოეტანათ, შემდეგ კი დამნაშავე საზოგადოებას უნდა დაესაჯა. საქმე ეხებოდა საქართველოს კულტურის იმჟამინდელ მინისტრს.**

ხელისუფლებამ საიდუმლო თათბირი ჩაატარა და ერთ-ერთი წამყვანი ტელეარხისთვის დაიწერა სატანური რიტუალის სცენარი, რომლის რეჟისურაც ტელეარხთან ერთად ერთმა ნაძირალა სატანისტმა განახორციელა. ქვეყანა ირყეოდა შემზარავ სატანურ სცენებზე მონათხრობით — უნიჭო თეატრალურობითა და ზარ-ზეიმით ამცნობდა მილიონობით ტელემაყურებელს თავის ბინძურ მონაჩმახს გარეწრული პროექტის გარეწარი წამყვანი.

ო, როგორი მართალი ყოფილა მწერალი რობერტ სილვესტრი, როდესაც წერდა: „ჟურნალისტიკა ისეთივე ძველი პროფესიაა, როგორც (მეძაობა), მოკლედ, ის მეორე უძველესი პროფესიაა“.

არაფერს ვამბობ, ვიღაც სკამის ფეხით რომ გააუპატიურეს, არც იმაზე ვლაპარაკობ, ყავარჯნიანი კაცი რომ დაჰყავდათ უძველესი პროფესიის წარმომადგენლად; არც იმაზე, მილიარდები რომ წაართვეს მოსახლეობას; არც იმაზე, ბეტონის ფილებს რომ აბამდნენ ფეხზე ცოცხალ ადამიანებს და ნავიდან შუა ზღვაში აგდებდნენ, — „ფსკერზეც ფეხზე იდგესო“. მე იმ სატანურ სცენარზე მისკდება გული — როგორ უნდა შერჩეს ან იმ ტელეარხს, ან იმ სცენარის ავტორს, ან იმ ჟურნალისტს, რომელიც ამ სისაძაგლეს მილიონობით ტელემაყურებელს უყვებოდა...



**წამყვანმა გაზეთებმა ნიღაბი უნდა ჩამოჰგლიჯონ ვაიპატრიოტებს, მათ გულზე დაბნეული ყალბი ყვავილები ხალხს უნდა დაანახვონ. სიმართლე და მხოლოდ სიმართლე უნდა ვუთხრათ ხელისუფლებას, სიმართლე უნდა ვუთხრათ ხალხს, სიმართლით უნდა ვებრძოლოთ ოპონენტებს**

სვანეთში სისხლის აღება ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა, სულ რაღაც, 100 წლის წინათ, თუმცა გამონაკლისი შემთხვევა დღესაც ხდება. კომუნისტურმა ხელისუფლებამ სვან ხალხს სიტყვა მისცა, თქვენ თავი დაანებეთ მკვლელის თვითნებურ დასჯას, მას ჩვენ დავსჯით, კაცის მკვლელს დავხვრეტთ, თქვენ კი პასუხისმგებლობა აგცდებათ და სისხლიც აღებული გექნებათო. სახელმწიფომ დაიკისრა იმ მძიმე დანაშაულისგან სვანი კაცის გათავისუფლება, რომელიც ან მეზობლის ტყვიით კვდებოდა, ან ხელისუფლების მიერ მიღებული კანონით. სახელმწიფო, ხელისუფლება თავისი არსით დამსჯელი ორგანოა, რომელმაც უნდა დაიცვას ხალხის ინტერესები — ეს არის მისი ძირითადი მიზანი და მოვალეობა. **დღევანდელი ხელისუფლება კი იცავს თავს და თავის ინტერესებს... და იცავს ვისგან? — ხალხისგან, რათა არ წაართვას ის, რაც წაჰგლიჯა.**

თუ სვან კაცზე ანეკდოტად დადის, ფულის საჭრელი მანქანა გაყიდა, როცა გაუჭირდაო, — სახელმწიფომ ფულით სავსე ბანკები გაყიდა, როცა გაუჭირდა. ესეც ანეკდოტია? ხომ წერდნენ ამაზე მედიასაშუალებები, მაშ, რატომ არ უნდა ექცეოდეს ყურადღება ხალხს და ხალხის გოდებას? **სახელმწიფომ რატომ არ უნდა დაიკისროს რიგ შემთხვევაში ხალხის გასაკეთებელი საქმე, როდესაც მას ხალხი ვერ აკეთებს? ვერ აკეთებს ხელისუფლების შიშით, პოლიციისა და ჯარის შიშით. გამოდის, რომ პოლიციაც და ჯარიც, ხალხს კი არა, იცავს ერთ მუჭა ხელისუფალთ, რომლებიც ხელისუფლებაში მოსყიდვის გზით მოვიდნენ.** რატომ აღარ არის თვითკრიტიკა? მედია თავისუფალი სიტყვის გამომხატველად იმიტომ აქციეს, რომ, რაც უნდათ, ის წეროს და იკითხოს, ხალხის ხმამ კი ხელისუფლებამდე არ მიაღწიოს. ჩვენი **ოპოზიციური პარტიები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან არსებული ხელისუფლების მანკიერ მხარეებზე, მაშინ, როდესაც გუშინ თვითონ იყვნენ ხელისუფლებაში და მსგავსი ოპოზიციური აზრები მათთვის „ბაბუაწვერისთვის“ სულის შებერვა იყო.** წინა ხელისუფლებას თვითკრიტიკის უქონლობამ თვალი დაუბნელა და უფსკრულში გადასაჩეხად უბიძგა, მაგრამ **ამერიკელი ძიების მიერ უფსკრულის თავზე გაბმულმა ბადემ გადაარჩინა ისინი... და ამერიკელმა პატრონებმა კვლავ ძუძუზე ჩამოიკიდეს უკვე საყმაწვილოსენგამოვლილი ჩაფსმული ბიჭები.**

დღეს ბეჭდურ მედიაში არიან ფლაგმანი გაზეთები, რომლებიც დაუფარავად ამხელენ ოკეანისგაღმელ მგლებსაც და თერგდაულეველ, ისტორიის პურუჭმელ ავანტიურისტებს, რომლებმაც დოლარებზე გაყიდეს სამშობლოს დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და შვილებს ელგბტ საზოგადოებისთვის ამზადებენ და არა ქვეყნის ჯარისკაცებად. **წამყვანმა გაზეთებმა ნიღაბი უნდა ჩამოჰგლიჯონ ვაიპატრიოტებს, მათ გულზე დაბნეული ყალბი ყვავილები ხალხს უნდა დაანახვონ. სიმართლე და მხოლოდ სიმართლე უნდა ვუთხრათ ხელისუფლებას, სიმართლე უნდა ვუთხრათ ხალხს, სიმართლით უნდა ვებრძოლოთ ოპონენტებს.** და აი მივედით იქამდე, რომ თხრობა დავიწყო სტალინის ბასრ იარაღზე — კრიტიკასა და თვითკრიტიკაზე, რომლითაც დაფარული არაფერი რჩებოდა, რაც კი ხელს უშლიდა ქვეყნისა და ეკონომიკის განვითარებას. სტალინს შეიძლება სააშკარაოზე არ გამოეტანა და არც გამოუტანია საზღვარგარეთის აგენტურული ქსელის საქმიანობა, მაგრამ ყოველთვის დაუფარავად ლაპარაკობდა პარტიულ თუ სამეურნეო საქმიანობაში დაშვებულ წვრილმან და მსხვილმან შეცდომებზე.

1928 წლის 26 ივნისის გაზეთ „პრავდის“ 146-ე ნომერში სტალინმა ქვეყნის მოსახლეობას მოუწოდა, ფართოდ ჩაბმულიყო კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ქვეყნისთვის მეტად საჭირო საქმიანობაში. ამ საგაზეთო მასალიდან ზოგიერთ ამონარიდის გაგაცნობთ:

*** „ზოგჯერ ამბობენ, თვითკრიტიკა კარგი რამ არის იმ პარტიისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუპყრია ძალაუფლება და „დასაკარგავი არაფერი აქვს“, მაგრამ თვითკრიტიკა სახიფათო და საზიანოა იმ პარტიისთვის, რომელმაც ძალაუფლება უკვე დაიპყრო, რომელსაც გარემოცვაში მტრული ძალები ჰყავს და რომლის წინააღმდეგაც მტრებმა შეიძლება გამოიყენონ მისი სუსტი მხარეების მხილებაო. ეს მართალი არ არის. ეს სრულიად არ არის მართალი! პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ ბოლშევიზმმა ძალაუფლება დაიპყრო, სწორედ იმიტომ, რომ ბოლშევიკები შეიძლება გამედიდურდნენ ჩვენი მშენებლობის წარმატებათა გამო, სწორედ იმიტომ, რომ ბოლშევიკებმა შეიძლება ვერ შეამჩნიონ თავიანთი სუსტი მხარეები და ამით საქმე გაუადვილონ თავიანთ მტრებს, სწორედ ამიტომ არის საჭირო თვითკრიტიკა განსაკუთრებით ახლა, განსაკუთრებით ძალაუფლების აღების შემდეგ“ (სტალინი).**

**შენიშვნა:**

არსებული ხელისუფლება არა თვითკრიტიკის, არამედ თავდაცვის რეჟიმშია გადასული. როგორი უხეში და თვალში საცემი შეცდომაც უნდა დაუშვას „ქართულმა ოცნებამ“, მისი გამოსწორების გზების ძიებაზე კი არ არის მობილიზებული პარტიული აქტივი, არამედ მისი მიჩქმალვისა და ყალბი სამოსელით შეფუთვით არის დაკავებული, რითაც საქმეს უადვილებს „ნაცმოძრაობას“ უფრო აქტიური თავდასხმისთვის.

*** „თვითკრიტიკა რომ გავშალოთ, ამისთვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, დავძლიოთ პარტიის წინაშე არსებული მთელი რიგი დაბრკოლებებისა. ამას მიეკუთვნება მასების კულტურული ჩამორჩენილობა, პროლეტარული ავანგარდის კულტურული ძალების ნაკლებობა, ჩვენი უძრაობა, ჩვენი „კომუნისტური ყოყოჩობა“ და სხვა, მაგრამ ერთ-ერთ უაღერესად სერიოზულ დაბრკოლებას, თუ ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებას არა, წარმოადგენს ჩვენი აპარატების ბიუროკრატიზმი. საქმე ეხება ბიუროკრატიული ელემენტების არსებობას ჩვენი პარტიული, სახელმწიფოებრივი, პროფესიული, კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების შემადგენლობაში. საქმე ეხება ბიუროკრატულ ელემენტებს, რომლებიც ცოცხლობენ ჩვენი სუსტი მხარეებითა და შეცდომებით; რომლებსაც, როგორც ცეცხლისა, ისე ეშინიათ მასების კრიტიკის, მასების კონტროლისა და, რომლებიც ხელს გვიშლიან თვითკრიტიკის გაშლაში, ხელს გვიშლიან ჩვენი სუსტი მხარეებისგან, ჩვენი შეცდომებისგან განთავისუფლებაში. ბიუროკრატიზმი ჩვენს ორგანიზაციებში არ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ საქმის გაჭიანურებად** ▶

# დღეს ბეჭდურ მედიაში არიან ფლაგმანი გაზეთები, რომლებიც დაუფარავად ამხელენ ოკეანისგაღმელ მგლებსაც და თერგდაულევლელ, ისტორიის პურუჭმელ ავანტიურისტებს, რომლებმაც დოლარებზე გაყიდეს სამშობლოს დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და შვილებს ელგბტ საზოგადოებისთვის ამზადებენ და არა ქვეყნის ჯარისკაცებად.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ და კანცელარიულ უსულგულობად. ბიუროკრატიზმი არის ჩვენს ორგანიზაციებზე ბურჟუაზიული გავლენის გამოვლინება“ (სტალინი).

**შენიშვნა:**

**საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის პირობებში არასოდეს ყოფილა ისე აყვავებული ბიუროკრატიზმი, როგორც წინა ხელისუფლების 9 წლის განმავლობაში, და ეს კიდევ უფრო ძლიერდება „ქართული ოცნების“ პირობებში. არაფერს ვამბობ მუშასა და გლეხზე, ისინი ხომ ჩვენს ქვეყანაში საერთოდ არ არსებობენ. დღეს ერთი საშუალო რანგის სახელმწიფო მოღვაწეს არ შეუძლია მეორე ამავე რანგის მოხელესთან შეღწევა, თუ სათანადო ნებართვა არ აქვს. ასეული კილომეტრის მანძილიდან ჩამოსულ მეწარმეს, თუ რა ჰქვია ლუკმაპურის მაძიებელ კაცს თანამედროვე ენით, არ შეუძლია თუნდაც კვირის განმავლობაში იდგეს ამა თუ იმ სამთავრობო დაწესებულების ეზოში** (მას მოსაცდელშიც არავინ შეუშვებს ნებართვის გარეშე), რათა, არათუ ხელმძღვანელთან, რიგით სპეციალისტთან მაინც შეაღწიოს. მას მექანიკურად უპასუხებენ, რომ უფროსი დაკავებულია ან ქვეყანაში არ იმყოფება. მთელი **ქვეყანა დასაცავად და დამცველად არის გადაქცეული.** ეს მაშინ, როდესაც დაცვა კომუნისტების პერიოდში მხოლოდ ერთ კაცს ეკუთვნოდა — ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და მასაც ერთი კაცი იცავდა (სტალინის პერიოდში).

*** „თვითკრიტიკა საჭიროა არ ხელმძღვანელობის შესასუსტებლად, არამედ მის გასაძლიერებლად; საჭიროა იმისათვის, რომ იგი ქაღალდის საშუალებით ნაკლებავტორიტეტული ხელმძღვანელობიდან გადავაქციოთ ცოცხალ და ნამდვილ ავტორიტეტულ ხელმძღვანელობად“ (სტალინი).**

**შენიშვნა:**

ამის ნათელი მაგალითია მეურნეობის დირექტორობისას ჩემს თავს გადახდენილი ორომტრიალი, რომელიც არარსებული „საფეხბურთო მოედნის“ შესახებ ცრუ განგაშმა გამოიწვია, როგორც ხელისუფლებაში, ისე საბჭოთა მეურნეობაში.

*** „მაგრამ არის სხვაგვარი „თვითკრიტიკაც“, რომელიც იწვევს პარტიულობის რღვევას, საბჭოთა ხელისუფლებისთვის სახელის გატეხვას, სამეურნეო კადრების გახრწნას, მუშათა კლასის განიარაღებას, გადაგვარების შესახებ ლაყბობას. სწორედ ასეთი „თვითკრიტიკისკენ“ მოგვიწოდებდა გუშინ ტროცკისტული ოპოზიცია. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ პარტიას საერთო არაფერი აქვს ასეთ „თვითკრიტიკასთან“. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ პარტია მთელი ძალ-ღონით, ყველა საშუალებით იბრძოლებს ასეთი „თვითკრიტიკის“ წინააღმდეგ“ (სტალინი).**



**თანამედროვე ხელისუფალნო, ისწავლეთ სტალინისგან. სტალინიზმი არ არის ფაშიზმი. სტალინიზმი არის კაცობრიობის განვითარების ნათელი გზა, რომელიც მიგვიყვანს აღთქმულ ქვეყნამდე, სადაც იქნება თანასწორობა, ბედნიერება, იმედი მომავლისა, სადაც ვარდსა და ნეხვს მზე ერთნაირად მოეფინება!**

**შენიშვნა:**

სწორედ ასეთი კრიტიკის ნათელი მაგალითია „ნაცმოძრაობის“ დღევანდელი წუწუნი, ნიანგის ცრემლის ღვრა და ყოველწამიერად რაფალიანცის ტრაგედიის შეხსენება საზოგადოებისთვის, როდესაც მათ ასეულობით ადამიანი დაახრჩვეს წყალსა თუ ციხეში, რომელთა საქმეებიც გამოუძიებელი და საზოგადოებისთვის უცნობია. სწორედ ასეთ კრიტიკასა და თვითკრიტიკაზე მიუთითებს სტალინი, როგორც ტროცკისტულზე.

* „არ შეიძლება, აგრეთვე, იმის უარყოფა, რომ თვითკრიტიკის შედეგად ჩვენი პრესა უფრო ცოცხალი და სიცოცხლისუნარიანი გახდა, ხოლო ჩვენი გაზეთების მუშაკთა ისეთი რაზმები, როგორიც არის მუშსოფლკორთა ორგანიზაციები, უკვე იწყებენ გადაქცევას უაღრესად სერიოზულ პოლიტიკურ ძალად. მართალია, ჩვენი პრესა ხანდახან კვლავ ზედაპირზე სრიალებს, ჯერ კიდევ ვერ ისწავლა გადასვლა ცალკეული კრიტიკული შენიშვნებიდან უფრო ღრმა კრიტიკაზე, ხოლო ღრმა კრიტიკიდან — კრიტიკის შედეგების განზოგადებაზე, იმის გამოვლინებაზე, კრიტიკის შედეგად რა მიღწევებია მოპოვებული ჩვენი მშენებლობის დარგში, მაგრამ არ მგონია, შეიძლებოდეს, დავეჭვდეთ იმაში, რომ ეს საქმე წინ წავა შემდგომი კამპანიის მსვლელობაში. ოღონდ საჭიროა, ამ პლუსებთან ერთად აღინიშნოს ჩვენი კამპანიის მინუსებიც. საქმე ეხება თვითკრიტიკის ლოზუნგის იმ დამახინჯებებს, რომლებსაც ადგილი აქვს უკვე ახლა, კამპანიის დასაწყისში და რომლებიც ქმნის თვითკრიტიკის გაუხამსოების საშიშროებას, თუ ისინი ახლავე არ აღვკვეთეთ.

**1)** საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, აღვნიშნოთ, რომ პრესის მთელ რიგ ორგანოებში დაისახა ტენდენცია კამპანიის გადაყვანისა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ნაკლოვანებათა საქმიანი კრიტიკის ნიადაგიდან პირადი ცხოვრების უკიდურესობათა წინააღმდეგ სარეკლამო შეძახილების ნიადაგზე. ეს შეიძლება დაუჯერებლად გვეჩვენოს, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, ფაქტია“ **(სტალინი).**

**შენიშვნა:**

სწორედ ეს არის როგორც „ნაცმოძრაობის“, ისე „ქართული ოცნების“ მხრიდან საქმიდან გაქცევის მცდელობა და ადამიანების ლოგინში ქექვა და ჭუჭყიანი თეთრეულის გამომზეურება.

* „აიღეთ, მაგალითად, გაზეთი „ვლასტ ტრუდა“ — ირკუტსკის საოლქო კომიტეტისა და აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო (№128). იქ ნახავთ მთელ გვერდს, აჭრელებულს სარეკლამო „ლოზუნგებით“: „თავშეუკავებულობა სქესობრივ ცხოვრებაში ბურჟუაზიულია“, „ერთ ჭიქას მეორე მოსდევს“, „საკუთარ სახლს საკუთარი ძროხა უყვარს“, „ორფა საწოლის ბანდიტები“, „გასროლა, რომელიც არ მომხდარა“ და ა.შ. საკითხავია, რა შეიძლება იყოს საერთო „ბირჟოვკის“ შესაფერ ამ „კრიტიკულ“ შეძახილებსა და ბოლშევიკურ თვითკრიტიკას შორის, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გაუმჯობესება? შესაძლოა, „ამ სარეკლამო შენიშვნების ავტორი კომუნისტია. შესაძლოა, იგი გამსჭვალულია მტრობით საბჭოთა ხელისუფლების „კლასობრივი მტრებისადმი“, მაგრამ, აქ იგი სწორი გზიდან რომ უხვევს, აუხამსებს თვითკრიტიკის ლოზუნგს და ლაპარაკობს არა ჩვენი კლასის წარმომადგენლის ხმით — ეს უეჭველია.

**2)** შემდეგ — საჭიროა აღვნიშნოთ, რომ პრესის ის ორგანოები, რომლებიც მოკლებულნი არ არიან სწორი კრიტიკის უნარს, ისინიც კი ზოგჯერ გადადიან კრიტიკაზე კრიტიკისათვის, კრიტიკას აქცევენ სპორტად, რომლის მიზანია სენსაცია. ავიღოთ, მაგალითად, „კომსომოლსკაია პრავდა“. ყველასათვის ცნობილია „კომსომოლსკაია პრავდის“ დამსახურება თვითკრიტიკის გაშლის საქმეში, მაგრამ აიღეთ ამ გაზეთის ბოლო ნომრები და გადასინჯეთ პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელების „გაკრიტიკება“, მთელი რიგი შეუწყნარებელი კარიკატურები ამ თემაზე. საკითხავია, ვის სჭირდება ასეთი „კრიტიკა“ და რის მოცემა შეუძლია მას, გარდა თვითკრიტიკის ლოზუნგის კომპრომეტაციისა? რა თქმა უნდა, თვითკრიტიკისთვის საჭიროა ყველა სახეობის იარაღი, მათ შორის, „მსუბუქი კავალერიაც“, მაგრამ განა აქედან ის გამომდინარეობს, რომ მსუბუქი კავალერია ჭკუამსუბუქი კავალერია უნდა გახდეს?

**3)** ბოლოს — საჭიროა, აღვნიშნოთ მთელი რიგი ჩვენი ორგანიზაციების მიდრეკილება, გადააქციონ თვითკრიტიკა სამეურნეო მუშაკების დევნად, მუშათა კლასის თვალში მათთვის სახელის გატეხვად. ფაქტია, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა ორგანიზაციამ უკრაინასა და ცენტრალურ რუსეთში დაიწყო პირდაპირი დევნა ჩვენი საუკეთესო სამეურნეო მუშაკებისა, რომელთა დანაშაული არის ის, რომ 100%-ით არ არიან გარანტირებული შეცდომის დაშვებისგან. სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ ადგილობრივი ორგანიზაციების დადგენილებები ამ სამეურნეო მუშაკების პოსტებიდან მოხსნის შესახებ, დადგენილებები, რომლებსაც არავითარი სავალდებულო ძალა არ აქვს, მაგრამ აშკარად ნავარაუდევია იმისათვის, რომ სახელი გაუტეხოს ამ მუშაკებს? სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ, რომ სამეურნერო მუშაკებს აკრიტიკებენ, მაგრამ კრიტიკაზე პასუხის გაცემის საშუალებას არ აძლევენ?“

**შენიშვნა:**

**და ეს არის სტალინის მიერ კრიტიკის ჩახშობა? განა ეს არ არის იმ საქმიანობის აშკარა კრიტიკა, რომელიც გამეფებულია დღევანდელ ცხოვრებაში და, კერძოდ, მედიაში? განა ეს არ არის ბრძოლა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისადმი?**

* „რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ მოვითხოვთ, კრიტიკა სწორი იყოს მთელი 100 %-ით. თუ კრიტიკა ქვემოდან მომდინარეობს, ჩვენ არ უნდა უგულებელვყოთ ისეთი კრიტიკაც, რომელიც სწორია მხოლოდ 5-10%-ით. ყველაფერი ეს მართალია. მაგრამ განა აქედან ის მომდინარეობს, რომ სამეურნეო მუშაკებს მთელი 100%-ით უნდა მოვთხოვოთ გარანტია არ დაუშვან შეცდომა? **განა ქვეყნად არიან შეცდომებისგან 100%-ით დაზღვეული ადამიანები? განა ძნელი გასაგებია, რომ სამეურნეო კადრების გამოსაზრდელად საჭიროა მრავალი წელი, რომ სამეურნეო მუშაკებისადმი დამოკიდებულება ჩვენში უაღრესად სათუთი და მზრუნველი უნდა იყოს? განა ძნელი გასაგებია, რომ თვითკრიტიკა გვესაჭიროება არა სამეურნეო კადრების დევნის, არამედ მათი გაუმჯობესებისა და განმტკიცებისთვის?**

გააკრიტიკეთ ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებანი, მაგრამ ნუ გააუხამსებთ თვითკრიტიკის ლოზუნგს და ნუ გადააქცევთ მას სარეკლამო ვარჯიშის იარაღად თემაზე: „ორფა საწოლის ბანდიტები“, „გასროლა, რომელიც არ მომხდარა“ და სხვ.

რაც მთავარია: ქვემოდან მასობრივ კრიტიკას ნუ შევცვლით ზემოდან „კრიტიკული“ რახარუხით; საშუალება მიეცით მუშათა კლასის მასებს, გამოიჩინონ შემოქმედებითი ინიციატივა ჩვენი ნაკლოვანებების გამოსწორების საქმეში, ჩვენი მშენებლობის გაუმჯობესების საქმეში“ (სტალინი).

**შენიშვნა:**

**თანამედროვე ხელისუფალნო, ისწავლეთ სტალინისგან! სტალინიზმი არ არის ფაშიზმი. სტალინიზმი არის კაცობრიობის განვითარების ნათელი გზა, რომელიც მიგვიყვანს აღთქმულ ქვეყნამდე, სადაც იქნება თანასწორობა, ბედნიერება, იმედი მომავლისა, სადაც ვარდსა და ნეხვს მზე ერთნაირად მოეფინება!**




## ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

**ოპოზიციური პარტიები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან არსებული ხელისუფლების მანკიერ მხარეებზე, მაშინ, როდესაც გუშინ თვითონ იყვნენ ხელისუფლებაში და მსგავსი ოპოზიციური აზრები მათთვის „ბაბუაწვერისთვის“ სულის შებერვა იყო. წინა ხელისუფლებას თვითკრიტიკის უქონლობამ თვალი დაუბნელა და უფსკრულში გადასაჩეხად უბიძგა, მაგრამ ამერიკელი ძიების მიერ უფსკრულის თავზე გაბმულმა ბადემ გადაარჩინა ისინი. და ამერიკელმა პატრონებმა კვლავ ძუძუზე ჩამოიკიდეს უკვე საყმაწვილოსენგამოვლილი ჩაფსმული ბიჭები**

ამერიკის ვექტორი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბაიდენის მცდელობა, წარმატებას მიაღწიოს მსოფლიოში, შეზღუდული იქნება რამდენიმე ფაქტორით, რომელთაგან ბევრი მემკვიდრეობით გადაეცა. მაგალითად, აშშ უწინდებურად ველარ შეძლებს დემოკრატიის ეფექტიანი ქომაგის როლში ყოფნას 6 იანვარს ვაშინგტონში კაპიტოლიუმის შტურმის, ქვეყნის ორ ბანაკად გახლეჩვისა და რასიზმის აყვავების შემდეგ, ამასთანავე, იმის შემდეგ, რომ ყოფილ პრეზიდენტს კოვიდის პანდემიასთან ჯეროვანი ბრძოლის საშუალება არ ეძლეოდა.**

# როგორი იქნება აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ბაიდენის პრეზიდენტობის პერიოდში

## «აშშ-ს აღარ შეუძლია, აიძულოს სხვები, იმოქმედოს ისე, როგორც მას სურს, ამასთანავე, ვერც მარტო მიაღწევს დასახულ მიზანს»

**„რამდენიმე კვირა გავიდა ჯო ბაიდენის გაპრეზიდენტებიდან, მაგრამ ძირითადი ელემენტები იმისა, როგორი კურსის გატარებას აპირებს ის ქვეყნის შიგნით და გარეთ, უკვე იკვეთება. ეს არის საშინაო პრობლემების დაძლევა, მოკავშირეებთან თანამშრომლობა, დიპლომატია, საერთაშორისო ინსტიტუტებში მონაწილეობა და დემოკრატიის განვითარება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბაიდენს სურს, დაუბრუნდეს აშშ-ის იმ საგარეო-პოლიტიკურ ტრადიციებს, რომლებიც ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და რომლებსაც კატეგორიულად უარყოფდა ბაიდენის წინამორბედი დონალდ ტრამპი“, — წერს ამერიკული კერძო ორგანიზაცია — საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს თავმჯდომარე რიჩარდ ჰაასი Project Syndicate-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.**

4 თებერვალს სახელმწიფო დეპარტამენტში საგარეო პოლიტიკის მიმართულებებზე სიტყვით გამოსვლისას ბაიდენმა განაცხადა, რომ **„ამერიკა დაბრუნდა“**. მან აღნიშნა, რომ სახელმწიფო მდივანი **ტონი ბლინკენი** მისი სახელით ლაპარაკობს და ყველანაირად შეეცადა, მხარი დაეჭირა როგორც ამერიკელი დიპლომატებისთვის, ისე, საერთოდ, ქვეყნის დიპლომატიისთვის.

ბაიდენმა განაცხადა, რომ შეაჩერებს აშშ-ის შეიარაღებული ძალების გამოყვანას **გერმანიიდან,** რაც ტრამპის ინიციატივა იყო, რათა აღადგინოს ნატოს წევრების ნდობა აშშ-ის მიერ გაცემული უსაფრთხოების გარანტიების მიმართ და სიგნალი გაუგზავნოს რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს**, რომ არ შეეცადოს, უცხოეთში სამხედრო ავანტიურებით ყურადღება გადაიტანოს საშინაო პროექტებიდან. **საუდის არაბეთის** საკითხზე ბაიდენმა განაცხადა, რომ აშშ არ გაუწევს ერ-რიადს სამხედრო და სადაზვერვო დახმარებას იემენთან ბრძოლაში. მან ეს ახსნა იმით, რომ ვაშინგტონის ჩარევა ამიერიდან დიპლომატიური და ჰუმანიტარული ხასიათის იქნება. ამასთანავე, მან მკაფიოდ განაცხადა, რომ **ირანთან** დაპირისპირებაში ერ-რიადი მარტო არ დარჩება. ამ ორი ამოცანის შეთავსება იოლი არ იქნება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-სა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა ამ ახლოაღმოსავლურ სამეფოში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ ცუდი მდგომარეობის გამო.

**ბაიდენის მცდელობა, წარმატებას მიაღწიოს მსოფლიოში, შეზღუდული იქნება რამდენიმე ფაქტორით, რომელთაგან ბევრი მემკვიდრეობით გადაეცა. მაგალითად, აშშ უწინდებურად ველარ შეძლებს დემოკრატიის ეფექტიანი ქომაგის როლში ყოფნას 6 იანვარს ვაშინგტონში კაპიტოლიუმის შტურმის, ქვეყნის ორ ბანაკად გახლეჩვისა და რასიზმის აყვავების შემდეგ, აგრეთვე, იმის შემდეგ, რომ ყოფილ პრეზიდენტს კოვიდის პანდემიასთან ჯეროვანი ბრძოლის საშუალება არ ეძლეოდა.**

კარგი ამბავია ის, რომ პანდემიასთან ბრძოლაში პროგრესი შეინიშნება, ცუდია ის, რომ პოლიტიკური და სოციალური უთანხმოება ქვეყანაში კარგა ხანს ვერ მოგვარდება.

ბაიდენმა ხაზი გაუსვა ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარების მნიშვნელობას. **მას უნდა შეექმნა ისეთი პირობები, რომ კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის მნიშვნელოვანი რაოდენობა ე.წ. განვითარებად ქვეყნებსაც მიეღოთ. ასეთი ნაბიჯი არა მხოლოდ მორალური, არამედ აშშ-ის ინტერესების სასარგებლოც იქნებოდა, რადგან შეანელებდა ვირუსის მუტაციას, რომელიც შექმნილი ვაქცინების ეფექტიანობას ემუქრება; უფრო მეტიც, მოვლენების ასეთი განვითარების შემთხვევაში შეიძლებოდა ნორმალური ეკონომიკური თანამშრომლობის აღდგენა მსოფლიოში, რაც, თავის მხრივ, გააუარესებდა ეკონომიკურ მდგომარეობას და შეამცირებდა ლტოლვილების ნაკადს.**

მიუხედავად იმისა, რომ ბაიდენმა გააკრიტიკა **რუსეთი** და **ჩინეთი კანონის** უზენაესობის დარღვევის გამო, მას არ შეუძლია, აიძულოს ეს სახელმწიფოები, ისე მოიქცნენ, როგორც თავად მიაჩნია მართებულად. ვლადიმერ პუტინი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერი **სი ძინპინი** მზად არიან, აიტანონ სანქციები, აშშ-ს კი არ შეუძლია, შეინარჩუნოს თავისი დღის წესრიგი ამა თუ იმ სახელმწიფოს მიმართ ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე. ამის გამო **ბაიდენი იძულებული შეიქნა, გაეთვალისწინებინა სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები, რაც დასტურდება აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის მიერ რუსეთთან სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შეთანხმების 5 წლით გაგრძელების გადაწყვეტილებით.** მსგავსი რეალიები, კერძოდ, ჩრდილოეთ კორეის საკითხებში პეკინის დახმარების აუცილებლობა ზღუდავს ზემოქმედებას, რომელიც აშშ-ს შეუძლია განახორციელოს ჩინეთზე **ჰონკონგის** მოვლენების ან უიღურელი უმცირესობის გამო **სინძინაინში**, და იქაც კი, სადაც ბაიდენს შეუძლია კანონის უზენაესობის საკითხის დაყენება აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ცენტრში, მაგალითად, **მიანმარში,** მალე შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მთავრობა ცვლილებების წინააღმდეგია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მას საზღვარგარეთიდან დახმარების იმედი აქვს. **ეს ყველაფერი ეჭვქვეშ აყენებს მიზანშეწონილობას, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ცენტრალური ელემენტი დემოკრატიის განვითარება უნდა იყოს.**

ბაიდენმა მწვავედ გააკრიტიკა **ჩინეთის** ქმედებები, თუმცა პეკინთან თანამშრომლობის სურვილიც გამოთქვა, როცა პეკინისა და ვაშინგტონის ინტერესები დაემთხვევა. **ჩინეთმა უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა მზად თანამშრომლობისთვის აშშ-ის მხრიდან კრიტიკის, სანქციებისა და ორმხრივი დანიშნულების ტექნოლოგიების შეზღუდვის პირობებში.**



**აშშ-ს მოუწევს დაბრკოლებების გადალახვა თავისი მიზნების მისაღწევად გლობალური პრობლემების გადაწყვეტისას, ინფიცირებულებითა და კლიმატის ცვლილებით დაწყებული, ბირთვული იარაღის გავრცელების შეზღუდვითა და კიბერსივრცეში ქცევის წესების შემოღებით დასრულებული**



აშშ-ის არმიის ჯავშნიანი მანქანები გერმანიის ქალაქ ფილსეკში

**აშშ-ის მოკავშირეები შიშობენ, რომ 4 წლის შემდეგ აშშ-ში შეიძლება დაბრუნდეს ტრამპიზმი, თუნდაც ტრამპის გარეშე. შიში, რომ ტრამპი არ იყო ანომალია და ასახავდა იმ ვითარებას, რომელიც შეიქმნა აშშ-ში, ძირს უთხრის აშშ-ის გავლენას. ცდუნება, განკარგულებებით მართოს ქვეყანა, გასაგებია, მაგრამ, როცა საქმე ეხება საგარეო პოლიტიკას, ბაიდენმა უნდა აალორძინოს პრინციპი, რომლის მიხედვით საშინაო პოლიტიკა აშშ-ის საზღვრებს გარეთ არ უნდა გავიდეს**

აშშ-ს მოუწევს დაბრკოლებების გადალახვა თავისი მიზნების მისაღწევად გლობალური პრობლემების გადაწყვეტისას, ინფიცირებულებითა და კლიმატის ცვლილებით დაწყებული, ბირთვული იარაღის გავრცელების შეზღუდვითა და კიბერსივრცეში ქცევის წესების შემოღებით დასრულებული. ამასთანავე, არ არის კონსენსუსი საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან და აშშ-ს აღარ შეუძლია, აიძულოს სხვები, იმოქმედოს ისე, როგორც მას სურს, ამასთანავე, ვერც მარტო მიაღწევს დასახულ მიზანს.

ამით სირთულეები არ მთავრდება, ბაიდენის ადმინისტრაციამ აუცილებლად უნდა განსაზღვროს, რა მოუხერხოს ირანის ბირთვულ ამბიციებს — ღირს თუ არა ირანთან კიდევ ერთი ბირთვული გარიგების დადება. ამ ნაბიჯს ექსპერტები შეცდომად მიიჩნევენ. არის, აგრეთვე, კითხვები შეთანხმებებზე, რომლებსაც ხელი მოეწერა ერთი წლის წინათ „თალიბანთან“. ეს არის არა იმდენად სამშვიდობო შეთანხმება, რამდენადაც საფარველი აშშ-ის სახედრო კონტინგენტის შეყვანისა ქვეყანაში. დაძაბულია ურთიერთობა **ჩრდილოეთ კორეასთან**, რომელიც განაგრძობს თავისი ბირთვული და სარაკეტო არსენალის გაფართოებას.

როგორც უნდა წარიმართოს ბაიდენის საგარეო პოლიტიკა, მნიშვნელოვანია, რომ ის იყოს ორპარტიული და, შესაძლებლობის მიხედვით, მოიცავდეს კონგრესს.

აშშ-ის მოკავშირეები შიშობენ, რომ 4 წლის შემდეგ აშშ-ში შეიძლება დაბრუნდეს ტრამპიზმი, თუნდაც ტრამპის გარეშე. შიში, რომ ტრამპი არ იყო ანომალია და ასახავდა იმ ვითარებას, რომელიც შეიქმნა აშშ-ში, ძირს უთხრის აშშ-ის გავლენას. ცდუნება, განკარგულებებით მართოს ქვეყანა, გასაგებია, მაგრამ, როცა საქმე ეხება საგარეო პოლიტიკას, ბაიდენმა უნდა აალორძინოს პრინციპი, რომლის მიხედვით საშინაო პოლიტიკა აშშ-ის საზღვრებს გარეთ არ უნდა გავიდეს.

**regnum.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

თუ თქვენ ცოცხალი ადამიანებისგან ძველებურად იღებთ მომსახურებას, გაქვთ მათთან ურთიერთობის შესაძლებლობა. ეს ნიშნავს, რომ ხართ წარმომადგენელი ახალი ელიტისა, რომლის პრესტიჟულობა გამოიხატება ციფრულ მომსახურებაზე უარის თქმაში ონლაინ მომსახურების სასარგებლოდ.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ციფრული ეკონომიკა ღარიბებისთვისაა მოგონილი



**New York Times-მა გამოაქვეყნა ტექსტი ძირითადი თეზისით: ციფრული მომსახურების მოთხოვნა სიღარიბის ნიშანია!**

ჩვენ ვამბობთ ციფრულ ეკონომიკას და ვგულისხმობთ მომსახურების ეკონომიკას ღარიბებისთვის. თქვენ ღარიბი ხართ, თუ ექიმთან კონსულტაციას გადიხართ ინტერნეტით და არა პირადი შეხვედრისას; ღარიბი ხართ, თუ თქვენი შვილები სწავლობენ ონლაინ და არა სკოლაში პედაგოგებთან; ღარიბი ხართ, თუ საქონელს ყიდულობთ ონლაინ და არა ქალაქის ცენტრში მდებარე ლამაზ მაღაზიებში.

ის ფაქტი, რომ მდიდრები უპირატესობას ანიჭებენ ძველმოდურ ტიუტორებს (რეპეტიტორი, პედაგოგი — გ.გ.), პირად მწვრთნელებსა და მზარეულებს, და არა საკვების სმარტფონით მიწოდებას, საიდუმლო არავისთვის არის, მაგრამ New York Times-ში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი, **ნელი ბოულერზი,** უფრო შორს მიდის და ამბობს, რომ დაწყებულია ადამიანური ურთიერთობების „ლუქსიზაცია“.

თუ თქვენ ცოცხალი ადამიანებისგან ძველებურად იღებთ მომსახურებას, გაქვთ მათთან ურთიერთობის შესაძლებლობა, ეს ნიშნავს, რომ ხართ წარმომადგენელი ახალი ელიტისა, რომლის პრესტიჟულობა გამოიხატება ციფრულ მომსახურებაზე უარის თქმაში. **ღარიბები კრედიტით ყიდულობენ აიფონებს, მდიდრები კი უარს ამბობენ სმარტფონებზე. ღარიბები ცდილობენ, მათმა შვილებმა იცოდნენ კომპიუტერის გამოყენება, მდიდრები კი თავიანთი მემკვიდრეებს მიჰყავთ კერძო სკოლებში, რომლებშიც სწავლება აგებულია ადამიანებს შორის ურთიერთობაზე. ეკრანის წინ გატარებული დიდი დრო ცხოვრებაში თქვენს წარუმატებლობაზე მიუთითებს.** გაჯეტებთან ერთად ზრდა ბავშვების კოგნიტურ განვითარებას ვნებს და ამ დისკუსიაში IT-კორპორაციების მხარეს ბევრი არაკეთილსინდისიერი ფსიქოლოგი დგას.

**მდიდრების ურთიერთობა ადამიანებთან — უტელეფონოდ ცხოვრება დღის განმავლობაში, სოციალური ქსელებიდან გასვლა და ელექტრონულ ფოსტაზე უარის თქმა — სტატუსის სიმბოლოდ იქცა. ამან მიგვიყვანა საინტერესო ახალ რეალობამდე: ადამიანური კონტაქტი ელიტური პროდუქტი ხდება. ვინაიდან ღარიბების ცხოვრებაში სულ უფრო მეტი ეკრანი ჩნდება, ისინი მდიდრების ცხოვრებიდან ქრებიან. რაც უფრო მდიდარი ხართ, მით მეტს ხარჯავთ იმისთვის, რომ კადრს მიღმა დარჩეთ**

სტატიის ავტორი წერს საარსებო მინიმუმზე მცხოვრებ 68 წლის პენსიონერზე, რომლის ერთადერთი მოსაუბრე პლანშეტზე დახატული კატაა. ხანშიშესული ადამიანებისთვის დახატული კატა მოიგონა 31 წლის ბიზნესმენმა, რომლის კომპანიის თანამშრომლები ფილიპინებიდან მუშაობენ. თუკი კომპიუტერული პროგრამა გეტყვით, რომ კვდებით, ეს ნიშნავს, რომ კვდებით, როგორც ღარიბი ციფრულ ეკონომიკაში.



მდიდრების ურთიერთობა ადამიანებთან — უტელეფონოდ ცხოვრება დღის განმავლობაში, სოციალური ქსელებიდან გასვლა და ელექტრონულ ფოსტაზე უარის თქმა — სტატუსის სიმბოლოდ იქცა. ამან მიგვიყვანა საინტერესო ახალ რეალობამდე: ადამიანური კონტაქტი ელიტური პროდუქტი ხდება. ვინაიდან ღარიბების ცხოვრებაში სულ უფრო მეტი ეკრანი ჩნდება, ისინი მდიდრების ცხოვრებიდან ქრებიან. რაც უფრო მდიდარი ხართ, მით მეტს ხარჯავთ იმისთვის, რომ კადრს მიღმა დარჩეთ.

**dalistratogies.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**




# პოპულარული ფირმების დამზადებულ ბავშვთა საკვებში დარიშხანი, ტყვია და ვერცხლისწყალი აღმოაჩინეს



**„ამერიკული წარმოების ზოგიერთ საკვებ პროდუქტში, რომლებიც ბავშვებისთვის არის განკუთვნილი, მძიმე ტოქსიკური ლითონების — ტყვიის, კადმიუმის, აგრეთვე, დარიშხანის შემცველობის მაღალი დონე აღმოაჩინეს. „ამ ნივთიერებებმა შეიძლება ნევროლოგიური დარღვევები გამოიწვიოს ბავშვებში“, — ნათქვამია აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მიერ ჩატარებული კვლევის დასკვნაში.**

ეკონომიკური და სამომხმარებლო პოლიტიკის ქვეკომიტეტის ექსპერტებმა შეისწავლეს კომპანიების — Gerber-ის, Nurture Inc-ის, Hain Celestial Group Inc-ისა და Beech Nutrition-ის დოკუმენტები, რომლებიც კომპანიებმა ნებაყოფლობით წარუდგინეს ექსპერტებს ბავშვთა საკვებში მძიმე ლითონების არსებობა-არარსებობის შესამოწმებლად. Kომპანიებმა: Walmart-მა, Campbell-მა და Sprout Organic Foods-მა უარი განაცხადეს სპეციალისტებთან თანამშრომლობაზე.

**„ქვეკომიტეტის გამოძიების შედეგები ადასტურებს, რომ კომერციული ბავშვთა საკვები შეიცავს დარიშხანს, ტყვიას, ვერცხლისწყალსა და კადმიუმს. ეს მძიმე ტოქსიკური ლითონები სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ახალშობილებისა და ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისთვის. მწარმოებლები შეგნებულად ყიდიან ამ პროდუქტს. მიუხედავად შიდა სტანდარტებისა და ანალიზების შედეგებისა, იარლიყზე არ არსებობს არანაირი გამაფრთხილებელი წარწერა“,** — ნათქვამია აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ეკონომიკური და სამომხმარებლო პოლიტიკის ქვეკომიტეტის ექსპერტთა მიერ ჩატარებული გამოძიების დასკვნაში.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ტოქსიკური მძიმე ლითონები იწვევს „IQ-ს დაქვეითებას“, აგრეთვე, „ახალშობილთა ნევროლოგიური განვითარების შენელებას“.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, ზემოაღნიშნული 4 მძიმე ლითონი სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, „განსაკუთრებით ახალშობილებისა და ბავშვებისთვის“.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**„ქვეკომიტეტის გამოძიების შედეგები ადასტურებს, რომ კომერციული ბავშვთა საკვები შეიცავს დარიშხანს, ტყვიას, ვერცხლისწყალსა და კადმიუმს. ეს მძიმე ტოქსიკური ლითონები სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ახალშობილებისა და ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისთვის. მწარმოებლები შეგნებულად ყიდიან ამ პროდუქტს. მიუხედავად არსებული სტანდარტებისა და ანალიზების შედეგებისა, იარლიყზე არ არსებობს არანაირი გამაფრთხილებელი წარწერა**

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აბსურდის ქვეყანაში ვცხოვრობთ, თქვენი „გონივრული“ მსჯელობით გამოდის, რომ ბატონ ავთოს, კანონიდან გამომდინარე, სასჯელის შეფარდების უფლება არ ჰქონია და მას მკვლელად მოიხსენიებთ, ხოლო თქვენი ზეობის პერიოდში ყოველგვარი სასამართლოსა და კანონის გარეშე ქუჩაში ახალგაზრდების დახვრეტა სამართლიანი და კანონიერი იყო და თქვენ მკვლელები კი არა, ანგელოზები და ქვეყანაში წესრიგის დამყარებისათვის მებრძოლი რაინდები ხართ.**

# არც წულუკიანის ადვოკატი ვარ და არც უგულავას ბრალმდებელი, მაგრამ...

**ძვირფასო მკითხველო, თეა წულუკიანი ნაციონალებს ყელში რომ ჰყავთ გაჩხერილი და ვერ ინელებენ, არახალი ამბავია. მის ყველა გამოსვლასა და მოვლენების ობიექტურად შეფასებას ძველი და ახალგაევროპელებული ნაციონალები მდგომარეობიდან რომ გამოჰყავს, ესეც არახალია. ასე მოხდა ახლაც, რამდენიმე დღის წინათ, როცა ქალბატონმა წულუკიანმა მოვლენები ობიექტურად შეაფასა და თავისი ბასრი კბილი ისე მტკივნეულად გაჰკრა ნაციონალებსა და მათ ქვედანაყოფ „ევროპელებს“, რომ ცხრა მთავრობას გადამხტარი, ერთი პარტიიდან მეორეში მოძუნძულე, მედროვე და 48 მილიონის ქურდი უგულავა მდგომარეობიდან გამოიყვანა — ნერვიულობისაგან სულ ცოფებს ყრიდა, სიტყვებს თავს ველარ უყრიდა და რას ბოდავდა, თვითონაც არ იცოდა. ბოლოს, ქალბატონ თეას რომ ვერაფერი დააკლო, ოჯახზე გადავიდა და მამამისი, ცხონებული ავთო წულუკიანი მკვლელად და დამხვრეტად მოიხსენია, ხოლო მისი შვილი — მკვლელისა და დამხვრეტის ოჯახურ გარემოში აღზრდილად. რამდენიმე დღის შემდეგ ტელევიზიით აჩვენეს ვიღაც ორლობის დედაკაცის წივილ-კივილი, რომელიც წულუკიანს უშვერი სიტყვებით ლანძღავდა და უგულავას ბრალდებებს იმეორებდა...**



**ღმერთმა დაგიფაროთ, მაგრამ თქვენი ეგ ნებიერი ქალიშვილი ვინმემ რომ შეურაცხყოს, შემდეგ სიცოცხლე წაართვას, კვალის დაფარვის მიზნით სხეული დაანაწევროს, სხვადასხვა ნაგვის ურნაში ჩაყაროს, დამნაშავეს კი მოსამართლემ ოთხი წელი მიუსაჯოს და ორ წელიწადში გარეთ გამოუშვან, ეს უფრო სამართლიანი იქნება თუ მისთვის სასჯელის უმაღლესი ზომის შეფარდება?**

**ბატონო გიგი,** არ დაგამცირებთ და იმ დედაკაცს არ შეგადარებთ, რომელიც თავისი მენტალობით ყურადღების ღირსი ნამდვილად არ არის, მაგრამ გეტყვით, რომ, თქვენგან განსხვავებით, **ავთო წულუკიანი** იყო უკეთილშობილესი და უწესიერესი, პრინციპული და ობიექტური ადამიანი; კაცი, რომელსაც გულწრფელად უყვარდა სამშობლო და თავისი ხალხი, ოჯახი, მეუღლე, შვილები და შვილიშვილები. მეგობრობაში უღალატომ და მხარში მდგომმა, იცოდა შრომის ფასი, მაგრამ არ იცოდა შრომაში დაღლა. ახლანდელი ზოგიერთი მოსამართლისგან განსხვავებით, იყო თავისი საქმის პროფესიონალი, პრინციპული და ობიექტური მოსამართლე, რომელიც თქვენსავით გადაწყვეტილებებს არა ზემოდან დარეკვით ან მაღალჩინოსნების მითითებით, არამედ კანონიდან გამომდინარე, სინდისის ქენჯნითა და გულის კარნახით იღებდა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

ბატონო გიგი, რაც შეეხება იმ დამნაშავისათვის სასჯელის უმაღლესი ზომის შეფარდებას, რომელზეც თქვენ ასე დემაგოგიურად ლაპარაკობთ და ისე გამოგყავთ, თითქოს განსასჯელი უდანაშაულო და მართალი კაცი იყო, ბატონმა ავთომ კი ეს კაცი ტყუილად გაიმეტა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

თავის დროზე ეს მეტად გახმაურებული საქმე, რომელიც კულტურის იმჟამინდელ მინისტრს, ბატონ **ვალერი ასათიანს ეხებოდა,** სრულიად საქართველოს, რომ იტყვიან, პირზე ეკერა და მოსახლეობა მოუთმენლად ელოდა დამნაშავის მკაცრად დასჯას; დამნაშავის, რომელმაც ორი უდანაშაულო ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, შემდგომ კვალის დაფარვის მიზნით გვამები დაანაწევრა, დანაწევრებული ნაწილების ტომრებში ჩაყრაში დედა მოიშველია და სხვადასხვა ნაგვის ურნაში ჩაყარა. **რა უნდა ექნა მოსამართლეს, მადლობა გამოეცხადებინა და ეთქვა: ყოჩაღ, კაი ბიჭი ხარ და ასევე განაგრძეო?! თუ თქვენსავით, როგორც სანდრო გირგვლიანის მკვლელებს გამოუტანეთ განაჩენი, ოთხი წელი მიესაჯა და ორ წელიწადში გარეთ გამოეშვა?** მოკლულებს ჰყავდათ დედა, და, ძმა, მეუღლე და შვილები, რომლებიც სასამართლოს დარბაზში ისხდნენ და პროცესს ესწრებოდნენ.

— მთელი პროცესის დროს სულ თვალებში მიყურებდნენო, — იხსენებდა ბატონი ავთო. — მათი გამჭოლი მზერა ისეთი ძლიერი იყო, დღემდე მახსოვს, დარბაზში მათ ყურებას ვეღარ ვუძლებდი და თვალებს ვარიდებდიო. დამნაშავის ქმედება ისეთი სასტიკი და ამაზრზენი იყო, რომ სხვაგვარი სასჯელის გამოტანა მსხვერპლთა ჭირისუფლების შეურაცხყოფად, ხოლო კანონისა და საკუთარი სინდისის წინაშე დანაშაულის ტოლფასად ჩავთვალე და სასჯელის ზომაც ამ კრიტერიუმით განვსაზღვრეო. თუმცა შემდეგ მკვლელს დახვრეტა ხანგრძლივი პატიმრობით შეუცვალეს და მერე გათავისუფლდა კიდეც.

მოკლედ, აბსურდის ქვეყანაში ვცხოვრობთ. თქვენი „გონივრული“ მსჯელობით გამოდის, რომ ბატონ ავთოს, კანონიდან გამომდინარე სასჯელის შეფარდების უფლება არ ჰქონია და მას მკვლელად მოიხსენიებთ, ხოლო თქვენი ზეობის პერიოდში ყოველგვარი სასამართლოსა და კანონის გარეშე ქუჩაში ახალგაზრდების დახვრეტა სამართლიანი და კანონიერი იყო და თქვენ, მკვლელები კი არა, ანგელოზები და ქვეყანაში წესრიგის დამყარებისათვის მებრძოლი რაინდები ხართ? ვაი, თქვენს პატრონს!

ჩემო ავთო, შენ ვაჟკაცი იყავი და ზოგიერთი უღირსი, მხდალი და ლაჩარისაგან განსხვავებით, სიკვდილსაც ვაჟკაცურად შეხვდი. როცა გითხარი, — **ავთო ჟორჟოლიანი** დამპირდა, საუკეთესო ქირურგს გავაკეთებინებ ოპერაციას და ყველაფერი კარგად დამთავრდებაო, მიპასუხე: არა ომარ, მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე „ბანკაჩამოკიდებულმა“ ვიცოცხლოო. შენს ღირსებასა და ნათელ ხსოვნას უგულავასნაირი არაკაცები, მით უმეტეს ახლახან ზუგდიდიდანაც გამოგულავებული უგულავა ვერაფერს დააკლებს. იძინე მშვიდად და უშფოთველად!

**ბატონო გიგი და ნაციონალებო,“ ასე რომ განსჯიდით და იქცეოდით, იმიტომაც იყო, რომ ქართველმა ხალხმა შეგიძულათ და პოლიტიკურ სანაგვეზე მოგისროლათ. „ქართული ოცნების“ ბრალი არის ის, რომ თქვენი ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდი პოლიტიკურად არ შეფასდა და ამდენს გალაპარაკებენ.**

ბატონო გიგი, მიუხედავად თქვენი ამდენი უარყოფითი მხარისა, **კალაძისაგან** განსხვავებით, მერობის პერიოდში ერთი კარგი თვისება ნამდვილად გქონდათ, თქვენს სახელზე დაწერილ განცხადებებს ეცნობოდით, და, როგორი კრიტიკულიც არ უნდა ყოფილიყო, რეაგირებდით, თუნდაც ფორმალური პასუხით.

ბატონო გიგი, ახლა ყური კარგად დამიგდე და აუცილებლად მიპასუხეთ, გნებავთ, ტელევიზიით, გნებავთ, პრესით: თქვენ ხომ ნებიერი ქალიშვილი გყავთ, რომელსაც, სადაც კი დადიხართ, ყველგან თან დაატარებთ; სანამ პატარა იყო, კისერზე დასმულს, რომ წამოიზარდა — ხელგადახვეულს, რომლითაც ასე ამაყობთ, ამით ხშირადაც მანიპულირებთ კიდეც და ხალხს გულს უჩუყებთ ციხეში წასვლის წინ თუ „ოცნების“ საწინააღმდეგო მიტინგებზე გამოსვლისას. **გასაგებია, რომ მშობელი ხართ და შვილი გიყვართ, ეს ასეც უნდა იყოს და ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ იმ მოკლულსაც ჰყავდა მშობელი, რომელიც პროცესის მიმდინარეობისას სასამართლოს დარბაზში იჯდა და მოსამართლისაგან ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებას ელოდებოდა.**

ახლა კითხვა, რომელზეც აუცილებლად უნდა მიპასუხოთ: **ღმერთმა დაგიფაროთ, მაგრამ თქვენი ეგ ნებიერი ქალიშვილი ვინმემ რომ შეურაცხყოს, შემდეგ სიცოცხლე წაართვას, კვალის დაფარვის მიზნით სხეული დაანაწევროს, სხვადასხვა ნაგვის ურნაში ჩაყაროს, დამნაშავეს კი მოსამართლემ ოთხი წელი მიუსაჯოს და ორ წელიწადში გარეთ გამოუშვან, ეს უფრო სამართლიანი იქნება თუ მისთვის სასჯელის უმაღლესი ზომის შეფარდება?**

წერილის დასასრულს, თქვენი მერობის პერიოდში მოწერილი ერთ-ერთი წერილის ბოლო მინაწერს გავიმეორებ, იქნებ თქვენი უკანონო გადაწყვეტილებებიდან რომელიმე გაგახსენოს და სინდისის ქენჯნამ ახლა მაინც შეგაწუხოს. თუმცა ალბათ ტყუილად ვირჯები, სინდისის ქენჯნამ რომ შეგაწუხოს, სინდისი უნდა გქონდეს, უსინდისო კაცს სინდისი როგორ შეაწუხებს?!

**ომარ გოცაძე**

**თავის დროზე, ეს მეტად გახმაურებული საქმე, რომელიც კულტურის იმჟამინდელ მინისტრს, ბატონ ვალერი ასათიანს ეხებოდა, სრულიად საქართველოს, რომ იტყვიან, პირზე ეკერა და მოსახლეობა მოუთმენლად ელოდა დამნაშავის მკაცრად დასჯას; დამნაშავის, რომელმაც ორი უდანაშაულო ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, შემდგომ კვალის დაფარვის მიზნით გვამები დაანაწევრა, დანაწევრებული ნაწილების ტომრებში ჩაყრაში დედა მოიშველია და სხვადასხვა ნაგვის ურნაში ჩაყარა. რა უნდა ექნა მოსამართლეს, მადლობა გამოეცხადებინა და ეთქვა: ყოჩაღ, კაი ბიჭი ხარ და ასევე განაგრძეო?! თუ თქვენსავით, როგორც სანდრო გირგვლიანის მკვლელებს გამოუტანეთ განაჩენი, ოთხი წელი მიესაჯა და ორ წელიწადში გარეთ გამოეშვა?**

„ჩვენი მიზანია დღევანდელი კრიზისული სისტემის დაძლევა და ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა საბჭოთა სოციალისტური სისტემისა თუ ევროპული სოციალიზმის მოწინავე გამოცდილების საფუძველზე. ამ სტრატეგიული მიზნის მიღწევის გზაზე სკა-ს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს საქართველოს მშრომელი მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენა შესაბამისი მატერიალური ბაზისა და წარმოების პირობების სასწრაფო უზრუნველყოფის გზით“.

მოქმედების პროგრამა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# თემურ ფიფია: საქართველოში დამყარებული კაპიტალისტური სისტემა მშრომელი მოსახლეობის ინტერესების საწინააღმდეგო ანტიხალხური სისტემაა

## «სოციალიზმი შვებაა მშრომელი მოსახლეობისთვის. სოციალიზმი ქვეყნის განვითარების ერთადერთი სწორი გზაა»

**30-წლიანი დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ყოფილ სოციალისტურ საქართველოს მისტირის. უფროს თაობასთან ერთად ქვეყნის განვითარების ერთადერთ სწორ გზად მომავალი თაობაც სოციალიზმს მიიჩნევს. სოციალიზმი ერთგვარ მოდურ მიმდევრობად იქცა დასავლეთის ქვეყნებშიც. „ნეოლიბერალურმა კაპიტალიზმმა და საბაზრო ეკონომიკამ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს, არ გაამართლა“, — ამბობს „სოციალისტური კოალიცია აღორძინებისთვის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი თემურ ფიფია და თანამოაზრეებთან ერთად შექმნილ პროგრამას სთავაზობს საზოგადოებას. „საქართველო და მსოფლიოს“ თემურ ფიფია ესაუბრება:**

**«ვიბრძოლოთ, რათა გავაუმჯობესოთ ჩვენი მდგომარეობა დღეს, რადგან ხვალ გვიან იქნება. ამ სიტყვებს ისე, ჰაერზე არ ვამბობ. 15 თებერვლიდან დაიწყო ჩვენი ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის გამწესება გერმანიაში. ჩვენს მოქალაქეებს, რომლებსაც სურვილი აქვთ, შეუძლიათ, რეგისტრაცია გაიარონ და გერმანიაში იაფ მუშახელად წავიდნენ. ეს კატასტროფაა, ეს დაუშვებელია, ეს ფსკერია. ქვეყანა დაიცლება, ქვეყანა, რომელსაც თავისუფლად შეუძლია, თავისი ხალხი სამსახურით უზრუნველყოს, არჩინოს და სხვაზე დამოკიდებული არ იყოს»**

— სოციალიზმი ყველა სოციალური უბედურების წამალია. სოციალიზმი შვებაა მშრომელი მოსახლეობისთვის. სოციალიზმი ქვეყნის განვითარების ერთადერთი სწორი გზაა. **საქართველოში დამყარებული კაპიტალისტური სისტემა მშრომელი მოსახლეობის ინტერესების საწინააღმდეგო, ანტიხალხური სისტემაა.** მეცნიერები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ექიმები და მასწავლებლები, მომსახურების სფეროს მუშაკები, ბანკისა თუ სახელმწიფო რეესტრის თანამშრომლები, საზღვაო პორტების, რკინიგზის, მეტროპოლიტენის, ელექტროსისტემის მუშაკები, ფაბრიკა-ქარხნების მუშები და ფერმერები განიცდიან ინტენსიურ ექსპლუატაციას. უმუშევართა და მშრომელ მიგრანტთა დიდ არმიასთან ერთად ისინი ჩვენი მოძრაობის სოციალური ბაზაა. **საქართველოს სოციალისტური კოალიცია აღორძინებისათვის (შემოკლებით — სკა) დაიცავს მათ ინტერესებს ბანკირებისა და ბიზნესმენების, მილიარდერებისა თუ სხვადასხვა სფეროს მონოპოლისტების ეკონომიკური და პოლიტიკური დიქტატისაგან.**

ჩვენი მიზანია დღევანდელი კრიზისული სისტემის დაძლევა და ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა საბჭოთა სოციალისტური სისტემისა თუ ევროპული სოციალიზმის მოწინავე გამოცდილების საფუძველზე. ამ სტრატეგიული მიზნის მიღწევის გზაზე სკა-ს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს საქართველოს მშრომელი მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენა შესაბამისი მატერიალური ბაზისა და წარმოების პირობების სასწრაფო უზრუნველყოფის გზით.

**— როგორია თქვენი ანტიკრიზისული გეგმა? ადვილი არ არის დღევანდელი საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარება, ასევე რთულია საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური ჩიხიდან მისი გამოყვანა.**

— ჩვენ შემუშავებული გვაქვს ანტიკრიზისული პროგრამა. დავიწყებ **საგარეო პოლიტიკიდან:**

* დაიწყოს იურიდიული და ეკონომიკური ხასიათის წინაპირობების მომზადება საქართველოს ევრაზიულ კავშირში სასწრაფო გაწევრების მიზნით; რუსეთის (ევრაზიული, პოსტსაბჭოთა სივრცის) ბაზარი და იაფი ენერგორესურსები საქართველოს ეკონომიკის რეაბილიტაციის საწინდარია;

* შეწყდეს ნატოსთან თანამშრომლობა; შეწყდეს ნატოს სამხედრო მისიებში მონაწილეობა და გამოყვანილ იქნას ქართული საჯარისო ფორმირებები უცხო რეგიონებიდან;

* აღსდგეს დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან მასთან მჭიდრო ეკონომიკური, სამეცნიერო-კულტურული და სტრატეგიული სამხედრო-პოლიტიკური კავშირების დამყარების მიზნით;

**აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი:**

* შეიქმნას წინაპირობები აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ნაყოფიერი პირდაპირი დიალოგის უზრუნველყოფის მიზნით;

* ზემოჩამოთვლილი საგარეო-პოლიტიკური მიზნების რეალიზაცია (რეალიზაციის დაწყება) ასევე ქმნის წინაპირობებს აფხაზებთან და ოსებთან ნაყოფიერი პირდაპირი დიალოგისთვის;

**დიალოგის მთავარი მიზნებია:**

* აფხაზების, ქართველებისა და ოსების ერთიან სივრცეში მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფა საქართველოს, როგორც თანასწორუფლებიანი და სუვერენული სახელმწიფოს, ევრაზიულ სივრცეში ინტეგრაციის გზით;

* ურთიერთნდობის აღდგენა და ომის მძიმე მემკვიდრეობის ერთობლივი დაძლევა;

* ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სამთავრობო საკოორდინაციო საბჭოს შექმნა;

* აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან პირდაპირი ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული ურთიერთობების აღდგენა; სამთავრობო დონეზე ეკონომიკური და ჰუმანიტარული ხასიათის ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება;

* რკინიგზისა და სხვა სატრანსპორტო კორიდორის გახსნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გავლით;

* დარგობრივი ურთიერთთანამშრომლობის აღდგენა-გაფართოება; ერთიანი სამეურნეო სისტემის თანდათანობითი აღდგენა;

* ერთი მხრივ, საქართველოს; ხოლო, მეორე მხრივ, აფხაზური და ოსური მხარის მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების აღდგენა და მშობლიურ მხარეში მათი ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფა;

* სამხედრო ბიუჯეტის შემცირება და გამოთავისუფლებული თანხების მიმართვა ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების რეალიზაციისკენ.

**ეკონომიკა:**

* შეიქმნას ეკონომიკისა და სოციალური პროცესების ერთიანი სახელმწიფო მართვის ცენტრალიზებული სისტემა საზოგადოების საწარმოო, ბუნებრივი და ადამიანური რესურსების ეფექტური მართვისთვის მთელი საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, ქვეყნის გადაუდებელი რეაბილიტაცია-აღდგენის მიზნით;

* გამოცხადდეს ეკონომიკის აღდგენის ანტიკრიზისული სამწლიანი პერიოდი. შემუშავდეს ეკონომიკის დარგობრივი განვითარების ერთიანი სამწლიანი გეგმა, მიმართული მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენისთვის მინიმალურად აუცილებელი მატერიალური ბაზის შექმნისკენ;

* უარი ითქვას ეკონომიკისა და სოციალური სფეროს მართვაზე ბიზნესის მეშვეობით მისივე ინტერესების შესაბამისად;

* ყველა მსხვილი საწარმოს, რკინიგზის, საზღვაო პორტის, ენერგეტიკული სისტემის, ბუნებრივი რესურსის, მიწის ნაციონალიზაცია;

* შეიქმნას ერთიანი სახელმწიფო საბანკო სისტემა, ხოლო ცენტრალური ბანკი დაექვემდებაროს მთავრობას;

* საშუალო და მცირე ზომის საწარმოთა ბაზაზე შეიქმნას „სახალხო“ საწარმოები, რომელთა მართვა-გამგეობის სრული უფლება გადაეცემა მშრომელთა კოლექტივებს;

* შეიზღუდოს ბანკების, ფარმაცევტული, საწვავის იმპორტიორი თუ სხვა მონოპოლიების გამდიდრება ეკონომიკის აღდგენის სამწლიანი ანტიკრიზისულ პერიოდში; კერძო სექტორის ზემოგება მიიმართოს სოციალურად მნიშვნელოვანი პროგრამების რეალიზაციისკენ;

* ამოქმედდეს პრინციპულად ახალი პროგრესული საგადასახადო სისტემა, როგორც მშრომელი უმრავლესობის სასარგებლოდ შემოსავლების ეფექტიანი გადანაწილების ბერკეტი. გათავისუფლდეს მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებისაგან მცირე ხელფასები თუ შემოსავლები;

* შეიქმნას სახელმწიფო საწარმოები ფარმაცევტული, საწვავის იმპორტის, პურის, ხილის, თხილისა და ციტრუსების, ღვინის წარმოებისა და სხვა ამჟამად მოქმედი სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროებში, რათა მოხდეს ფასების სახელმწიფო რეგულირება მშრომელი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად;

* შეიქმნას მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სახელმწიფო სისტემა, რომელიც უფასოდ მოემსახურება კოლექტიურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს.

**სოციალური სფერო:**

* შეიქმნას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების ერთიანი სახელმწიფო ფონდი უღარიბესი მოსახლეობისათვის მათი უფასოდ განაწილების მიზნით;

* შეიქმნას ერთიანი სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდი უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის მიზნით:

* შეიქმნას მიუსაფარ ბავშვთა, ასევე მრავალშვილიან ოჯახთა ბავშვების მოვლა-აღზრდისა და სოციალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სისტემა;

* შემუშავდეს უმუშევართა დასაქმების, აგრეთვე, სოციალურად დაუცველთა რეაბილიტაციის ქმედითი სახელმწიფო პროგრამა;

* შემუშავდეს სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა;

* დაწესდეს სახელმწიფო რეგულირებადი ფასები მედიკამენტებზე, პურზე, საწვავზე, პირველადი და მასობრივი მოთხოვნის სხვა პროდუქტებზე;

* გამოცხადდეს უპირობო საიპოთეკო ამნისტია; შემუშავდეს დაზარალებულ იპოთეკართა და მენაშენეთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა;

* ერთიანი მინიმალური ხელფასის შემოღება და მისი მიბმა საარსებო მინიმუმთან;

**— ეს ყველაფერი გასაგებია და ძალიან სასიამოვნო მოსასმენიც, მაგრამ როგორი უნდა იყოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობა ქვეყნისა, რომელიც იმ ყველაფერს განახორციელებს, რაც თქვენ ჩამოთვალეთ?**

— დიახ, ჩვენი ქვეყანა სულ სხვა რელსებზეა, მაგრამ ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობისთვის აუცილებელია:

* ახალი შრომის კოდექსის შემუშავება, რომელიც ეფექტიანად დაიცავს კერძო და სახელმწიფო სფეროში დასაქმებული მშრომელი ადამიანის ინტერესებს;

* პროფკავშირებისა და შრომითი კოლექტივების უფლებების რადიკალური გაფართოება, მათზე კერძო საწარმოთა საქმიანობაზე ზედამხედველობის, ხოლო სახელმწიფო საწარმოთა მართვის უფლებების გავრცელება; სახელმწიფო საწარმოთა დირექტორების არჩევითობა;

* ამომრჩეველთა მიერ საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა (ყველა დონის დეპუტატთა) უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის ეფექტური სისტემის დანერგვა; პარლამენტის დეპუტატთა იმუნიტეტის გაუქმება;

* მშრომელთა კოლექტივების, პროფკავშირების, მასობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების მექანიზმების დანერგვა;

* ამომრჩეველთა უმრავლესობის მოთხოვნით არაეფექტური პარლამენტის (მთავრობისა და პრემიერ მინისტრის) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ეფექტიანი სისტემის დანერგვა;

* პარლამენტის მხრიდან მთავრობის საქმიანობისადმი კონტროლის მექანიზმების რადიკალური გაფართოება;

* სახალხო დამცველის უფლებების რადიკალური გაფართოება;

* სამართალდამცავი ორგანოების ქვესტრუქტურების ხელმძღვანელთა არჩევითობა (უფლებამოსილების შეჩერება) პირდაპირი წესით;

* ყველა დონის მოსამართლეთა არჩევითობა (უფლებამოსილების შეჩერება) პირდაპირი წესით;

* უფასო სასამართლოს უზრუნველყოფა (სახელმწიფო ბაჟების გაუქმება...);

* რეფერენდუმის მოწვევის პირობების გამარტივება.

**ვიბრძოლოთ, რათა გავაუმჯობესოთ ჩვენი მდგომარეობა დღეს, რადგან ხვალ გვიან იქნება. ამ სიტყვებს ისე, ჰაერზე არ ვამბობ. 15 თებერვლიდან დაიწყო ჩვენი ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის გამწესება გერმანიაში. ჩვენს მოქალაქეებს, რომლებსაც სურვილი აქვთ, შეუძლიათ, რეგისტრაცია გაიარონ და გერმანიაში იაფ მუშახელად წავიდნენ. ეს კატასტროფაა, ეს დაუშვებელია, ეს ფსკერია. ქვეყანა დაიცლება, ქვეყანა, რომელსაც თავისუფლად შეუძლია, თავისი ხალხი სამსახურებით უზრუნველყოს, არჩინოს და სხვაზე დამოკიდებული არ იყოს.**

ჩვენ ვართ მშრომელი მოსახლეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა!

ჩვენი დევიზია: მშვიდობა, შრომა, ინტერნაციონალიზმი, სოციალიზმი!

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩიტირეკია ჩიტირეკიას ადვილად ვერ მოატყუილებს, ერთმანერთის გულის პასუხები კარგად ესმისთ, ერთმანერთისა ეშინიათ, ამიტომ ერთმანერთს უმეგობრდებიან ხოლმე, მაგრამ ვაი ამისთანა მეგობრობას და ერთმანერთის ქება-დიდებას!“**

# ჩიტირეკიები

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

**ახალმა რეალობამ გამახსენა ვაჟა-ფშაველას წერილი „ჩიტირეკია“; ამ რეალობამ, რომელიც პარტიიდან პარტიაში „მხტუნავი“ ვაიპოლიტიკოსების საქციელზე დაკვირვებულ ადამიანებს სულაც არ გაჰკვირვებიათ; არ გაჰკვირვებია იმ ხალხს, რომლის სახელითაც ეს ჩიტირეკიები ხშირად აკეთებდნენ განცხადებებს, გამოთქვამდნენ პროტესტს და თავიანთი გულისნადების ასასრულებლად ფარად ისევ და ისევ რიგით მოქალაქეებს იყენებდნენ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. რატომ? იმიტომ, რომ „ხალხი, მართლა ბრმა და ყრუ ხომ არ არის, ვერ იცნოს თავის კეთილისმყოფელი, თავის მოყვარე და მტერი ერთმანერთში აურიოს“?!...„უნდა ამოიძრონ თავიდან ეგ ფიქრი, რომ ხალხის მოტყუილება ადვილი მოსახერხებელი იყოს. შეიძლება ხალხი დროებით დაიმორჩილონ, მაგრამ ეს არ იქნება სამუდამოდ“ (*„შავბნელი ამბები“*).**

**«ტყუილად ვინმე მოელის ნდობის მოპოვებას იმ დრომდე, ვიდრე სიტყვასა და საქმეს შორის არ დამყარდება სრული თანხმობა», სანამ მათი მოქმედება არ იქნება მიმართული ქვეყნის, ხალხის საკეთილდღეოდ. ასეა, შალიკოს ფანჩატურში «ერთსულ და ერთხორცად შეკრულო» ოპოზიციავ! მხოლოდ საკუთარ ტყავსა და კეთილდღეობაზე ფიქრის გამოა, რომ დღეს «მარტივ მამრავლებად» დაიშალეთ; გაიშიფრეთ ბოლომდე — სად და რატომ იყავით შემძვრალნი და რის იმედად უკმევდით გუნდრუკს ერთმანეთს**







**«ხალხი, მართლა ბრმა და ყრუ ხომ არ არის, ვერ იცნოს თავის კეთილისმყოფელი, თავის მოყვარე და მტერი ერთმანერთში აურიოს»?! «უნდა ამოიძრონ თავიდან ეგ ფიქრი, რომ ხალხის მოტყუილება ადვილი მოსახერხებელი იყოს. შეიძლება ხალხი დროებით დაიმორჩილონ, მაგრამ ეს არ იქნება სამუდამოდ»**



ვაჟა-ფშაველამ 1905 წელს, საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, თქვა ეს. თურმე მაშინაც ყოფილან ჩიტირეკიები და მაშინაც არ სცოდნიათ იმ უბედურებს, რომ „სიტყვა სხვაა, საქმე – სხვა და მათ შუა უზარმაზარი ჯურღმულია“ და „ტყუილად ვინმე მოელის ნდობის მოპოვებას იმ დრომდე, ვიდრე სიტყვასა და საქმეს შორის არ დამყარდება სრული თანხმობა“, სანამ მათი მოქმედება არ იქნება მიმართული ქვეყნის, ხალხის საკეთილდღეოდ.

**ასეა, შალიკოს ფანჩატურში „ერთსულ და ერთხორცად შეკრულო“ ოპოზიციავ! მხოლოდ საკუთარ ტყავსა და კეთილდღეობაზე ფიქრის გამოა, რომ დღეს „მარტივ მამრავლებად“ დაიშალეთ; გაიშიფრეთ ბოლომდე — სად და რატომ იყავით შემძვრალნი და რის იმედად უკმევდით გუნდრუკს ერთმანეთს.**

ბევრი ულრინეს მთავრობას, ფეხებიც უბაკუნეს, მაგრამ საბოლოოდ რა გამოვიდა? რა და — ბევრი ვეცადე ჩემთვისო, გამომივიდა შენთვისო. დიახ, ვიცი, რომ ხალხური ანდაზა ამას პირიქით ამბობს, მაგრამ ჩვენს დროში ხომ ყველაფერი უკუღმაა?! ჰოდა, ოპოზიციისთვისაც ბედის ბორბალი შესაბამისად დატრიალდა: გაერთიანდნენ კიდეც — ისინიც კი, ვინც ადრე ერთმანეთს დასანახად ვერ იტანდა, გვერდიგვერდ დადგნენ, „ძალა ერთობაშიაო“...

მაგრამ ვაი ამისთანა მეგობრობას და ერთმანეთის ქებადიდებას!

რატომ?

პასუხს დიდ ფშაველს დავესესხები, რადგან სწორედ რომ ზუსტად და ლამაზად ერგება მათ დიდი პოეტის ეს სიტყვები: **„დიდხანს ვერ გასტანს იმათი მეგობრობა, მალე კინკლაობა მოუვათ! აბა ეს არის კიდეც სეირი, როცა ჩიტირეკია ჩიტირეკიას ურაკუნებს თავში და გამოუქვეყნებს: შენ ეს არა ხარ, მე რას მატყუებ, შვილოსან, რაც მე ვარ, ის შენა, სხვები მოატყუე, მე ნუ! ერთი ჩიტირეკია მეორეს თავისას ეუბნება და ამითი გულსა სტკენს. ჩემი არ გითხრა, გული რით დაგწვაო, ნათქვამია“.**

განა ქართული სატელევიზიო სივრცე მსგავსი პოლემიკების ნილვარს არ მიაქვს? აქაც მომრავლდნენ ჩიტირეკიები. თქვენს მტერს, თუ ჩიტირეკიამ მასმედიაში შეაღწია: **„ვისგანაც არაფერს გამოელის, იმათ მუდამ ლანძღავს, უსამართლოებს ეძახის, რა არის, დაანახოს ქვეყანას, რომ სიმართლის მოყვარული ვარო. იმას კი, ვისგანაც რასმე გამოელის, აქებს და ადიდებს, მაგრამ, თუ რასაც მოელოდა, ის სასყიდელი არ მიიღო, ჩქარა იმასაც ლანძღვას დაუწყებს; გუშინ ვისაც აქებდა, დღეს...“**

მაგრამ, **„თუ ერთმანერთს აუხირდნენ ჩიტირეკიები, მეტისმეტად ატკენენ ერთმანერთს გულსა, ისე ძლიერ აწყენინებენ, რომ იოტის ოდენად პატიოსნის მქონე კაცი თავს მოიკლავს, მაგრამ იმათ ერთსაც ეშინიან და მეორესაც, ამიტომ თავის კაცურის ღირსების შემოფარგლვას, დაფარვას შეურაცხყოფისაგან მარტო სიტყვების კაკუნით ცდილობენ!“**

ვინც მიხვდა, რომ სიტყვების კაკუნით საკუთარ ღირსებას ვერ დაიცავდა, სხვა გამოსავლის ძებნა დაიწყო. ყველას **გრიგოლ ვაშაძემ** დაასწრო, თანამდებობაც დატოვა და პარტიაც.

ახლა კი „ევროპული საქართველო“, რომელიც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 2016 წლის არჩევნების შემდეგ გამოეყო, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად პირველად მონაწილეობდა, ამომრჩევლის ხმების 3,79%-ით 5 სადეპუტატო მანდატი მოიპოვა და სხვა ოპოზიციური პარტიების მსგავსად, ახალ პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადა, მგონი, იშლება.

ამ პარტიის ერთ-ერთმა წევრმა, **ელენე ხოშტარიამ,** თანაპარტიელებს საახალწლოდ სიურპრიზი მოუმზადა — „ევროპული საქართველო“ 28 დეკემბერს დატოვა. „ეს არანაირად არ არის „ევროპული საქართველოდან“ გადინების პროცესი, როგორც ეს ზოგიერთს სურს, რომ გამოაჩინოს“, — გვარწმუნებდა, უფრო ზუსტად, თავს ირწმუნებდა მაშინ დავით ბაქრაძე და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ყველა ასეთ ბინძურ ჭორს მინდა ვუპასუხო, რომ ეს ასე არ არისო“.

არ არის და ნუ არის! მაგრამ აგერ **გიგი უგულავაც** რომ გარბის (როგორც თვითონ ამბობს, საკუთარი პრინციპების ერთგულების გამო, თორემ ჩვენ, აბა, სად ვართ მისი პრინციპულობის „დამნახველი“?!), აქაოდა, „არჩევნებზე „ევროპული საქართველოს“ შედეგი ძალიან ცუდი იყოო?!

„მომავალ ყრილობაზე აღარ ვიქნები პარტიის გენერალური მდივანი. მიმაჩნია, რომ ეს არის ლოგიკური, სწორი და დროული. არ არსებობენ პარტიის ლიდერები უპირობოდ და უვადოდ. თავის დროზე სწორედ ამას ვუთხარით უარი და მე ამ პრინციპის ერთგული ვრჩები. მიუხედავად დრამატული გაყალბებისა, პარტიის შედეგი ბოლო არჩევნებზე იყო ძალიან ცუდი. შესაბამისად, ჩემს პასუხისმგებლობას ვიღებ და გზას ვუთმობ ადამიანებს, რომლებიც ამას გააკეთებდნენ უკეთესად“, — განაცხადა გიგი უგულავამ.

და, აჰა, მორიგი ახალი ამბავიც — **დავით ბაქრაძე** „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარის პოსტს დატოვებს.

თქვა, რომ პარტიის ყრილობაზე, რომელიც ორ თვეში გაიმართება, თავმჯდომარის პოსტზე თავის კანდიდატურას აღარ დააყენებს. ბაქრაძემ გადაწყვეტილების მიზეზებად პარტიისთვის საპარლამენტო არჩევნების „ცუდი შედეგები“, მისი, როგორც თავმჯდომარის, პასუხისმგებლობა და გუნდის განახლების საჭიროება დაასახელა.

პარტიის კიდევ ერთი ლიდერი, **გიგა ბოკერია,** კი ბაქრაძისა და უგულავას გადაწყვეტილებებს არ ეთანხმება. იგი აქტიურ პოლიტიკაში რჩება. ლიდერების განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე პარტიიდან წასვლის შესახებ „ევროპული საქართველოს“ კიდევ ერთმა წევრმა, **ზურაბ ჭიაბერაშვილმა,** განაცხადა.

„მოძრაობა თავისუფლებისთვის“ — ასეთი იყო ამ პარტიის დევიზი. ჰოდა, „მოძრაობენ“ თავისუფლად: ხელახლა გადაჯგუფდებიან სხვადასხვა პარტიაში, სხვა ნიღბითა და სხვა როლში გამოჩნდებიან ცოტა ხანში პოლიტიკურ სცენაზე და მერე ისევ თავიდან დაიწყება ყველაფერი, თუ მაყურებელს ნერვებმა საბოლოოდ არ უმტყუნა და „სცენიდან“ სამუდამოდ არ გააძევა.

უსამართლობა იქნება?

**P.S. მაგრამ, თუ „ქვეყანა წყვდიადით მოცულია“, „იქ სინათლეს ტყუილად ეძიებ, ვერ იპოვნი.**

**რატომ? არ არის თუ?**

**შეიძლება იყოს, მაგრამ ისეთ ალაგას არის დამწყვდეული, გარეშე ადამიანს გაუჭირდება მისი თვალით დანახვა“.**

**სინათლის მფლობელად ვაჟა-ფშაველას ინტელიგენცია მიაჩნდა: „დიაღ, ინტელიგენციამ უნდა გამოსცეს ეს ნათელი, მან უნდა მოჰფინოს ნათელი უმრავლესობის ბნელ გონებას, განასპეტაკოს ერის გრძნობა, მოაშოროს ჟანგი და ჭუჭყი მის გულს“ („დაკვირვება“).**

**„დიდხანს ვერ გასტანს იმათი მეგობრობა, მალე კინკლაობა მოუვათ! აბა ეს არის კიდეც სეირი, როცა ჩიტირეკია ჩიტირეკიას ურაკუნებს თავში და გამოუქვეყნებს: შენ ეს არა ხარ, მე რას მატყუებ, შვილოსან, რაც მე ვარ, ის შენა, სხვები მოატყუე, მე ნუ! ერთი ჩიტირეკია მეორეს თავისას ეუბნება და ამითი გულსა სტკენს. ჩემი არ გითხრა, გული რით დაგწვაო“.**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორიც ალხანა, ისეთი ჩალხანაო, ნათქვამია. ოღონდაც როგორიც კაცია, ფიქრებიც ისეთი აქვს: ავაზაკს ავაზაკური ფიქრები მოსდის თავში, ვაჭარს ვაჭრული, მუშას მუშური, ქალს ქალური, კაცს კაცური და სხვ. და სხვ.**

# ყოველდღიური ფიქრები

დიაღ, არც ერთს ქალს არა აქვს იდეალად დასახული, გამოჩენილი მხედარი იყოს, ღონიერი, კარგი მსროლელი, ანუ, მოკლედ რომ ვსთქვათ, სჭირდეს უხვად რუსთაველისებური „სამამაცონი ზნენი“. აგრეთვე, ვერც ერთს ნამდვილს მამაკაცს ვერ დამისახელებთ, თავი მოსწონდეს მითი და ყოყოჩობდეს, სახელოვანი „ქსლისა მბეჭველი“ ვარო. საერთო თვისება კი, როგორც მამაკაცთა, ისე დედაკაცთ, აქვთ ღვთისაგან მონიჭებული: არც ერთი მამაკაცი არ დაიწუნებს მამაცობას, ე. ი. მამაცი იყოს, როგორც არც ერთი ქალი არ შეგიძლიანთ იპოვოთ დედამიწის ზურგ ზედ, რომ სატრფიალოდ არ მიაჩნდეს და არ ნატრობდეს ტურფა, შვენიერი ვიყოვო. მაშასადამე, სიკარგე, სიკეთე ყველას თავისებურად ესმის სქესისა, წოდებისა, ხელობისა და სხვ. მიხედვით. ხალხიც ხომ ამბობს აღტაცებით, მოტრფიალე სიკარგისა, სიკეთისა:

**რა კარგია კაი კაცი,**
**კარგს ანდეზედ აგებული:**
**სოფელი ჰყავს მადლიერი,**
**სწორის გული მოგებული.**

**როგორც მამაკაცს, ისე დედაკაცს უნდა, რომ კარგს ეძახდნენ. ხოლო რა არის კარგი და ან ვის ეკუთვნის ღირსეულად ეს სახელწოდება, განსამარტავი, გასაჩხრეკი და გამოსაკვლევია.** ფილოსოფოსებს რომ დავუგდოთ ყური, როგორც, მაგალითად, სპენსერს, ამბობენ: კარგი ის არის, რაც მიზნის მიღწევას გვიადვილებსო; კარგი ცული – მჭრელი და მახვილიანია; კაი თოფი — მართლმსროლელი და ძლიერი; კაი ცხენი — მალხაზი, მარდი, ღონიერი, გამძლე და სხვ. და სხვ. მაგალითები აუარებელი შეიძლება დავასახელოთ. ძალიან კარგი.

ახლა ის ვიკითხოთ, **კაი კაცი ვინღაა?** ვის უნდა ვეძახდეთ კარგს საერთოდ! ვგონებ, რომ ამაზედ პასუხის მიცემა არ უნდა იყოს ადვილი, როგორც ზოგსა ჰგონია. კარგი ვაჭარი ვინ არისო, ვიკითხოთ, ამის პასუხი ადვილია, — ვინც მანეთს სამ ოთხს, ან კიდევ მეტსაც მოაგებინებს. კარგი მეომარი? — ვინც მტერს ბევრსა ჰკლავს. კაი მონადირე? — ვინც თოფს კარგად ესვრის და ნადირსაც ბევრსა ჰხოცავს. „კაი ქართველიაო“, — ვამბობთ ხშირად. **მაშ ვინაა კაი ქართველი? — ვისაც უყვარს საქართველო და იმის წყლულებს მალამოდ ედება, – ვინც მის სარგოს ჰფიქრობს და აკეთებს**. ასევე ითქმის რუსსა, ფრანგსა, ინგლისელსა, თათარსა და სხვებზედ, სხვა ან რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქართველობას, რუსობას, ფრანგობას, თუ კი ამ ღირსებას მოკლებული იქნება?! მაინც და მაინც ამითი კაი კაცის ვინაობა არ განიმარტების. ჯერ ისევ აუხსნელი, გაუგებარი რჩება ასახსნელი საგანი. თუ სიკეთე ადამიანის პირადის სარგებლობის მიღწევით განისაზღვრება, კაი კაცი ის უნდა იყოს, ვინც თავისს პირადს ყოფა-ცხოვრებას გაიუმჯობესებს, გასჭრის და გაჰკვეთს თავისდა სასარგებლოდ. ნუთუ ასე უნდა გვესმოდეს სიკეთე? — არა, მე სხვაგვარად ვსჯი და ვფიქრობ. **კაი ცული ბევრს საქმეს გააკეთებს, თუმც ხშირად მოხდება, რომ პირი მოსტყდეს და დაეჟღლას, მაგრამ სხვას — ადამიანს ბევრსა ჰრგებს; კაი ცხენი ბევრჯელ დაიღლება, ბევრჯელ გაიბანება ოფლში, ბევრს ტანჯვასა ჰნახავს, მაგრამ მხედარს კი ბევრს ასიამოვნებს. სანთელიც იმითია კარგი, რომ თვით იწვება და სხვას კი გზას უნათებს, წყვდიადს აქარწყლებს, ნათელს გვფენს, უხილავს მიდამოს ხილულადა ჰქმნის და სხვანი. ერთის სიტყვით, კარგს რასაც ვხედავთ, ბუნებაში ყოფილა თავისთვის უსარგებლო, ხოლო სხვისთვის სასარგებლო, სახეირო. მაშასადამე, თვით ბუნება გვაძლევს საზომს სიკარგისა და უვარგისობისას და ჩვენც კაცთ ეს არ გვესმის, თუნდაც რომ გვესმოდეს, მაინც ყურადღებით არ ვეპყრობით ამ ბუნების კანონს, მისს განაჩენს.**

განათლებამ ბევრი რამ ბუნებრივი უარჰყო და თავისს გემოვნებაზე გადააკეთა, თავისის აზრის, მისწრაფების სასარგებლოდ გამოიყენა, ხოლო უარყოფა აზრისა და გრძნობისა, რომელზედაც დაფუძნებულია ადამიანის სიავკარგე, დღესაქამომდე ვერ გაუბედნია. **ისტორიაც კარგ კაცებად იმათ ასახელებს, ვინც ამ მხრივ ყოფილა გამოჩენილი, ვისაც სხვისთვის რამ ურგია და არა მარტო თავისი თავი ჰხსოვნებია, თავისი ჯიბე და კუჭი.**

**სხვის რგება, სხვისთვის შემწეობის მიცემა ან კი რითია დასაწუნი? ამას დაიწუნებს მხოლოდ რეგვენი კაცი და ბრიყვი საზოგადოება. თუ კი ყველა სხვის შემწეობით, სხვისი შველით ვიქნებით გამსჭვალული, სხვა ჩვენთვის იქნება, სხვას ჩვენთვის ენდომება კეთილი, — ეს იგივე თავისის თავის შველა გამოდის, თუმც სხვა ფერით, სხვა წესით, რომელიც უფრო ღვთიურია, უფრო კაცობრივი, რადგან ამგვარი დამოკიდებულება ერთისა მეორესთან სპობს შურს, მტრობას კაცთა შორის.** სავალალოა მხოლოდ ის მოვლენა, **საბრალოა მხოლოდ მრავალთათვის თავდადებული ადამიანი, სხვებისთვის კეთილის მომქმედი, მშველელი და თითონ კი მოკლებული შველას მოყვასთაგან**. არ ახალია და ძველი ეს მოვლენა მხოლოდ იქ, სადაც ბნელა, — რეგვენს, ბრიყვს საზოგადოებაში. ესე იგივე მონობაა, იგივე ბატონ-ყმობაა, თუმცა სი შრომა, ჯანი, ოფლი სხვას ასარგებლებდა და მას მხოლოდ ტანჯვა-ვაება ჰრჩებოდა! არც მონობას ჩაუვლია ისე, სარგებლობა არ მოეტანოს, უფრო ნაყოფიერი, ვიდრე პირველი, მაგრამ უსამართლობით და უმადურობით მონათლული. **სხვის რგებაზე დამდგარი ადამიანი, ბრიყვს საზოგადოებაში, მუდამ ზარალშია, იგი ზვარაკია ტარიგად შეწირული.** ან მონა და ყმა რა მოგებაში იყო ბატონის ხელში — მივინაიდგან მეცნიერება და ხელოვნება მან დაჰბადა, და არც დღევანდელი „კაი-კაცის“ ღვაწლი ჩაივლის ისე, რომ ქვეყანას, მისს ყოფაცხოვრებას არაფერი არგოს. ქვეყანასაც უყვარს კაი კაცი და ყველასაც ჰსურს მისი თვალით ნახვა, რომელ ერსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, ჩვენთან, მაგალითად, არავითარი კავშირი და არაფერი ნათესაობა არა აქვს დევეტს, ბურების სარდალს, მაგრამ ყველასაც გვიყვარს იგი, რადგან თავგანწირულად იბრძვის თავისის ქვეყნის გულისათვის. ამიტომ არც გამიკვირდა, როცა ერთმა ჩემმა მეგობარმა სადილის დროს, თუმცა თავისი მეუღლე და ხუთი ვაჟიშვილი თვალებში შესჩერებოდა, იმათ თვალი და გული მოარიდა, ჟურნალი „ნივა“ მოითხოვა და პირველად დევეტის სადღეგრძელო დალია, მისი სურათი მაჩვენა და ზედაც ეს სიტყვები დააყოლა: „ნახე, რა ბიჭია, ვენაცვალე ღმერთშიო!“ რა თქმა უნდა, ინგლისელებიც მოვიგონეთ... მოვიგონეთ ძალმომრეობა, უწამებელი ყოვლისა, თვინიერ თავისა თვისისა.



> **«ვინაა კაი ქართველი? — ვისაც უყვარს საქართველო და იმის წყლულებს მალამოდ ედება, — ვინც მის სარგოს ჰფიქრობს და აკეთებს»**

ძალამცა სთქვა: „კარგი ვარ,
ჩემია მთა და ბარიო,
გავარღვევ ზღვასა და
კლდესა,
ვით ფხვიერს მიწას ბარიო;
შიშის ზარს დასცემს
ყველასა
ჩემი შუბი და ხმალიო,
არაფერს ჰკითხავს
ხატ-ღმერთსა,
მათ კანონს, ჩემი გვარიო,
წავლეკავ ქვეყნიერებას
როგორაც დელგმის ღვარიო,
სისხლის ზღვა ჩემი ხმალია
და ნაცარ-ტუტა — ფარიო“.
წყეულიმცა ხარ, წყეული,
მიწაში შესაფარიო!

**განა მარტო კაი კაცია ჩვენთვის სასიამოვნო? კაი საქმეც კარგი რამ გახლავთ, ვინაიდგან იგია ნამშო იმავე კარგის ადამიანისა, თორემ ცუდისა და უკეთურებისაგან უკეთურების მეტს რას უნდა მოველოდეთ?**

**კოკასა შიგან რაცა სდგას,**
**იგივე წარმოსდინდების.**

**დიაღ, ესაა, მკითხველო, ჩემი ყოველდღიური ფიქრი.** სხვა ფიქრებიც, განა არა, ბევრი გამირბენს თავში, ზოგი მაღალი, ზოგი დაბალი, მაგრამ ეს ფიქრი კი ყველა იმათ დასტრიალებს თავსა, ვითა არწივი მდელოსა ყვავილოვანსა. ყვავილოვნობა თავის ქებაში არ ჩამომართოთ, რადგან შხამიანი ყვავილი და ბალახიც ბევრი დგას სხვა ყვავილთა შორის.... ნურც ეს გაგიკვირდებათ, რომ „კაი კაცი“ და „კაი საქმე“ გამხდომოდეს ყოველდღიურ ფიქრად, რადგან ჩვენი ერის და ქვეყნის ფიქრი დღეს ესევეა და მეც, როგორც ერთს, მრავალთა შორის, ესევე მეფიქრება და მენატრება. მშიერი პურს კითხულობს: „ნეტარ იყვნენ მშიერნი და მწყურვალნი სიმართლისათვის (სიკეთისათვის), რამეთუ იგინი განძღნენ“...

ვისც ჰშიან, სწყურან
კეთილი,
იგი მეგულვის კაცადა,
ყველა თხაც არა ვარგია
ბელადადა და ვაცადა.
ვინ მოგვცემს კაი კაცებსა
ან კაი საქმეს სიდამა?
— მიწა არ აღმოაცენებს,
არც ჩამოხდება ციდამა,
თუ თითონ არ გავკეთდებით
თავის გრძნობით და
ჭკვიდამა,
ნუღარ უმტყუვნებს,
გამაგრდეს,
ვინაც კეთილი იწამა.
თუ შვილნი არ ვევარგებით,
რა ქნას სამშობლო მიწამა —
უთავო, უენპირომა
ქვიშამ, ლამმა და თიხამა?!

სწორედ კაი დროს ჩამოვაგდე სიტყვა კაი კაცსა და კაი საქმეზე, დიდმარხვას ეს შეჰფერის და უხდება. დიაღაც, მაგრამ, მაგარი ის არის, რომ სადღაა დიდი მარხვა? ნუ ვიტყვით ქალაქებს, სოფლებშიაც კი ძალასა და მნიშვნელობას მოკლებულია იგი. „ვრეკავ ზარს და რისთვის? ერთი მლოცავი არ შემოჰყოფს საყდარში თავსაო“, — შემომჩიოდა ერთი სოფლელი სულიერი მამა: „აბა მიბრძანდი სომხების ეკლესიაში, ტევა აღარ არის, ნემსი არ ჩავარდება დაბლაო, აღარა გვაქვს ხალხის თვალში მნიშვნელობა აღარც ჩვენ და აღარც ჩვენს წირვალოცვასაო“. — რატომ მეთქი? აქ მოძღვარმა მრავალი საბუთი წამოაყენა და, სხვათა შორის, ის, რომ სასულიერო მთავრობა არ გვინიშნავს კაი ჯამაგირებს, რათა ხალხთან სათხოვარი არაფერი გვქონდესო, სიძულილი მღვდელს და მრევლს შორის, მაშასადამე, ანგარიშებისა გამო ყოფილა. **საწყალი მთავრობა, ყველაფერი იმას უნდა დავაბრალოთ მაშინაც კი, როცა ჩვენი ბრალია, დამნაშავენი თითონ ჩვენა ვართ. მაშ მღვდელი და დიაკვანი რომ გალოთდნენ, ესეც მთავრობის ბრალი იქნება? აგრეთვე სხვა უწესო ყოფაქცევა, რომელიც არ შეჰშვენის და არ შეჰფერის სასულიერო კაცს, როგორც წარმომადგენელს სჯულ-სარწმუნოებისას, უნდა მოვახვიოთ იმავე მთავრობას?..**

ამ საგანზედ ამჟამად ამის მეტს ვერაფერს ვიტყვი, ხოლო სავალალოა და ფრიად საწყენი ეს მოვლენა, ესეთი სარწმუნოებრივი გულგრილობა ერისა.

**ვაჟა ფშაველა, 1901 წ.**

> **«კარგს რასაც ვხედავთ, ბუნებაში ყოფილა თავისთვის უსარგებლო, ხოლო სხვისთვის სასარგებლო, სახეირო. მაშასადამე, თვით ბუნება გვაძლევს საზომს სიკარგისა და უვარგისობისას და ჩვენც კაცთ ეს არ გვესმის, თუნდაც რომ გვესმოდეს, მაინც ყურადღებით არ ვეპყრობით ამ ბუნების კანონს, მისს განაჩენს»**

> **«სხვის რგება, სხვისთვის შემწეობის მიცემა ან კი რითია დასაწუნი? ამას დაიწუნებს მხოლოდ რეგვენი კაცი და ბრიყვი საზოგადოება. თუ კი ყველა სხვის შემწეობით, სხვისი შველით ვიქნებით გამსჭვალული, სხვა ჩვენთვის იქნება, სხვას ჩვენთვის ენდომება კეთილი, — ეს იგივე თავისის თავის შველა გამოდის, თუმც სხვა ფერით, სხვა წესით, რომელიც უფრო ღვთიურია, უფრო კაცობრივი, რადგან ამგვარი დამოკიდებულება ერთისა მეორესთან სპობს შურს, მტრობას კაცთა შორის»**

დაუვიწყარი სახელები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მეტრომშენი“ იყო მეორე უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც მომავალ ინჟინრებს, უწინარეს ყოვლისა კი, სამთოელებს პრაქტიკული საქმიანობის საფუძვლებს აზიარებდა.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №3-4, 2021 წ.

# სტალინის მიერ ნებადართული, ანუ როგორ ყალიბდებოდა თბილისი ევროპულ ქალაქად

**ვიქტორ გოცირიძის და „თბილგვირაბმშენის“ ტექნიკური ხელმძღვანელობის უდავო დამსახურებაა, რომ მათ შეძლეს, არაერთი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში ჩაებათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სხვა ორგანიზაციები. მაგალითად, აკადემიაში აითვისეს დაპრესილი ბეტონისგან აგებული გვირაბის სამაგრის გაანგარიშების ახალი, დიდი ეკონომიური ეფექტის მქონე მეთოდი, დაეხმარნენ მეტრომშენებლებს მიწისქვეშა თერმულ და აგრესიულ წყლებთან ბრძოლის დიდი სირთულეების დაძლევაში.**

1966 წლის იანვარში თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის ექვსმა სადგურმა ფართოდ გაუღო კარი მგზავრებს.

მეტრომშენებლობაზე ჩამოყალიბდა ინჟინერთა პროფესიული კოლექტივი, რომელსაც გვირაბმშენებლობის დარგში ნებისმიერი ამოცანის გადაწყვეტა შეეძლო.

ვიქტორ გოცირიძის ხელმძღვანელობის დროს „თბილგვირაბმშენმა“ ააგო 300-ზე მეტი სხვადასხვა ობიექტი, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავს სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა.

მაგალითად, თბილისში, მეტეხის პლატოს ავტოსაგზაო გვირაბი, რიკოთის გვირაბები, 100-დან 250 მეტრის სიგრძის გალერეა ზესტაფონისა და ჭიათურის 41-კილომეტრიან სარკინიგზო ხაზზე, ბერშუეთის ჰიდროტექნიკური გვირაბი, ავტოსაგზაო გვირაბები ხუნევში და ბზიფი-რიწის გზაზე, მცხეთის სარკინიგზო გვირაბი.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მშენებლობა იყო საავტომობილო გზა კავკასიის მთავარ ქედზე (ტრანსკავკასიის მაგისტრალი).

ახალი ათონის მღვიმის უნიკალური კომპლექსის შექმნისათვის ვიქტორ გოცირიძეს, როგორც სამუშაოთა ხელმძღვანელს, 1977 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

**თბილისში „გვირაბმშენი“ აშენებდა მტკვრის სანაპიროს, ხიდებს, გვირაბებს, მიწისქვეშა გადასასვლელებს. „თბილგვირაბმშენმა“ ააგო საქვეყნოდ ცნობილი ყვარლის უნიკალური მიწისქვეშა ღვინის საცავი გამონამუშევრის სიგრე 7,5 კილომეტრი იყო. ამ კომპლექსმა ფრანგი და სხვ აუცხოელი მეღვინეების დიდი მოწონება დაიმსახურა. ამას ემატება 24 სარკინიგზო გვირაბი ზესტაფონში, ჭიათურის ხაზზე (თითოეულის სიგრძე 110-დან 1071 მეტრია), სამი ავტოსაგზაო გვირაბი საქართველოს სამხედრო გზაზე საერთო სიგრძით 1129 მეტრი, მარტყოფის, ტირიფონის, ტაშისკარის, ნადარბაზევის, კრწანისის, ალგეთის, წებელდის, ლამისყანის ჰიდროტექნიკური გვირაბები სიგრძით 350-დან 1740 მეტრამდე.**

## საუკუნესთან წილნაყარი

ვიქტორ გოცირიძე 35 წელზე მეტხანს ხელმძღვანელობდა „თბილგვირაბმშენს“. მისი ბიოგრაფია მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე დაბადებული თაობის თავგადასავალია, თაობისა, რომელსაც ბედმა გასავლელად ძნელი გზა არგუნა, მაგრამ რწმენამ და თავისი ქვეყნის სიყვარულმა შეაძლებინა იმ ეპოქის ადამიანებს დაეძლიათ ნებისმიერი სირთულეები, ეშენებინათ ახალი ქვეყანა. ამას მიუკერძოებელი სტატისტიკა თვალნათლივ ადასტურებს.

ვიქტორ გოცირიძე იყო დაუღალავი და ინიციატივიანი პროფესიონალი. ახლისადმი მისწრაფება და შესაშური ალღო ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ მეტროს სადგურები ექსპლუატაციაში ვადამდე და მაღალი ხარისხით ბარდებოდა“.

„ეს იყო უდიდესი ენერგიის, უჩვეულო შრომისუნარიანი ადამიანი. მის მიერ წამოწყებული ნებისმიერი საქმის წარმატების საწინდარი იყო მისი ის თვისება, რომ კოლექტივის საქმიანობა საჭირო კალაპოტით წაეყვანა. ამავე დროს იგი გასაკვირად მომხიბლავი ადამიანი იყო, რომელსაც, როგორც იტყვიან, კოლექტივში საღი მორალური კლიმატის შექმნა შეეძლო“.

ესაა მხოლოდ ორი ამონარიდი ვიქტორ გოცირიძის მეგობრებისა და თანამშრომლების მოგონებებიდან. ისინი პატივს მიაგებენ იმ ადამიანის ხსოვნას, რომელსაც მიიჩნევენ გაბედულ ინჟინრად და ჩინებულ ორგანიზატორად, ამავე დროს გულისხმიერ და კაცთმოყვარე პიროვნებად.

## ბოლოთქმის ნაცვლად

წინათ „მეტრომშენში“ მუშაობა გაცილებით უფრო პრესტიჟული იყო, ვიდრე დღეს ნებისმიერ ბიუროკრატიულ სტრუქტურაში ან ბანკში საქმიანობა. ამიტომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ზაფხულობით, მესამე შრომითი სემესტრის დროს სიამოვნებით მიდიოდნენ მეტრომშენში ნებისმიერ ადგილზე სამუშაოდ, რომელიც კი მათ არჩეულ პროფესიას შეესაბამებოდა. „მეტრომშენი“ იყო მეორე უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც მომავალ ინჟინრებს, უწინარეს ყოვლისა კი, სამთოელებს პრაქტიკული საქმიანობის საფუძვლებს აზიარებდა.

სხვებთან ერთად ვიყავი მეც, როგორც სამთო ფაკულტეტის სტუდენტი, რომელმაც 1972 წელს პრაქტიკული საქმიანობა დავიწყე მეტროსადგურ „წერეთლის“ მშენებლობაზე გვირაბგამყვანთა ცნობილი ბრიგადის ხელმძღვანელის **გიორგი მესხის კოლექტივში.** შემდეგ წელს **ამირან ზარქუას** ბრიგადაში გადავედი.

კარგი ხელფასი გვქონდა.

აფეთქებითი სამუშაოები, ქანების გადამაგრება, თაღების დაბეტონება დაასე შემდეგ მაშინ ავითვისე. ხელით ვმუშაობდით, ნიჩბებით, სად იყო ის ტექნიკა, რომლითაც დღეს გვირაბგამყვანები არიან აღჭურვილები! განსაკუთრებით რთული მდგომარეობა იყო დახრილ გვირაბში, სადაც გაყინვის მეთოდით ვაწარმოებდით გამაგრებით სამუშაოებს.

იმხანად პირველად შევხვდი ვიქტორ გოცირიძეს და ჩვენი ურთიერთობა წლობით გაგრძელდა: მაძლევდა დავალებებს, მირჩევდა, მასწავლიდა, მამოწმებდა.

საოცრად გულთბილი იყო ახალგაზრდების მიმართ. ჩვენც გვეამაყებოდა, რომ ასეთი, საქვეყნოდ აღიარებული პიროვნება გვყავდა მასწავლებლად და ხელმძღვანელად.

ამასობაში გვაკვირდებოდა, გვარჩევდა, ანუ, როგორც იტყვიან, სამომავლო კადრების სელექციას ეწეოდა. ეტყობა, მე გამომარჩია, დამიახლოვა და თავისთან, მეტრომშენში მიმიპატიჟა — ჯერ ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმღვანელად, შემდეგ პარტკომის მდივნად. რვა წელიწადი მომიწია მასთან მუშაობა, კვირას იქ იყო ხოლმე. ერთხელ დაინტერესდა და მკითხა, როგორ ამოდიხარო? ტაქსითმეთქი ვუპასუხე. მაშინ მთელი ხელფასი ამაზე დაგეხარჯებაო, და მანქანა მომცა — ახალი „ჟიგული“. იმ დროს ისე არ იყო, როგორც დღეს, როცა ყოველ მესამე მანქანა აქვს ნაყიდი. ძალიან შეგვიწყო ხელი ამ სატრანსპორტო საშუალებამ — ჩვენი საქმიანობა გაცილებით ოპერატიული გახდა.

ბატონი ვიქტორი ყოველთვის მაგალითის მომცემი იყო, შემართული საქმისთვის, ყურადღებიანი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ სამსახურში მისვლა ვინმეს დაესწრო. უზარმაზარი კოლექტივის შრომის არაჩვეულებრივი ორგანიზატორი იყო, ერთი შეხედვით არკვევდა, სად რა სუსტი წერტილი იყო და ოპერატიულად ასწორებდა.



ბიძინა სონღულაშვილი

გვერდიდან არ მიცილებდა.

არასოდეს დამავიწყდება ერთი საყურადღებო ფაქტი, რომლითაც კიდევ ერთხელ დამტკიცდა ბატონ ვიქტორის მზრუნველი დამოკიდებულება ახალგაზრდა კადრების მიმართ.

„კომკავშირული ქალაქი“ თბილისიდან მოშორებით, რუსთავის გზაზე მდებარეობდა. მე, როგორც მეტრომშენის ახალგაზრდობის ხელმძღვანელს, ხშირად მიხდებოდა იქ ასვლა და სამუშაოს კოორდინირება-შემოწმება. ვიქტორ გოცირიძე, **ჟიული შარტავასთვის** დაპირების შესრულებაზე ზრუნავდა და ყოველ

**ედუარდ შევარდნაძე, თენგიზ მენთეშაშვილი, გურამ გაბუნია** ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც მუდამ მხარში გვედგნენ. მხოლოდ ერთ მაგალითს დაგისახელებთ ამის დასადასტურებლად. ედუარდ შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად რომ გადაიყვანეს, ჩასაბარებელი გვქონდა „ვარკეთილის“ სადგური, რომლის მწყობრში ჩასაყენებლად აუცილებელი იყო სპეციალური ელექტროკაბელი, რომელიც ამიერკავკასიაში ვერსად მოვიძიეთ, საერთოდ არ იყო. თავდაცვის სამინისტროს ჰქონდა რეზერვში აუცილებელ შემთხვევაში გამოსაყენებლად. ვიქტორ გოცირიძე მოსკოვში დაუკავშირდა თენგიზ მენთეშაშვილს, რომელიც იმ დროს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად მუშაობდა, აუხსნა სიტუაცია და მას შემდეგ, რაც შენვარდნაძე საქმეში ჩაერია, უფრო ზუსტად, სამ დღეში ოთხმა ტრაილერმა თბილისში ჩამოიტანა ის „საოცნებო“ საკაბელო მეურნეობა და „ვარკეთილი“ ჩადგა თბილისელების სამსახურში.

ახლა იოლად მოსაყოლია, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, როგორ შევძელით იმ დროს, როცა ელექტროენერგიით დაწყებული ყველაფრის დეფიციტი იყო, თავიდან ბოლომდე გადათხრილი პროსპექტის აღდგენა და მეტროპოლიტენის ამ ხაზის მწყობრში ჩაყენება ბატონ ვიქტორ გოცირიძის აღზრდილმა მეტრომშენებელთა თაობამ. ამ სადგურის ღია მეთოდით მშენებლობის მეთოდიც მისი შემოქმედების ერთი ნიმუში იყო.

ეს მოხდა 2000 წლის 3 აპრილს.

თბილისის მეტროს მშენებლობის ფეხზე დაყენებაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვით **ნიკო ლეკიშვილს** (სახელმწიფო მინისტრს), თბილისის მერებს — **ბადრი შოშიტაიშვილსა** და **ვანო ზოდელავას** (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები!).

1997 წელს, ურთულეს ვითარებაში მეტრომშენის უფროსად დამნიშნეს, ამაზე თქვენს გაზეთშიც მისაუბრია, ამიტომ ამჯერად მხოლოდ ერთს დავუმატებ.

მოსკოვის მეტრომშენის უფროსმა **იური კოშელევმა** ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია: იმავე წლის ოქტომბრის დასაწყისში საბურღი დანადგარებით, სანგრევი ჩაქუჩებით, მანქანა-იარაღების ნაწილებით, ნახევარი მილიონი მანეთის საიზოლაციო მასალებით თუ საბურავებით დატვირთული სამი ტრაილერი გამოგვიგზავნა, რამაც შეგვაძლებინა, დაგვეწყო კრიტიკული სიტუაციიდან გამოსვლა.

დავძენ იმასაც, რომ კოშელევმა ჩემი თხოვნით 300 ჩვენი უმუშევარი მეტრომშენებელი მოსკოვში მიიღო და პროფესიის მიხედვით დაასაქმა. ისიც სათქმელია, რომ ჩვენი მუშების საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაჭრაში დიდად დაგვეხმარა **იოსებ ორჯონიკიძე**, რომელიც მოსკოვის მერის მოადგილედ მუშაობდა. დაახლოებით 250 მეტრომშენებელი დღესაც მოსკოვში არის დასაქმებული და იქიდან არჩენენ თავიანთ ოჯახებს.

შემდეგ, დამატებით 170 ჩვენი კადრის მუშა სვერდლოვსკში ჩავიყვანეთ. ეკატერინობურგის მეტროპოლიტენის მშენებლობა ჩვენ დავიწყეთ (**თამაზ ასანიძის** ხელმძღვანელობით) — მეტროს ხუთი სადგური ჩვენ ავუშენეთ.

ვიქტორ გოცირიძის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო ზრუნვა „მეტრომშენსა“ და მეტრომშენებლობაზე; საქმის კეთებისას მისთვის გადაულახავი წინააღმდეგობა არ არსებობდა. მას პატივს სცემდნენ ისინიც კი, ვინც პირადად არ იცნობდა. იყო ღირსეული ტრადიციების ღირსეული მატარებელი.



ყვარლის უნიკალური მიწისქვეშა ღვინის საცავი



ტრანსკავკასიური გვირაბი

**ბიძინა სონღულაშვილი,**
**ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი, „თბილმეტრომშენის“ უფროსი 1997-2000 წლებში, პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში 2000-2003 წლებში**

ამ გვერდზე სათაურები დიდ ასოებში იბეჭდება; ქვემოთ ჩვეულებრივ ასოებადაა გადმოტანილი.

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## სულ უფრო ახლოს «ცივილიზებულ» ევროსოდომთან

**უკრაინის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებულმა „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა“ 2021 წლის 1 თებერვალს გამოაცხადა ტენდერი ჰომოსექსუალ მამაკაცებს შორის ბიოქცევების გამოკვლევის სფეროში მომსახურების თაობაზე გამოკითხვების ჩატარების უფლების შესყიდვაზე. ამ მიზნისთვის განზრახულია 10 მილიონი გრიენის გამოყოფა უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ნათქვამია სახელმწიფო შესყიდვების სისტემა prozorro-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.**

გამოკითხვა სახელწოდებით „ბიოქცევების გამოკვლევა მამაკაცებს შორის, რომლებსაც სექსუალური ურთიერთობა ექნებათ მამაკაცებთან 2021 წელს“ 31 ეტაპისგან შედგება, თითოეული ეტაპი 100 პროცენტით იქნება ანაზღაურებული. გამოკვლევაში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღების ვადა 5 მარტამდეა განსაზღვრული, დაკვეთის შესრულების ვადა — 15 ნოემბრამდე.

ეტყობა, უკრაინაში სხვა პრობლემები არ აწუხებთ ან მახათები ვერ იშოვეს საჭირო რაოდენობით...



## მეხანძრეთა ჯგუფი ორი წლის განმავლობაში აუპატიურებდა მოსწავლე გოგონას

**შემაძრწუნებელი ამბავი გახმაურდა საფრანგეთში: 20 მეხანძრე პარიზის გარეუბნიდან რამდენიმე წლის განმავლობაში აუპატიურებდა არასრულწლოვან მოსწავლე გოგონას, — იუწყება The Guardian. ამ სკანდალური საქმის განხილვა ქვეყნის უზენაეს სასამართლოში გასულ კვირას დაიწყო.**

დაზარალებულის ჩვენების თანახმად, მოძალადეთა შორის პირველმა, როცა გოგონა 13 წლისა იყო, მოახერხა ქალიშვილის სამედიცინო რუკაში შეღწევა, რომელშიც მითითებული იყო მისი ტელეფონის ნომერი, რომლის მეშვეობით „სასიყვარულო მიმართვებით“ თავგზა აუბნია არასრულწლოვან ჟიულის. სატელეფონო ნაცნობობის გარკვეულ ეტაპზე კამერის წინ გაშიშვლება სთხოვა გოგონას. მანაც შეუსრულა თხოვნა და თანდათან მეხანძრე მოარშიყის გავლენის ქვეშ მოექცა. იმანაც ყველაფერი ვიდეოზე ჩაიწერა და ამ „დოკუმენტით“ დაშანტაჟება დაუწყო. მოგვიანებით გოგონასთან კონტაქტები თავის კოლეგებს გაუზიარა.

შემდეგ ჟიულის პირადად შეხვედრა მოსთხოვა და ერთ-ერთი პაემნისას გააუპატიურა. იგივე გააკეთეს სხვა მეხანძრეებმაც. ჟიულის თქმით, მასზე ძალადობდნენ ორი წლის განმავლობაში. ბოლოს და ბოლოს, შეძლო ძალის მოკრეფა და მიმართა პოლიციას. გამომძიებლებმა გაარკვიეს, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ნაძირალები მას შინ 130-ჯერ ეწვივნენ და ბევრჯერ გააუპატიურეს ეს საწყალი, დაშინებული გოგო.

მამაკაცებიდან რამდენიმემ აღიარა, რომ ყმაწვილ გოგონასთან მართლაც ჰქონდათ სექსუალური ურთიერთობა, მაგრამ დასძინეს, რომ ინტიმი ორმხრივი თანხმობით განხორციელდა. სკანდალური საქმის განხილვა რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდება, თან სდევს მიტინგები და დებატები პარლამენტში.

განაჩენი დღემდე არ გამოუტანიათ, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრიობა მოითხოვს საქმის სამართლიანად გადაწყვეტას.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## ბაიდენი მთელ მსოფლიოში ლგბტ-ის უფლებების დამკვიდრებას აპირებს

**ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ლგბტ-ის საზოგადოების უფლებათა დაცვისთვის მებრძოლთა პირველ რიგებში დგას და რომ მისი ადმინისტრაცია მამათმავალთა მხარდამჭერი იქნება მსოფლიოში. იქნებ სანთელსაც დაიჭერს პედერასტების საწოლთან? ამ შეკითხვაზე არ უპასუხებს გამოცემა Christian Headlines, რომელიც ამ ინფორმაციას ავრცელებს ჰომოსექსუალების გასახარად.**

ეს განცხადება ბატონმა ბაიდენმა 2021 წლის 4 თებერვალს გააკეთა. დაიმახსოვრეთ! ღირსშესანიშნავი თარიღია ამერიკის დემოკრატიის ისტორიაში.

სახელმწიფო დეპარტამენტში გამოსვლისას ბაიდენმა აღნიშნა, რომ სურს, გააძლიეროს აშშ-ის ლიდერობა **„ლგბტ-ის საკითხებში საერთაშორისო დონეზე“.** მისი სიტყვები რომ გავიმეოროთ, ლესბოსელები, გეები, ბისექსუალები და ტრანსსექუალები მსოფლიოში გმირულად იბრძვიან კანონიერი თანასწორობისთვის, ძალადობის წინააღმდეგ და თავიანთი ადამიანური უფლებების აღიარებისთვის“. „შეერთებული შტატები ამ ბრძოლის მოწინავე რიგებში დგას და მტკიცედ იცავს ჩვენს იდუმალ ღირებულებებს“.

„იდუმალი ღირებულებები“ ყოფილა თურმე სოდომელობა და ტრანსსექსუალობა.

უფრო მეტიც, მან ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის მიზანია, ბოლო მოუღოს ძალადობასა და დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტურობის, თვითრეალიზაციის სექსუალური დახასიათების საფუძველზე, ასევე, ჩვენი მაგალითით ვუხელმძღვანელოთ ლგბტ-ადამიანების უფლებების დაცვას მსოფლიოში“.

ისეთი მონდომებით იბრძვის პედერასტიის საქმის ლიდერობისთვის, თითქოს ვინმე ედავება, ამიტომ აშშ-ის სახელმწიფო სტრუქტურები, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო დეპარტამენტი, ფინანსთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, შრომის სამინისტრო, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო და ეროვნული უსაფრთხოების სამინისტრო, ყველა ერთად უნდა დაირაზმოს ამ უპირველესი საკითხის გადასაწყვეტად. ასეა ჩამოთვლილი ბაიდენის გამოქვეყნებულ მემორანდუმში.



თქვა ბაიდენმა და სენატმა უფრო ადრე საქმით დაადასტურა: CNN-მა 2021 წლის 3 თებერვალს გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, ქვეყნის ისტორიაში პირველად ლგბტ წარმომადგენელ პირველ მინისტრად დაამტკიცა აშკარა გეი, ბატონი თუ ქალბატონი **პიტ ბუტიჯიჩი.**

ისტორიული თარიღების ცვენაა ამერიკის უახლეს ისტორიაში.

ცოტა დააგვიანდათ ამერიკელ დემოკრატებს, რადგან ამასობაში 185-მა გერმანელმა მსახიობმა, ქალმა და კაცმა (თუ პირიქით) ჟურნალ „ზიუდდოიჩე ცაიტუნგში“ ერთობლივად და ერთდროულად გამოაქვეყნეს მანიფესტი მასობრივი კამინგაუტის შესახებ და კატეგორიულად მოითხოვეს ლგბტ-კინოგმირების რაოდენობის გაზრდა კინოინდუსტრიაში — ფილმებსა და წარმოებაში. მსახიობთა შორის არიან გერმანული კინოს მოყვარულთა და კინომცოდნეთათვის ისეთი ცნობილი არტისტები, როგორებადაც მიჩნეული ჰყავთ **მარკვაშკე, იანიკ შუმანი, გერხარდ გიზე, ანა ჰოლმსი, გავი ჰერბიგერი** და სხვები. ამ სახელგანთქმულმა ვარსკვლავებმა თავიანთ მანიფესტში დაამშვიდეს საზოგადოებრიობა, ლგბტ საზოგადოების წევრობა შესრულებული სამუშაოს ხარისხზე არ მოქმედებდა და არც იმოქმედებს.

„აქამდე ჩვენ დაუფარავად ვერ ვლაპარაკობდით პირად ცხოვრებაზე, რადგან ასეთ გულახდილობას შეიძლება უარყოფითად ემოქმედა ჩვენს კარიერაზე. ქასთინგის აგენტებს, კოლეგებს, პროდიუსერებს, რედაქტორებს, რეჟისორებსა და სხვებს არაერთხელ ურჩევიათ, არ გაგვემხილა ჩვენი სექსუალური ორიენტაცია, იდენტურობა და სქესი. ახლა საფრთხე აღარ არსებობს! ჩვენ ერთობლივად ვდგამთ ამ ნაბიჯს, რათა მივიპყროთ ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება“, — ნათქვამია მანიფესტში.

## უკრაინის ექსკონსული საერთაშორისო ძებნილია

**ინციდენტი დაახლოებით ერთი წლის წინათ მოხდა. უკრაინის ყოფილ კონსულს ბელცში (მოლდოვა) ალექსანდრე სტოროჟუკს ეძებენ, როგორც არასრულწლოვანის გაუპატიურებაში ეჭვმიტანილს, — იუწყება ადგილობრივი გამოცემა СП.**

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ არ იცის, სად იმყოფება მის სისტემაში მომუშავე მოხელე სტოროჟუკი, რადგან იგი მოლდოვიდან მალევე მიიმალა.

2020 წლის თებერვალ-მარტის განმავლობაში სამინისტროს კომისიამ გამოიკვლია აღნიშნული დანაშაული, ბოროტმოქმედი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან და განკვეთა დიპლომატიური სამსახურიდან.

გამოცემა აღნიშნავს, რომ საქმის მეორე ფიგურანტს, ადგილობრივ მცხოვრებს 2020 წელს გამოუტანეს განაჩენი: აღიარეს დამნაშავედ არასრულწლოვანის გაუპატიურებაში და აღუკვეთეს თავისუფლება 5 წლით, სასჯელის დახურული ტიპის კოლონიაში მოხდით.

2020 წლის სასამართლო გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ სტოროჟუკი შარშან, 4 თებერვალს, ნაქირავებ ბინაში ეწვია ნაცნობ დიპლომატს. საღამოს 8 საათისთვის იქ მივიდა ქალიშვილი, რომელიც ბინის დამქირავებელთან დამლაგებლად მუშაობდა. ბრალდებულმა მას ინტიმური ურთიერთობა შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ მან ჩაკეტა საძინებლის კარი და გაუპატიურება დაუპირა. არასრულწლოვანმა წინააღმდეგობა რომ გაუწია, მეორე მამაკაცმა მკლავები ზურგს უკან გადაუგრიხა. სტოროჟუკმა ნამუსი აჰხადა მსხვერპლს, მისი



მეგობარი კი უყურებდა პროცესს და მასტურბირებდა.

სასამართლო ექსპერტიზაში აღნიშნულია ისიც, რომ ბრალდებაწაყენებულის სხეულში აღმოჩენილია მარიხუანის კვალი. სასამართლო პროცესის დროს განსასჯელმა განმარტა, რომ მეგობარმა მასაჟის პროცედურაზე მიიწვია და ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ ქალიშვილი 18 წლისაა.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი სტოროჟუკი დაკავებული იყო, მაგრამ დიპლომატიური სტატუსის წყალობით გაათავისუფლეს.

დიდი სამამულო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პავლეს მამამ, სიმონმა, გადაწყვიტა, გამოეყენებინა ბოლო შანსი და წერილით მიემართა სტალინისთვის (ერთ დროს მეზობლობდნენ, რადგან მათი საცხოვრებელი სახლები ერთმანეთის გვერდით იდგა. სიმონისა და სტალინის ბოლო შეხვედრა თბილისში შემდგარა, როცა სიმონი ხელობას სწავლობდა, ხოლო სტალინი სასულიერო სემინარიაში იმაღლებდა განათლებას). მაშინდელ გორში რუსული ენის საუკეთესო მცოდნისათვის, ალექსანდრა (შურა) პოტაპოვასათვის, უთხოვია წერილის ტექსტის შედგენა გულდამძიმებულ მამას. წერილის პასუხს დიდხანს არ დაუგვიანია. გორის სამხედრო კომისარიატში მოვიდა უწყება, რომ პავლე მცურავიშვილი ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიაში იყო.**

# ფრონტელის ხსოვნას

ბატონო გულბაათ!

მივესალმები თქვენს კეთილშობილურ წამოწყებას — პირველი ქართულენოვანი ენციკლოპედიის შექმნას დიდ სამამულო ომში საქართველოს წარმომადგენლების მონაწილეობის შესახებ. მინდა, გამოვეხმაურო ამ კეთილ წამოწყებას და გაცნობოთ მამაჩემ პავლე სიმონის ძე მცურავიშვილზე.

როგორც ცნობილია, მოლდავეთის (ბესარაბია) ტერიტორიაზე მიმდინარეობდა იასა-კიშინიოვის ბრძოლები. ამ ტერიტორიაზე იყო სოფელი სარატა-გალბენა. ძმათა სასაფლაოს მემორიალის გახსნაზე მიიწვიეს ამ ომში მონაწილენი. იქ ჩასულმა გავიგე, რომ მამაჩემი ბრძოლების დროს ტყვედ ჩავარდნილა, შემდეგ ტყვეობიდან გამოქცეულა და პარტიზანებს შეერთებია. შემდეგ ეს პარტიზანები შეუერთდნენ იქ მოქმედ საბჭოთა სამხედრო ნაწილებს, რომლებმაც გაათავისუფლეს სარატა-გალბენა და სხვა სოფლები.

ამის შესახებ მიამბეს იქ მოწვეულმა სტუმრებმა — პარტიზანების შტაბის უფროსმა და აზერბაიჯანული პოლკის უფროსმა. უნდა აღინიშნოს სოფლის მცხოვრებთა კეთილი განწყობა სტუმრებისადმი, რომლებიც დიდ მადლობას გვიცხადებდნენ მათი განმათავისუფლებელი ჯარისკაცების არდავიწყების გამო. დაახლოებით ასეთივე კარგი საქმე წამოიწყო გორის საპატიო მოქალაქემ, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრმა ვახტანგ ჭანკოტაძემ. მან გამოსცა წიგნები, რომლებშიც გვიყვება იმ გორელებზე, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ნაციზმზე გამარჯვებაში. ერთ-ერთ წიგნში მოთხრობილია მამაჩემის შესახებ. გიგზავნით ამ ნაწყვეტის ასლს და გთხოვთ, გამოაქვეყნოთ.

პატივისცემით,
ანზორ მცურავიშვილი

დიდი სიამოვნებით ვასრულებ ბატონი ანზორის თხოვნას და მადლობას ვუხდი მას — ღირსეული მამის ღირსეულ შვილს, რომ თაობებს გადასცემს ხსოვნას წმინდა ომის შესახებ! მასალა გამოქვეყნებულია პორტალზე „დიდი სამამულო“. ჩემი მხრივ, ტრადიციულად, თხოვნით მივმართავ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მესვეურებს, ამ პოპულარულ გამოცემაშიც გამოქვეყნდეს ბატონ ანზორის წერილი და ბატონ ვახტანგ ჭანკოტაძის მოგონება პავლე მცურავიშვილზე — მშვიდობიან, მშრომელ ქართველზე, რომელმაც თავდაუზოგავად იომა და სიცოცხლე შესწირა სამშობლოს თავისუფლებას, კაცობრიობის ხსნას ფაშიზმისაგან.

გულბაათ რცხილაძე



ფაშისტების ტყვეობიდან თავი დაიხსნა და პარტიზანულ ბრძოლას შეეწირა — პავლე მცურავიშვილი



პავლე მცურავიშვილის ერთადერთი შვილი — ანზორ მცურავიშვილი



ანზორ მცურავიშვილი მოლდავეთში, სადაც მისი მამის საფლავი აღმოჩნდა; 1969 წლის 9 მაისი

**ვახტანგ ჭანკოტაძის მოგონებიდან:**

„1941 წლის 22 ივნისს პავლე მცურავიშვილი, სხვა თანატოლებსა და ძმასთან — **ალექსისთან** ერთად, გაიწვიეს ჯარში. ძნელი იყო მისთვის ახალგაზრდა ოჯახის მიტოვება, მაგრამ, გამარჯვებისა და მალე შინდაბრუნების რწმენით შეიარაღებული, ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ ფესვუმაგრებელ ოჯახში დარჩა ახალგაზრდა მეუღლე **ვერა ნასყიდაშვილი** და ერთადერთი ვაჟი — ექვსი წლის **ანზორი.**

პავლე მცურავიშვილი დაიბადა 1913 წლის 24 იანვარს ქალაქ გორში, **სიმონ ალექსის ძე მცურავიშვილისა** და **ეკატერინე ივანეს ასულ კასრაძის** ოჯახში. პავლეს მამა, სიმონი, დურგალი-მეავეჯე ყოფილა. ჰყავდა სამი ვაჟიშვილი — **ალექსი, პავლე, გიორგი.** პავლეს დედა, ეკატერინე კასრაძე, დიასახლისი იყო. მის მამას, ივანეს, კაიკაცობითა და სიკეთით გამორჩეულ ადამიანს, ხალხმა მეტსახელად (თიკუნად) „წყალობა“ შეურჩია.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ომის დაწყებამდე, პავლე მცურავიშვილი, ბუღალტერ-მოანგარიშედ მუშაობდა, პარალელურად სწავლობდა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტზე. მესამე კურსზე იყო, როდესაც დაიწყო ომი.

პავლეს მეუღლე, ვერა ნასყიდაშვილი, ომის დაწყებამდე მოლარედ მუშაობდა გორის საკონსერვო ქარხანაში.

პავლე მცურავიშვილის ხასიათში ბავშვობიდანვე მკვეთრად იყო გამოხატული სამართლიანობის ურყევი განცდა და სიჯიუტემდე მისული პრინციპულობა. იგი, როგორც ჭეშმარიტ ვაჟკაცს სჩვევია, ცდილობდა, დამოუკიდებლად გაეკვლია გზა ცხოვრებაში. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ მან თავისი ოჯახის შექმნის პირველივე დღეებიდანვე გადაწყვიტა, ეცხოვრა ცალკე და საცხოვრებლად გადავიდა დაქირავებულ ბინაში იმ იმედით, რომ დაუღალავი შრომით მალე შეძლებდა საკუთარი სახლის აშენებას ან შეძენას. ომის წლებში საყოველთაო გაჭირვებამ დაისადგურა ქვეყანაში. უჭირდა ყველას, მათ შორის, ომში წასულ პავლეს ახალგაზრდა ოჯახსაც. პავლეს მამამ, სიმონმა, თავისთან გადაიყვანა რძალი და შვილიშვილი ანზორი, რათა მზრუნველობა და პატრონობა არ მოეკლო მათთვის. ფრონტიდან წერილები იშვიათად, მაგრამ მაინც მოდიოდა და ახლობელ-ნათესავები იგებდნენ ამბებს პავლეს შესახებ. 1944 წელს ბოლო წერილი მიიღო ოჯახმა, რომელშიც პავლე იუწყებოდა, რომ იბრძოდა ბესარაბიის (ახლანდელი მოლდოვა) მიწაზე და მიიწევდნენ წინ, ფაშისტების ბუნაგისაკენ. ამ წერილის შემდეგ პავლეზე აღარავინ არაფერი იცოდა.

გადიოდა წლები, მაგრამ პავლეს შესახებ ოჯახმა ვერაფერი გაიგო. ასევე არ ჩანდა მისი უფროსი ძმა ალექსი. რაც შეეხება უმცროს ძმას, გიორგის, იგი დაჭრილი დაუბრუნდა მშობლებს.

გადიოდა დრო, პავლე არ ჩანდა. პავლეს მამამ, სიმონმა, გადაწყვიტა, გამოეყენებინა ბოლო შანსი და წერილით მიემართა სტალინისათვის (ერთ დროს მეზობლობდნენ, რადგან მათი საცხოვრებელი სახლები ერთმანეთის გვერდით იდგა. სიმონისა და სტალინის ბოლო შეხვედრა თბილისში შემდგარა, როცა სიმონი ხელობას სწავლობდა, ხოლო სტალინი სასულიერო სემინარიაში იმაღლებდა განათლებას). მაშინდელ გორში რუსული ენის საუკეთესო მცოდნისთვის, **ალექსანდრა (შურა) პოტაპოვასათვის,** უთხოვია წერილის ტექსტის შედგენა გულდამძიმებულ მამას. წერილის პასუხს დიდხანს არ დაუგვიანია. გორის სამხედრო კომისარიატში მოვიდა უწყება, რომ პავლე მცურავიშვილი ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიაში იყო. მძიმე ტკივილმა დაიბუდა სიმონ მცურავიშვილის ოჯახსა და მის ახლობელთა გულებში.

ცხოვრება თავის გზას მიუყვებოდა. ამასობაში პავლეს ერთადერთმა ვაჟიშვილმა, ანზორ მცურავიშვილმა დაამთავრა ჯერ საშუალო სკოლა, შემდეგ უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და, როგორც ინჟინერმა, მუშაობა დაიწყო გორის ხელსაწყოთმშენებელ ქარხანაში, ე.წ. „ზუსტებში“. შემდეგ იყო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეობა და სხვა სამეურნეო საწარმოო ორგანიზაციები. მან მალე მოიპოვა განათლებული, მორიდებული, შრომისმოყვარე და მაღალი დონის ინჟინრის სახელი. ანზორ მცურავიშვილი დღესაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ფართო საზოგადოებაში.

ადამიანი იმედით ცოცხლობს და მცურავიშვილების ოჯახიც მრავალი წლის განმავლობაში იმ იმედით ცოცხლობდა, რომ პავლე აუცილებლად გამოჩნდებოდა. სამწუხაროდ, ამ იმედს გაცრუება ელოდა. 1969 წლის დასაწყისში ოჯახმა მიიღო უწყება, რომ პავლე მცურავიშვილი განისვენებდა მოლდავეთის ერთ-ერთი სოფლის, სარატა-გალბენას, სასაფლაოზე. იმედი სამუდამოდ ჩაიფერფლა. იმავე წლის მაისის პირველ რიცხვებში იტყობინებოდნენ, რომ 9 მაისს (გამარჯვების დღეს) იხსნებოდა მოლდავეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში გმირულად დაღუპულთა ობელისკი და იწვევდნენ მცურავიშვილის ოჯახს.

გაზეთ „გამარჯვებაში“ (№98, 1969 წ. 23 აგვისტო) ცნობილი ჟურნალისტი **ლ. ჭანკოტაძე** წერს:

„მაშ, პავლე აღარ არის, [...] აღარც ფიქრის დრო იყო, სამ დღეში ძეგლის გახსნა იყო დანიშნული, [...] იმძლავრა ცრემლმა. მუხლებზე დაეცა ქართველი ქალი, ოცდახუთი წლის მანძილზე ასე უმწიკვლოდ რომ ატარა მეუღლის ხსოვნა და დედობის მანდილი... „გორული მიწა მოგიტანე, — უჩუმრად ჩაჰღაღადებდა მეგობარს, — წამოდექ, შეხედე, ცეროდენა ბიჭი დამიტოვე და რა ვაჟკაცი ჩამოგიყვანე“...

ასე დამთავრდა 31 წლის ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე. კიდევ ერთმა ქართველმა ჰპოვა სამუდამო სასუფეველი სხვა ქვეყნის მიწაში. მის შთამომავლობას კი ნუგეშად რჩება მეუღლისა და შვილის მიერ მის მკერდზე პეშვებად დაყრილი გორული მიწა.

**პავლე მცურავიშვილს არასდროს დაივიწყებენ: შვილი ანზორი, შვილიშვილები მაია და ნინო (ექიმები) და შვილთაშვილები — ნიკა (ექიმი), გიორგი, ლუკა, სალომე, გვანცა და სოფო.**

didisamamulo.ge



წლობით დაკარგული მეუღლისა და მამის ხსოვნას პატივი მიაგეს. 9 მაისი, 1969წ.



დრო, როდესაც ფაშიზმზე მებრძოლებისთვის პატივის მიგება დავას არ იწვევდა — 1969 წლის 9 მაისი

**ლინკოლნიცა და კენედიც პარასკევს მოკლეს თავიანთი ცოლების თვალწინ. კენედის მდივანი იყო ლინკოლნი, ხოლო ლონდონის — კენედი. ლინკოლნს ესროლეს თეატრში, ხოლო კენედის — როცა ქუჩაში მიდიოდა ავტომობილ „ლინკოლნით“. ორივე პრეზიდენტის მკვლელმა სასამართლომდე ცოცხალმა ვერ მიაღწია.**

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

1954 წლის ნოემბერში ამერიკელი ენ ელისაბედ ჰოჯესს მეტეორიტ სილაკოგას ნამსხვრევი დაეცა და სხეული დაუზიანა — ეს არის პირველი დოკუმენტურად დადასტურებული შემთხვევა, როცა ადამიანი არამიწიერმა ობიექტმა დაჭრა. ქვემოთ წაიკითხავთ საოცარ მოვლენებსა და დამთხვევებზე, რომლებიც დოკუმენტურად არის დადასტურებული და ისტორიაში შევიდა.

# მოვლენების საოცარი დამთხვევები კაცობრიობის ისტორიაში




## «27-იანთა კლუბი»

„27-იანთა კლუბს“ უწოდებენ ჯგუფს ცნობილი ადამიანებისა (ძირითადად, მუსიკოსების), რომლებიც 27 წლისანი დაიღუპნენ. ყველაფერი დაიწყო გასული საუკუნის 60-იან წლებში, როცა Rolling Stones-ის წევრი **ბრაიან ჯონსი**, აგრეთვე, **ჯენის ჯოპლინი** და **ჯიმი ჰენდრიქსი** 27 წლისა წავიდნენ იმქვეყნად. მეოთხედი საუკუნის შემდეგ 27 წლის **კურტ კობეინმა** სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. რამდენიმე წლის წინათ კი, 2011 წელს, ბრიტანელი მომღერალი **ემი უაინჰაუსის** სიცოცხლე შეიწირა ნარკოტიკმა. კლუბში უკვე 60-ზე მეტ „წევრია“.






## კეტრინ ედოუსისა და მერი კელის საქმე

1886 წლის 29 სექტემბრის საღამოს ლონდონის ქუჩაში მთვრალი ქალი დააპატიმრეს — ინგლისში იმხანად მკაცრი კანონები მოქმედებდა. ამ ქალის საქმეში მთავარი დეტალი არის ის, რომ სამართალდამცველებს წარუდგა, როგორც **კეტრინ ედოუსი**, გამოსაფხიზლებელში კი პოლიციელს **მერი კელის** სახელზე გაფორმებული დოკუმენტი აჩვენა და ამ სახელით გაატარეს რეგისტრაციაში. საოცარი დამთხვევაა ის, რომ კეტრინ ედოუსი და მერი კელი მოგვიანებით მანიაკმა **ჯეკ მფატრავმა** მოკლა.

მანიაკმა ედოუსი საპატიმროდან გათავისუფლების მეორე დღეს გამოასალმა სიცოცხლეს. ის ბოლოს წინა მსხვერპლი იყო, ბოლო კი მერი კელი აღმოჩნდა, რომელსაც მკვლელმა სახე დაუმახინჯა და სულთმობრძავი ქუჩაში დატოვა.



## მარკ ტვენი და კომეტა ჰალეა

ამერიკელი მწერალი **მარკ ტვენი** 1835 წლის 30 ნოემბერს დაიბადა, ცაზე კომეტა ჰალეას გამოჩენიდან ზუსტად ორი კვირის შემდეგ. „ტომ სოიერისა“ და „ჰეკლბერი ფინის თავგადასავლების“ ავტორი თავს ამ ასტროლოგიურ მოვლენას უკავშირებდა. მწერალი ამბობდა: „მე დედამიწაზე კომეტა ჰალეასთან ერთად მოვედი 1835 წელს, როცა ის კვლავ დაბრუნდება, ვაპირებ, მასთან ერთად წავიდე. თუ კომეტა ჰალეასთან ერთად არ წავალ, ეს ყველაფერი იმედგაცრუება იქნება“. როგორც ჩანს, შემთხვევით არაფერი ხდება: მარკ ტვენი გარდაიცვალა 1910 წლის 21 აპრილს — კომეტა ჰალეას დაბრუნებიდან მეორე დღეს.



## ალან პო და შეჭმული ბიჭი

მე-19 საუკუნის სახელგანთქმულმა მწერალმა, დეტექტივების მამამ, დაწერა წიგნი „ნონტაკეტელი არტურ გორდონ პიმის მონათხრობი“. წიგნში აღწერილია ოთხი მეზღვაურის თავგადასავალი, რომლებიც გემის ჩაძირვის შემდეგ გადარჩნენ, მაგრამ იძულებულნი შეიქნენ, მოეკლათ და შეეჭამათ იუნგა სახელად **რიჩარდ პარკერი.** ამ წიგნის გამოცემიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჩაიძირა იახტა სახელწოდებით Mignonette და გადარჩენილი 4 მეზღვაური ზღვაში ნავით დრეიფობდა. ამ ოთხი მეზღვაურიდან სამმა მოკლა და შეჭამა იუნგა სახელად **რიჩარდ პარკერი.**

## აბრაამ ლინკოლნი და ჯონ კენედი





აბრაამ ლინკოლნი და ჯონ კენედი კონგრესში 100 წლის განსხვავებით შევიდნენ. პრეზიდენტად კი ორივე 14 წლის შემდეგ აირჩიეს, ორივე თავში ტყვიის მოხვედრით დაიღუპა. ორივე მოკლული პრეზიდენტის მემკვიდრე იყო გვარად ჯონსონი და ისინი 100 წლის სხვაობით დაიბადნენ. ლინკოლნიცა და კენედიც პარასკევს მოკლეს თავიანთი ცოლების თვალწინ. კენედის მდივანი იყო ლინკოლნი, ხოლო ლონდონის — კენედი. ლინკოლნს ესროლეს თეატრში, ხოლო კენედის — როცა ქუჩაში მიდიოდა ავტომობილ „ლინკოლნით“. ორივე პრეზიდენტის მკვლელმა სასამართლომდე ცოცხალმა ვერ მიაღწია.



## მეფის ორეული

ძლიერნი ამა ქვეყნისანი თავიანთ ორეულებს ხშირად იყენებენ პირადი მიზნებისა და დაცვისთვის. ასეთი შეიძლება ყოფილიყო იტალიის მეფე **უმბერტოს** ისტორიაც, მაგრამ მის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა მეფის ბედი შეცვალა. მეფემ თავისი ორეული რესტორანში სადილობისას შენიშნა. მამაკაცი, რომელიც გარეგნობით ძალიან ჰგავდა მონარქს, რესტორნის მეპატრონე აღმოჩნდა. პირისპირ საუბრისას მამაკაცებმა სხვა მსგავსებაც აღმოაჩინეს: ორივე დაიბადა ერთსა და იმავე ქალაქში (ტურინში), ერთსა და იმავე წელს, ორივემ იქორწინა ქალზე სახელად მარგარიტა. ამ საუბრიდან მეორე დღეს, 1900 წლის 29 ივნისს, რესტორატორი ავტოკატასტროფაში დაიღუპა, იმავე დღეს მეფე უმბერტოს ესროლეს და და მოკლეს.



## ტიტანი და ტიტანიკი




ამერიკელმა მწერალმა მორგან რობერტსონმა 1898 წელს გამოსცა ნოველა „ამაოება, ანუ ტიტანის დაღუპვა“. ნაწარმოებში მოთხრობილია ლუქსის ტიპის ხომალდზე, რომელიც ატლანტის ოკეანის გადაკვეთისას აისბერგს შეეჯახა. 1912 წელს კი ნამდვილი ხომალდი „ტიტანიკი“ ჩაიძირა აისბერგთან შეჯახების შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ ორივე ხომალდი საიმედო მცურავ საშუალებად ითვლებოდა, ორივე აისბერგს შეეჯახა აპრილში ნიუფაუნდლენდიდან 400 კმ-ის დაშორებით, ორივე დაახლოებით 250 მ სიგრძის იყო და ორივეს ჩაძირვის შედეგად ორი ათასი ადამიანი დაიღუპა.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# სკანდალი ამერიკაში

## რატომ მალავდნენ მოხუცთა თავშესაფრებში გარდაცვლილთა რაოდენობას



**ნიუ-იორკის მოხუცთა თავშესაფრებში კორონავირუსით დაღუპულთა რაოდენობის დამალვის გამო სკანდალი აგორდა. შტატის გუბერნატორი ენდრიუ კუომისთან დაახლოებული პირები ახლა საჯაროდ აღიარებენ — ეს კეთდებოდა იმის გამო, რომ აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო დაებნიათ.**

ნიუ-იორკის პროკურატურამ რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა ანგარიში მოხუცთა თავშესაფრებში კორონავირუსით დაღუპულთა რაოდენობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ კორონავირუსით გარდაცვალების შემთხვევების, სულ ცოტა, 50%-ს მალავდნენ. ნიუ-იორკის მოხუცთა თავშესაფრებში კორონავირუსით გარდაცვლილთა რაოდენობამ 13 ათასს გადააჭარბა და ამ მაჩვენებლით შტატი ლიდერია ამერიკაში.

ჯერ კიდევ 2020 წელს კუომომ ბრძანება გასცა, კორონავირუსით ინფიცირებულები მოხუცთა თავშესაფრებში გადაეყვანათ და იქ „ჭირიანთა ბარაკები“ მოეწყოთ. ეს საშინელი პრაქტიკა მხოლოდ 3 თვის შემდეგ გააუქმეს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც სიცოცხლეს გამოესალმა ათასობით ნიუ-იორკელი მოხუცი.

აგვისტოში კი **AP-ს ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ ნიუ-იორკელი მაღალჩინოსნები შეგნებულად მალავდნენ მოხუცთა თავშესაფრებში დაღუპულთა მონაცემებს. გუბერნატორმა კუომომ კი ამ თავშესაფრების მფლობელებს იურიდიული ხელშეუხებლობა მიანიჭა — ეს მას შემდეგ, რაც მათგან გულუხვი შემოწირულობები მიიღო.**

ახლა კოუმო თავს ისულელებს და ამბობს, რომ ეს სტატისტიკა არავის აინტერესებს, მაგრამ, მისმა ქვეშევრდომებმა როცა დაინახეს, რომ საქმე კარგად არ მიდიოდა, თავიანთი უფროსის ჩაშვება დაიწყეს.

**კუომოს თანაშემწე ქალმა აღიარა, რომ გუბერნატორის თანამშრომლებს ძალიან ეშინოდათ ფედერალური გამოძიების დაწყების და სიმართლე დამალეს, ახლა კი გადაწყვიტეს, სიმართლე უთხრან მოსახლეობას, რადგან იუსტიციის სამინისტროს მიმართ მეგობრულად განწყობილი ბაიდენი აკონტროლებს.**

2020 წლის ზაფხულში ლიბერალური პრესა ერთხმად გამოუტყდა კუომოს სიყვარულში და მას პანდემიის ეპოქაში „ეტალონური ლიდერი“ უწოდა. ჩატარებული პრესკონფერენციისთვის მას „ემიც“ კი გადასცეს.

კუომოს თავისი ამჟამინდელი მდგომარეობა არ უნდა ადარდებდეს — ბაიდენის პროკურორები მას ციხეში არ ჩასვამენ. უკმაყოფილო ნიუ-იორკელებს კი ურჩევენ, ხმა ფეხებით მისცენ — დატოვონ ეს ლიბერალური სამოთხე.

**news-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძემ**




# თურქეთში საჯაროდ ალაპარაკდნენ საქართველოს მიერთებაზე



**თურქეთის ტელეარხმა იმ ქვეყნებზე ისაუბრა, რომლებიც 2050 წელს თურქეთის შემადგენლობაში „შევლენ“.**

თურქეთში სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს „დიდი თურანის“ იდეა, რომელზე ლაპარაკსაც ადგილობრივი ოფიციალური არხებიც არ ერიდებიან.

ტელეარხმა TRT1-მა ცოტა ხნის წინათ იწინასწარმეტყველა, რომელი ქვეყნები შევლენ უახლოოესი 30 წლის განმავლობაში თურქეთის შემადგენლობაში.

თურქები ვარაუდობენ, რომ მიიერთებენ შუა აზიის ქვეყნებს, **საქართველოს, სომხეთს, ოსეთს, აფხაზეთს, აზერბაიჯანს...** 2050 წლისთვის კი „დიდ თურანს“ შეუერთდება არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნები, რუსეთის სამხრეთის ტერიტორიები, ყირიმი და სხვ.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ თურქეთი თავს უკვე მიიჩნევს იმპერიად, რომელსაც შეუძლია, დაუპირისპირდეს დიდ ქვეყნებს. ეს ხელს აძლევს, რა თქმა უნდა, დასავლეთს, კერძოდ, ბრიტანეთსა და აშშ-ს, რომლებითვისაც მთავარ პრობლემად კვლავ რჩება „უკონტროლო რუსეთი“.

**topnews.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
ნიკა კორინთელმა**

# რუსეთში სწავლის მსურველთათვის სტიპენდიებზე რეგისტრაცია დაიწყო

**საქართველოში რუსეთის ინტერესების სექცია აცხადებს, რომ 20 იანვრიდან დაიწყო მსურველთა რეგისტრაცია, რუსეთში სწავლისა და სადოქტორო ხარისხის მოპოვების მსურველებისათვის. ასეთი შერჩევა სექციაში ყოველწლიურად ცხადდება და წარმატებით მიმდინარეობს.**

საბუთების მიღება წლევანდელ წელს 20 თებერვლამდე გაგრძელდება — ამ თარიღის შემდეგ რეგისტრაცია შეუძლებელი იქნება, მსურველებმა ამ გარემოებას ყურადღება აუცილებლად უნდა მიაქციონ.

პანდემით გამოწვეულ ვითარებასთან დაკავშირებით 20 თებერვლამდე აუცილებლად ჩასაბარებელი საბუთების ნუსხა ჩვეულებრივთან შედარებით შეკვეცილია. პირველ ეტაპზე აუცილებელია 1. პასპორტის, 2. სასკოლო ატესტატის (მაგისტრობის მსურველებისთვის — ბაკალავრის დიპლომის, ხოლო ასპირანტურაში მოხვედრის მსრუველებისთვის — მაგისტრის დიპლომის), 3. ნიშნების ფურცლისა და 4. (ასპირანტურისთვის) რეფერატის ასლების ატვირთვა სპეციალურ ინტერნეტგვერდზე (იხ. რუსულენოვანი ტექსტი ქვევით). რეგისტრაციის გასავლელად არ დაგავიწყდეთ დააკლიკოთ ღილაკს წარწერით — „Отправить на проверку“ — რეგისტრაცია მხოლოდ ამ მომენტში სრულდება.

გთხოვთ, გულდასმით გაეცნოთ ქვემოთ წარმოდგენილ განცხადებას რუსულ ენაზე. რუსეთში სტიპენდიით სწავლის გასაგრძელებლად, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა იმ დონეზე მაინც, რომ ქვემოთ წარმოდგენილი განცხადების შინაარსი გაიგოთ და დამოუკიდებლად შეძლოთ დარეგისტრირება.

**„ნიუსფრონტი“ წარმატებებს გისურვებთ!**



# ВНИМАНИЕ!

## Открыта регистрация для поступления в вузы России на 2021/2022 учебный год

**Секция интересов России в Грузии объявляет, что с 20 января с.г. стартует кампания по набору кандидатов для поступления в 2021-2022 учебном году в российские высшие учебные заведения за счет средств федерального бюджета Российской Федерации.**

Желающие получить образование в России могут подать заявки на обучение в электронной форме на сайте государственной информационной системы «Образование в РФ для иностранцев» (ГИС ОРФИ). Переадресация в систему возможна по ссылкам:https://edu.rs.gov.ru/и https://future-in-russia.com/.

Для участия в отборочных мероприятиях необходимо будет пройти регистрацию, заполнить анкету на сайте https://education-in-russia.com и прикрепить к заявке необходимые отсканированные документы в соответствии с указанным в информационной системе перечнем. К документам, предоставленным на грузинском языке, должен прилагаться нотариально заверенный перевод на русский язык.

Срок подачи заявок строго с 20 января по 20 февраля включительно.

В конкурсе могут принимать участие граждане Грузии, лица без гражданства и российские соотечественники, постоянно проживающие на территории Грузии (имеющие разрешение на временное проживание или вид на жительство и не имеющие регистрации на территории Российской Федерации).

В марте с.г. состоятся отборочные испытания в формате собеседований для зарегистрированных в системе кандидатов. Информация о графике отборочных испытаний будет размещена дополнительно после 20 февраля с.г.

В случае возникновения вопросов после внимательного изучения информации на официальном сайте квотной кампании, обращайтесь через систему сообщений новой информационной платформы или на электронный адрес Секции интересов interests.section@mid.ru

Дополнительно сообщаем, что ранее используемая образовательная программа Future-in-Russia более не ведет регистрацию граждан для участия в отборочной кампании.

**GEORGIE.SU**




# ნიდერლანდებში კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის შემდეგ 15 ხანდაზმული ადამიანი გარდაიცვალა

**ნიდერლანდების კვლევით ცენტრ Lareb-ის განცხადებით, კორონავირუსის ინფექციის საწინააღმდეგო პრეპარატით ვაქცინაციის შემდეგ 15 ხანდაზმული ადამიანი გარდაიცვალა.**

ამ მომენტისთვის მიღებულია ცნობა ვაქცინაციის შემდეგ 15 ადამიანის სიკვდილის შესახებ. ლაპარაკია ხანდაზმულ ადამიანებზე, რომლებსაც ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები ჰქონდათ. **გარდაცვლილებიდან ორი პირი 70 და 84 წლის იყო, დანარჩენები — 85 წელს ზევით. ისინი ვაქცინაციიდან ათი დღის განმავლობაში გარდაიცვალნენ. ნიდერლანდებში დღემდე 500 ათასზე მეტი ადამიანი აიცრა, მათგან 2500-მა თანამდევ ეფექტებზე განაცხადა.**

იანვარში ნორვეგიაში გარდაცვალების 23 შემთხვევა აღირიცხა Pfizer/Biontech-ით აცრის შემდეგ. ყველა გარდაცვლილი 80-ზე მეტი წლის იყო, გერმანიაში 10 ადამიანი გარდაიცვალა.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძემ**

საქართველო და მსოფლიო
თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894